www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 28 ოქტომბერი, 2004 წელი. №256 (805)

ფასი 50 თეთრი

ეკონომიკა

## ვის დაბრალდება ენერგოკრიზისი?

დენი აშკარად არ გვყოფნის. ხელისუფლება კი განტევების ვაცს ველარ პოულობს: ყველა ძველი სახე, ვისი დაჭერაც შეიძლებოდა, უკვე ციხეშია. ახალ სახეებს შორის "განტევების ვაცის" პოვნა კი ხელისუფლებას საკმაოდ უჭირს. ამ ვითარებაში ერთადერთი ბერკეტი, რომ საზოგადოებას პროტესტის გრძნობა არ გაუღრმავდეს, არსებული რესურსის სამართლიანი განაწილებაა.

A4

უცხოეთი



## მიხაილ გორბაჩოვი ნანობს

მიხეილ გორბაჩოვი: რუსი ხალხი უკეთესი მომავლის ღირსი იყო.

A5

საზოგადოება

## მინიმალური პენსიის მატებისა და დავალიანების დაფარვის წელი



უმწეო ადამიანებზე ზრუნვა ქვეყანაში უპირველეს პრიორიტეტად იქცა. თუმცა, ამ საკითხის ირგვლივ მთავრობაში - დავა, მოსახლეობაში კი წინააღმდეგობაა.

A6

სამართალი



## მძევლად ნამყოფმა პეტრე ცისკარიშვილმა ჭიჭიაშვილი ვერ იცნო

"გამტაცებელთა ამოცნობა არაფრით შემიძლია, რადგან ისინი ნიღბებში იყვნენ."

A7

იურიდიული ოფისი ,,გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

ამინდი

| | 28/10 | 29/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 22 | 22 |
| ქუთაისი | 27 | 27 |
| ბათუმი | 28 | 27 |
| სოხუმი | 26 | 24 |
| ფოთი | 28 | 27 |
| თელავი | 22 | 20 |
| ზუგდიდი | 28 | 27 |
| გორი | 21 | 20 |
| ახმეტა | 22 | 21 |
| ჭიათურა | 23 | 23 |
| გაგრა | 25 | 23 |

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8300 |
| ევრო | 2.3345 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3613 |
| რუბლი | 0.0636 |

# "ქარიშხალი ჭიქაში..."

გურამ მაღლაკელიძე

საპარლამენტო უმრავლესობისა და მთავრობის თათბირის შემდეგ, ბატონმა ლადო პაპავამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ "საპარლამენტო უმრავლესობა მხარს დაუჭერს ბიუჯეტის პროექტს... მთავრობასა და პარლამენტს შორის ბიუჯეტის საკითხში პრობლემა აღარ არსებობს... მართალია, ბიუჯეტის პროექტი დასახვეწია და დეპუტატებს გარკვეული შენიშვნები გააჩნიათ, თუმცა მთავრობა მათ გაითვალისწინებს და პრობლემა მოიხსნება".

ვინც რამდენიმე დღის წინ ფიქრობდა, რომ ამ ეტაპზე ბიუჯეტი "სახელისუფლებო სიტუაციის ასამღვრევად" გამოდგებოდა და იხილავდა "ნირწამხდარ მინისტრებს" ან ისეთ დეპუტატებს, რომლებიც "პარლამენტიდან გარეკვას დათხოვას ამჯობინებენ", რომ ოპოზიცია შეძლებდა ნიადაგის მომზადებას, რათა "სააკაშვილის ხელით ჟვანია მოეცილებინა", საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე, ძალთა ბალანსზე და პრემიერის რეალურ შესაძლებლობაზე. რასაკვირველია, ისე, როგორც პოლიტიკურ ანალიზს, პოლიტიკურ მკითხაობასაც აქვს არსებობის უფლება და, სამწუხაროდ, გაცილებით მეტი მომხმარებელიც ჰყავს მკითხველისა და ტელემაყურებლის სახით, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თანდათანობით სიტუაცია დალაგდება და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# საპარლამენტო უმრავლესობა თავს გამარჯვებულად მიიჩნევს



იური ლობოდინის ფოტო

რომან გოცირიძე გამარჯვებას ზეიმობს. იგი მიიჩნევს, რომ ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის გარშემო გამართულ დისკუსიაში კანონმდებლებმა სამთავრობო გუნდი ანგარიშით 9:1 დაამარცხეს.

გიორგი ასანიშვილი

*პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძე გამარჯვებას ზეიმობს. იგი მიიჩნევს, რომ ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის გარშემო გამართულ დისკუსიაში კანონმდებლებმა სამთავრობო გუნდი ანგარიშით 9:1 დაამარცხეს. "კომპრომისებზე ორივე მხარე წავიდა, მაგრამ დათმობების 90 პროცენტი მთავრობაზე მოდის," - სიამაყით აცხადებს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო "ნაკრების კაპიტანი".*

თუმცა, ამ შემთხვევაში, იმ იშვიათ გამონაკლისთან გვაქვს საქმე, როდესაც "დამარცხებით" "წაგებული" მხარეც კმაყოფილია და დამცირებულად სულაც არ გრძნობს თავს: ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი დარწმუნებულია, რომ შეთანხმებულ ვარიანტს (ანუ საგადასახადო კოდექსის პროექტის მთავარ პრინციპებს) პარლამენტი დღეს პირველი მოსმენით მხარს დაუჭერს, რაც, თავის მხრივ, მთავრობის მიერ დაგეგმილი საგადასახადო შემოსავლების მიღების საწინდარი გახდება.

აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფალთა ასეთი შეხმატკბილების მიუხედავად, საფინანსო-საბიუჯეტო

გაგრძელება A3 გვერდზე

# ჟვანია-კოკოითის შეხვედრის ადგილად ევროპა კვლავ სოფიას განიხილავს

ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ჰაიკი ტალვიტიე საქართველოში 26 ოქტომბერს სომხეთიდან ჩამოვიდა და 27 ოქტომბერს უკვე აზერბაიჯანში გაემგზავრება. ტალვიტიე საქართველოს მეოთხედ ესტუმრა. ახლანდელი ხანმოკლე ვიზიტის განმავლობაში ევროკავშირის წარმომადგენელმა "სამხრეთ ოსეთშიც" მოასწრო ჩასვლა, სადაც თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგანგებო დავალებათა მინისტრს ბორის ჩოჩიევს შეხვდა. თბილისში კი უშიშროების საბჭოს მდივანს გელა ბეჟუაშვილს ესაუბრა. როგორც ტალვიტიემ განაცხადა, კოკოითთან შეხვედრა მხოლოდ იმიტომ ვერ მოხერხდა, რომ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი იმ დროისათვის ცხინვალში არ იმყოფებოდა.

ტალვიტიეს აზრით, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოსაგვარებლად, კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტა და ხალხებს შორის ნდობის აღდგენაა საჭირო. თავად ევროკავშირის წარმომადგენელს ეს შეუძლებელ საქმედ ნამდვილად არ ეჩვენება. როგორც თავად განაცხადა, ცხინვალში გადაადგილების დროს მას პრობლემები ნამდვილად არ შექმნია.

**"ევროკავშირი საქართველოში არსებული კონფლიქტების გადასაჭრელად ძალისხმევას არ დაიშურებს,"** - განაცხადა ტალვიტიემ და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ **"ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას."** გარდა ამისა, ტალვიტიეს თქმით, ევროკავშირს დაგეგმილი აქვს, ხელი შეუწყოს ზურაბ ჟვანიასა და ედუარდ კოკოითის შეხვედრას. ევროპაში შეხვედრის შესაძლო ადგილად კვლავ ბულგარეთის დედაქალაქი სოფია განიხილება.

*24 საათი*



*ჰაიკი ტალვიტიე.*

## რევოლუცია სრულდება, რევოლუცია იწყება - ეკონომიკაში

ვერიკო თევზაძე

*გუშინ საქართველოს მთავრობამ განიხილა "არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ" კანონპროექტი, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს დღეს წარუდგენენ. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, პარლამენტმა კანონი დაჩქარებული წესით უნდა მიიღოს, ვინაიდან ეს არის "ძალიან სპეციფიკური და დელიკატური აქტი". პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ ფინანსური ამნისტია ხვალიდან შევა ძალაში. პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია აცხადებს, რომ ეს იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ვარდების რევოლუციის შემდეგ გაატარებს.*

### ხელისუფლება რევოლუციის დასრულებას აპირებს

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის რომან გოცირიძის შეფასებით, ქონებრივი ამნისტია იქნება ვარდების რევოლუციის დასასრული საქართველოში. **"თავის მხრივ, ეს არის რევოლუცია ეკონომიკაში. ამნისტია რომ არ განხორციელდეს, საქართველოში რევოლუცია ვერ დასრულდება,"** - დასძენს გოცირიძე.

ამნისტია ეხება იმ ბიზნესმენებს, რომელთაც 2004 წლის პირველ იანვრამდე არ წარმოუდგენიათ ქონებრივი და საშემოსავლო დეკლარაცია. საგადასახადო და მაკონტროლებელ ორგანოებს მათი შემოწმება ეკრძალებათ.

გაგრძელება A3 გვერდზე

## სერიოზული კომპრომისი დაკარგული ძმისთვის

ზაზა ფაჩუაშვილი

*ჟვანია-კოკოითის შეხვედრისათვის ქართული მხარე სრულ მზადყოფნაშია. საქართველოს მთავრობა ოსურ მხარეს შესთავაზებს იგივე სტატუსს, რაც ჩრდილოეთ ოსეთს რუსეთის შემადგენლობაში აქვს - საკუთარი პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, მთავრობა, პარლამენტი, პოლიცია და, აქედან გამომდინარე, ყველა შესაბამისი უწყება. ადამიანური ლოგიკით, ამით კონფლიქტს წერტილი უნდა დაესვას, მაგრამ არავინ იცის, როგორი თავსართით წარმოგვიდგება რუსეთ-ოსეთის პოლიტიკური ლოგიკა.*

ჟვანია-კოკოითის შეხვედრა სოჭში, სავარაუდოდ, 5 ნოემბერს უნდა გაიმართოს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი სამხრეთ ოსეთის თვითმარქვია პრეზიდენტს მიართმევს კონფლიქტის მოგვარების სრულ და რეალისტურ გეგმას, რომელიც, თუ სახელმწიფო მინისტრის გოგა ხაინდრავას სიტყვებს მოვიშველიებთ, ქართული მხარის ძალიან სერიოზული კომპრომისით გვირგვინდება. ჩვენი სამოქმედო პროგრამა მოიცავს სამ პუნქტს და მრავალ საჭირბოროტო საკითხს.

### პირველი - დემილიტარიზაცია

ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კონფლიქტის ზონაში მოქმედი მთელი იარაღი თავმოყრილი იყოს ერთად რუსეთის სამშვიდობო ბატალიონის ბაზაზე, რასაც გააკონტროლებს ეუთო-ს მონიტორინგის მისია.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 იურიდიული კონსულტაცია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## სად მიდის სახელმწიფო თანხები?

როგორც ცნობილია, წლეულს ადრე გაზაფხულზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მეჩაიეობის დარგის რეაბილიტაციისათვის 3,5 მილიონი ლარი გამოიყო. ჩატარდა ტენდერი. გამოყოფილი თანხის უმეტესი ნაწილი გათვალისწინებული იყო ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციისთვის. ტენდერის შედეგად თითქმის სამ მილიონამდე ლარი სწორედ ამ მიმართულებით მომუშავე ფირმებს გამოეყოთ. ტენდერის პირობებით, ასევე, გათვალისწინებული იყო კომპლექსური სასუქების შეტანა, სასუქის კულტივაცია და სარეაბილიტაციო პლანტაციის ფართობის 35 პროცენტის გამოყვანა მძიმე და ნახევრადმძიმე გასხვლით. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მკაფიოდ იყო მითითებული შესასრულებელი სამუშაოების ვადები. ეს ვადები უკვე იწურება, მაგრამ, როგორც გამოირკვა, ჯერჯერობით, თუ გურიის მაგალითზე ვიმსჯელებთ, საქმე თავმოსაწონად ვერ არის. ეს კი მკაფიოდ გამოჩნდა გურიის რაიონებიდან ტენდერში გამარჯვებული ფირმების ხელმძღვანელების საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრ დავით შერვაშიძესთან შეხვედრაზე, რომელიც გურიის სამხარეო ადმინისტრაციის სააქტო დარბაზში გაიმართა.

სახელმწიფოსთან, ჯერჯერობით, პირნათელნი ჩოხატაურში მომუშავე ფირმები არიან, მათ სადღეისო მონაცემებით 70 პროცენტი აქვთ შესრულებული, ამ ციფრთან საკმაოდ მიზერული აღმოჩნდა ოზურგეთისა და ლანჩხუთის რაიონების ნამოღვაწარი, სადაც შესრულებულია სამუშაოთა მხოლოდ 15-20 პროცენტი. ასეთი ჩამორჩენის მიზეზები ბუნდოვნად და არადამაჯერებლად ახსნეს. ძირითადად უამინდობა, ტექნიკის დეფიციტი და საშემოდგომო სამუშაოებით მუშახელის დაკავება მოიმიზეზეს, რაც ერთობ უსუსური არგუმენტები აღმოჩნდა მინისტრისა და მხარის გუბერნატორისათვის, რომლებმაც შეახსენეს დამსწრეთ, რომ ჩოხატაური ლანჩხუთიდან და ოზურგეთიდან ათიოდ კილომეტრითაა დაშორებული - იქაც წვიმდა, ტრაქტორებიც არ გადასდით თავზე, მაგრამ ე. წ. "ტეხა-კრეფას", ანუ საშემოდგომო სამუშაოებს არ დათხოვიან.

დავით შერვაშიძის განცხადებით, სუბსიდიის ათვისების ნელი ტემპი იმანაც განაპირობა, რომ ტენდერში გამარჯვებული ფირმების ხელმძღვანელებმა ამჯერად პირადი ხეირის ნიშნები ვერ აღმოაჩინეს ამ საქმეში, რადგან ახლა ვითარება შეიცვალა და კონტროლი გამკაცრდა. გასულ წლებში ზოგიერთი ვაი-ჩინოვნიკის გამოისობით სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხებით საკუთარს ახვავრიელებდნენ. მინისტრმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ იანვარში ახალი ტენდერი უნდა გაიმართოს, რათა აპრილში მაინც გამოიყოს თანხები, პლანტაციები მომზადდეს და სამუშაოები დროულად დაიწყოს. ამიტომ ვადების გადაწევა ყოვლად დაუშვებელია.

კიდევ უფრო მკვეთრი იყო თავის შეფასებაში გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული ჟანი კალანდაძე: **"როცა მეჩაიეობის რეაბილიტაციისათვის სუბსიდიის გამოყოფის საკითხი იხილებოდა, მაშინ მე პარლამენტში ვიყავი და ერთსულოვნად დავუჭირეთ მხარი ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას. ჩვენ წავედით იმაზე, რომ ეს თანხა მოგვეკლო პენსიონერებისათვის, პედაგოგებისათვის და სხვა კატეგორიის ადამიანებისთვის, რათა იგი ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეს მოხმარებოდა. ჩვენი ქვეყნის პირობებში მყოფი სახელმწიფოსთვის 1 მილიონი ლარის გაღება პატარა საქმე არ არის. ახლა კი შემაძრწუნებელი სურათის მოწმენი ვართ. კერძო მეწარმე საკუთარი რესურსების გამოყენებაზე უნდა ფიქრობდეს, მას კი დახმარების ხელს უწვდის სახელმწიფო და ეს თანხები არამიზნობრივად იხარჯება. აგრარული პროფილის რეგიონისთვის ჩაიზე უარის თქმა დამღუპველი იქნება, რადგან სხვა ალტერნატივა, ჯერჯერობით, არ ჩანს. როგორც ეტყობა, ამ საქმეში რაღაც კორუფციული მექანიზმი იყო ჩამოყალიბებული და იგი საბოლოოდ უნდა დაინგრეს. მე შევქმნი საგანგებო კომისიას, რათა გუბერნიის მასშტაბით შესწავლილ იქნეს თითოეული ორგანიზაციის მიერ შესრულებული სამუშაო, დაწვრილებით იქნება გამოკვლეული, თუ როგორ არის დახარჯული თითოეული თეთრი."**

ამის შემდეგ რწმუნებულმა თათბირი დასრულებულად გამოაცხადა და მინისტრის, შეხვედრის სხვა მონაწილეების და ჟურნალისტების ამალის თანხლებით პლანტაციებს მიაშურა. ამ რევიზიის შეჯამებით, როგორც ჩანს, ჟანი კალანდაძე უკმაყოფილო დარჩა, რადგან განკარგულება გასცა, რომ ამ საქმეს პროკურატურამ და ფინანსურმა პოლიციამ გადაავლოს თვალი.

დასკვნის სახით კი იმის თქმა შეიძლება, რომ მეჩაიეობის დარგის რეაბილიტაციის პრობლემა კვლავ გადაუჭრელი რჩება; წელი წელს მისდევს, სუბსიდია-სუბსიდიას, მაგრამ მეჩაიეობაში რეალური ძვრები არ ჩანს; წლეულსაც, მხოლოდ ოზურგეთის რაიონზე, 21 ლოტით მილიონამდე ლარია გამოყოფილი. ეს ფული რომ პირდაპირ მეჩაიეებთან მივიდეს, საქმეც გაკეთდებოდა და ამ გაძვალტყავებული კუთხის ხალხი, მეჩაიეობაში დასაქმებული მაინც, ერთგვარ შვებას იგრძნობდა. სხვადასხვა ჯურის შუამავლების წყალობით, სახელმწიფო თანხები, როგორც ჩანს, გვერდით მიედინება. თუმცა, სამხარეო ადმინისტრაციაში ჩატარებულმა თათბირმა იმედი გააჩინა, რომ განუკითხაობა აღიკვეთება.

*თამაზ ხარაიშვილი,*
*ოზურგეთიდან*

## რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სააკაშვილის პოლიტიკა არ მოსწონს

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები კრიტიკულად აფასებენ საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან და კონფლიქტის ზონებთან მიმართებაში. "ოფიციალური თბილისის მხრიდან არამეგობრული პოლიტიკის გაგრძელების შემთხვევაში" კი, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები "საქართველოზე ეკონომიკური ზეწოლის განხორციელებას" მოითხოვენ.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს გუშინდელ პლენარულ სხდომაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი მიიწვიეს. სახელისუფლებო საათის ფარგლებში, მან დეპუტატებთან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებსა და მთელ მსოფლიოში არსებულ პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით საგარეო პოლიტიკური უწყების დამოკიდებულებაზე ისაუბრა. საქართველოს საკითხი სწორედ ამ კონტექსტში განიხილეს. თავად მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ მზად არის კონსტრუქციული დიალოგისთვის საქართველოსთან და ახლო მომავალში, სალომე ზურაბიშვილის მოწვევით, იგი თბილისში ჩავა. დეპუტატი ვიქტორ ილიუხინი საქართველოსთან პოლიტიკური დიალოგის ეკონომიკურ ჭრილში გადატანის მომხრეა. "საქართველო რუსეთისგან ენერგომატარებლებს იღებს და თუ სააკაშვილი რუსეთისადმი აგრესიულ დამოკიდებულებას არ შეცვლის, რუსეთი საქართველოსთან დაკავშირებით არსებულ რეზერვებს აამოქმედებს და ეს რეზერვები საკმაოდ მკაცრი იქნება", - აცხადებს ილიუხინი. რაც შეეხება დეპუტატების საერთო განწყობას, მათ საგარეო საქმეთა მინისტრს კიდევ ერთხელ შეახსენეს, რომ "საქართველომ არ შეასრულა შეთანხმებები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებით და კვლავ აგრძელებს ძალისმიერი მეთოდებით უნიტარული სახელმწიფოს მშენებლობას. ეს ეხება როგორც აფხაზეთს, ასევე სამხრეთ ოსეთს". დახურულ კარს მიღმა გამართული შეხვედრიდან გამოსული დეპუტატები კომენტარებისგან თავს იკავებდნენ. ერთადერთი, რაზეც ისინი საუბრობდნენ, ის იყო, რომ საქართველომ უნდა შეწყვიტოს აგრესიული დამოკიდებულება და აგრესიული განცხადებები რუსეთთან მიმართებაში.

*ინტერ-პრესი*

## ცესკო-მ პარლამენტს გამოკლებული წევრების ადგილმონაცვლეები დაამტკიცა

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დღევანდელ სხდომაზე პარლამენტის შემადგენლობას გამოკლებული წევრების ადგილმონაცვლეები დაამტკიცა.

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოდან აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადასულ, "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატების" პარტიული სიიით წარდგენილ დეპუტატებს ბეჟან კალანდაძეს, მალხაზ ბეგიაშვილს, ლევან ჩხეიძეს, გიორგი ხაჩიძეს სიაში მომდევნო კანდიდატები - ნიკოლოზ ალხაზაშვილი, რეზო ფირაშვილი, გიორგი აბულაძე და გიორგი ახვლედიანი ჩაენაცვლნენ. პარლამენტის წევრთა უფლებამოსილება ცესკო-მ გუშინ ერთხმად ცნო.

*ინტერ-პრესი*

## ვისთვის რეკს საათი

ნანა ქადაგიშვილი

*თბილისის მერიაში გამართული გუშინდელი თათბირი, რომელიც ქალაქში არსებულ ანტისანიტარიას უნდა მიძღვნოდა, დამსწრეთათვის და, განსაკუთრებით, ისანი-სამგორის რაიონის გამგებლის ზურაბ ადამიასთვის ძალზე მოულოდნელად დასრულდა. ადამიას მიერ მერისთვის მირთმეულ საჩუქარს გამგებლის სავარძელი შეეწირა.*



*საათი, რომელმაც ისანი-სამგორის გამგებლის სავარძელი შეარყია, თბილისის მერისა კი - გაამყარა.*

ჯერ კიდევ გუშინწინ საღამოს ადამია ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ თბილისობის დღესასწაულის აღსანიშნავად ჭიაბერაშვილისთვის გაკეთებული საჩუქარი ასეთ რეაქციას გამოიწვევდა. თანაც, საჩუქარიც არის და საჩუქარიც. სასაჩუქრე ყუთში, რომელიც მერს გადაცემისთანავე არ გაუხსნია, 1 500 დოლარიანი მაჯის საათი აღმოჩნდა. ჰოდა, როცა ისანი-სამგორის რაიონის გამგებელმა გუშინდელ სხდომაზე ჭიაბერაშვილის ხელში ეს ყუთი დაინახა, მაშინღა მიხვდა, რომ სხდომას ანტისანიტარიასთან კავშირი არ ექნებოდა. **"რამდენი გაქვთ ხელფასი?"** - სხდომის ამ კითხვით დაწყებამ დანარჩენი გამგებლებიც შეაფიქრიანა. გამგებლებს ხელფასი 160 ლარი, ხოლო დანამატი 200 დოლარი ჰქონიათ. ასეთი პასუხის მიღების შემდეგ ჭიაბერაშვილმა "კვანძი გახსნა".

**"როგორ შეუძლია გამგებელს, რომელსაც ასეთი ანაზღაურება აქვს, მერს 1 500 დოლარიანი საჩუქარი გაუკეთოს? ესე იგი, გაჭირვებული ადამიანებისთვის განკუთვნილი თანხა გამგებლის ჯიბეში მიდის. პრეზიდენტს მერად იმიტომ არ დავუნიშნივარ, რომ 1500 დოლარიანი საჩუქრები ავიღო და მანქანებით ვიგრიალო,"** - ასეთი განცხადების შემდეგ ჭიაბერაშვილმა გადაფითრებულ ადამიას გათავისუფლების შესახებ განცხადების დაწერა მოსთხოვა. გაოგნებულმა ადამიამ ჟურნალისტებს ისღა უთხრა, რომ საათი ნათესავმა მაჩუქაო.

როგორც მერიაში განაცხადეს, ძვირადღირებულ საბედისწერო საათს ისანი-სამგორის რაიონის გამგებელს სახლში გაუგზავნიან. თუმცა, ქალაქის მერი უსაათოდ მაინც არ დარჩენილა. მისი საქციელით კმაყოფილმა პრეზიდენტმა ჭიაბერაშვილი საკუთარი მაჯის საათით დააჯილდოვა.

## სერიოზული კომპრომისი დაკარგული ძმისთვის

პირველი გვერდიდან

ოსურმა მხარემ, პოლიციის გარდა, ყველა შეიარაღებული ფორმირება უნდა გააუქმოს და რეგიონიდან გაიყვანოს ჩამოსული ბოევიკები. უნდა გაინაღმოს დანაღმული ტერიტორიები და მოიშალოს პოზიციები. აღსანიშნავია, რომ ეს იქნება ქართული მხარის მიერ დღემდე მიღწეული შეთანხმებების მოთხოვნა.



*გოგა ხაინდრავა სოჭში შეხვედრის წინ ოპტიმისტურადაა განწყობილი.*

### მეორე - სოციალური რეაბილიტაცია

საქართველოს ხელისუფლება რეგიონის რეაბილიტაციისთვის გამოყოფს თანხას. მას დაეხმარება ევროკავშირიც, რომელიც ამ ეტაპზე იგივე მიზნისათვის 2,5 მილიონ ევროს გამოყოფს, მომავალში კი - კიდევ 2 მილიონს. თუ ყველაფერი კარგად იქნება, 4-მილიონიანი ტრანშის პერსპექტივაც არის და საბოლოოდ რეგიონს წარმატებული სოციალური პროექტების განხორციელებისათვის სოლიდური თანხა მოხმარდება.

როკის გვირაბი (ესეც ამ ეტაპზე) უნდა გაკონტროლდეს შერეული სამხედრო ძალებისა და ეუთო-ს მისიის მიერ. ამავე დროს, ქართული მხარის გადაწყვეტილებით, როგორც სამხრეთ, ასევე, ჩრდილოეთ ოსეთს უნდა მიეცეს საქართველოს პორტებითა და გზებით შეღავათიანი სარგებლობის პრივილეგია. გოგა ხაინდრავას განცხადებით, ეს იქნება ოსეთის მხარის ლეგალური შემოსავალი, თანაც - იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე ისინი არალეგალური გზით იღებდნენ. შეღავათის მიცემა ჩრდილოეთ ოსეთისთვის კი რუსეთის ინტერესებს ეხმაურება.

### მესამე - პოლიტიკური მოწესრიგება

ქართული მხარის სამოქმედო გეგმის მესამე პუნქტი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, მაგრამ, როგორც გოგა ხაინდრავა ამბობს, აქამდე უნდა მივიდეთ, ანუ - წინა ორი პუნქტი უნდა შესრულდეს. შემდეგ უკვე ქართული მხარე ოსურს შესთავაზებს იმას, რასაც გოგა ხაინდრავა ჩვენს დიდ და სერიოზულ კომპრომისს უწოდებს. ეს არის იგივე ავტონომიური სტატუსის მინიჭება, რაც ჩრდილოეთ ოსეთს რუსეთში აქვს.

ეს გეგმა სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ გაახმოვანა გუშინ არასამთავრობო სექტორთან შეხვედრის დროს. შეხვედრის ორგანიზატორები იყვნენ ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" და კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების ცენტრი.

ერთ-ერთ შეკითხვაზე ხაინდრავამ უპასუხა, რომ ჩავარდნის შემთხვევაში, სხვა გეგმებიც არსებობს, მაგრამ მათი გახმოვანება, ჯერჯერობით, რეკომენდებული არ არის. თუმცა, მინისტრმა ისიც აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა არანაირ ძალისმიერ გზას არ განიხილავს და მხოლოდ მშვიდობიან გზებს ეძებს.

## "მემარჯვენე ოპოზიცია" ქულებს აგროვებს

*ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოაშკარავება, მათი საჯარო მსჯელობის საგნად ქცევა და ამ უფლებების დარღვევისთვის ხელისუფლების ღია კრიტიკა - ეს ის კოზირია, რომელსაც მეტ-ნაკლებად წონიანი ოპოზიციური პარტია ყოველთვის იყენებს, რათა ამომრჩეველთა თვალში (და საკუთარ აქტივში) საკმაოდ სერიოზული ქულები ჩაიწეროს.*

თამარ მჭედლიშვილი

აქედან გამომდინარე, ის ინიციატივა, რომელიც გუშინ "მემარჯვენე ოპოზიციონერებმა" გააჟღერეს, როგორც იტყვიან, ჰაერიდან არ მოსულა. ადამიანის უფლებების დასაცავად ღია ბრძოლის გამოცხადება და მოსახლეობისთვის უფასო სატელეფონო ცხელი ხაზის გახსნის იდეა, მათთვის აშკარად მომგებიანი პიარ-სვლა შეიძლება აღმოჩნდეს. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უკვე ღიად საუბრობს იმის თაობაზე, რომ რიგითი მოქალაქეების უფლებები ისევე ირღვევა, როგორც ადრე ანუ რევოლუციამდე.

სახელმწიფო კანცელარიასა თუ პარლამენტის წინ კვლავაც იკრიბებიან ის ადამიანები, რომლებიც კონკრეტულ ბრალდებებს უყენებენ ამა თუ იმ სამართალდამცავ სტრუქტურას, წვრილ ან მსხვილ ჩინოვნიკებს. ეს ფაქტი კი "მემარჯვენე ოპოზიციას" აქტიური მოქმედების საშუალებას აძლევს.

**"დღეს ადგილი აქვს ადამიანების უფლებების დარღვევას წინასწარი დაკავების საკნებში, უკანონო დაპატიმრებებს, იარაღისა და ნარკოტიკების ჩადებას, საკუთრების უფლების, პატივისა და ღირსების შელახვას. მემარჯვენე ოპოზიციის წინასაარჩევნო დაპირება სწორედ ადამიანის უფლებების დაცვა იყო. აქედან გამომდინარე, თავს ვალდებულად მივიჩნევთ, ადამიანის უფლებათა დარღვევის ყოველ ცალკეულ ფაქტზე მოვახდინოთ მწვავე რეაგირება, გამოვიყენოთ როგორც საპარლამენტო ტრიბუნა და საპარლამენტო კომიტეტები, ასევე აქტიურად ჩავრთოთ საერთაშორისო ორგანიზაციები და საელჩოები,"** - აცხადებენ "მემარჯვენე ოპოზიციონერები" და მოსახლეობას ცხელი ხაზის ტელეფონის ნომერს ამცნობენ: **92-24-15.**

როგორც "მემარჯვენეთა" ფრაქციის წევრი კოკა გუნცაძე აცხადებს, ყველა შემოსული საჩივარი თუ ინფორმაცია იურისტების მიერ გადამოწმდება. "მემარჯვენე ოპოზიციონერებმა" პირობა დადეს, რომ მათთვის კომპრომისები მიუღებელია. ისინი საკმაოდ პრინციპულები იქნებიან და უკან არ დაიხევენ.

საკმაოდ საინტერესო დეტალი: ამ ინიციატივის გაჟღერების პარალელურად, გუშინ "მემარჯვენეებმა" ხელისუფლებას ის წინასაარჩევნო დაპირებებიც შეახსენეს, რომელიც ცალკე "ნაციონალებისა" და ცალკე "დემოკრატების" მხრიდან რევოლუციის წინ არაერთხელ გაისმა.

საუბარია "დემოკრატიისკენ სავალ ათ ნაბიჯზე", რომელიც რევოლუციამდე ორიოდე თვით ადრე არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ ერთობლივად შეიმუშავა და რომელსაც დღევანდელი მმართველი პოლიტიკური გუნდი დიდი სიამოვნებით შეუერთდა. ეს ათი პრინციპი ქვეყნის სამართლებრივ მოწყობას ეხებოდა.

პარლამენტარ გიორგი ცაგარეიშვილის თქმით, "მემარჯვენე ოპოზიციას" მიაჩნია, რომ წინასწარი პატიმრობის ვადები მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს, სასამართლოებმა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ გადაწყვეტილებები ღია სხდომებზე უნდა მიიღონ, პირველი ინსტანციის მოსამართლეების დანიშვნა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევით, პირველ პირებთან - მერებთან და გამგებლებთან შეთანხმებით უნდა განხორციელდეს.

"მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ უნდა განხორციელდეს პროკურატურის სასწრაფო დეცენტრალიზაცია, რაიონების პროკურორებს ადგილობრივი მოსახლეობა უნდა ირჩევდეს, შინაგან საქმეთა სამინისტრო კი რამდენიმე უწყებად უნდა დაიშალოს და ჩამოყალიბდეს უბნის ინსპექტორების - შერიფების ინსტიტუტი, რომელიც ასევე არჩევითი იქნება.

თითოეულ საკითხთან დაკავშირებით "მემარჯვენე ოპოზიცია" საკანონმდებლო ინიციატივების მომზადებას და პარლამენტში შეტანას გეგმავს. "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ სახელისუფლებო ფრაქცია მათ ინიციატივებს გაიზიარებს. **"თუ სახელისუფლებო ფრაქცია ჩვენს საკანონმდებლო ინიციატივებს და წინადადებებს არ გაიზიარებს, მაშინ ხელისუფლება საჯაროდ უნდა გამოვიდეს და თქვას, რომ არ ეთანხმება მერის, პროკურორის არჩევითობასა და თვითმმართველობის ორგანოების გაძლიერებას,"** - პერსპექტიულ ქულებსაც ითვლიან ოპოზიციონერები.

### მოკლედ

#### აფხაზეთში შეიარაღებულ დაპირისპირებას არ გამორიცხავენ

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მიერ, პრეზიდენტობის კანდიდატ რაულ ხაჯიმბას სარჩელის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ვადის მოახლოებასთან დაკავშირებით, აფხაზეთში ვითარება იძაბება. პრეზიდენტობის ორივე კანდიდატის ბანაკებში პოლიტიკურ ოპონენტებთან შეიარაღებულ დაპირისპირებას არ გამორიცხავენ.

3 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებული კანდიდატის, კრემლის ფავორიტის რაულ ხაჯიმბას სარჩელს, რომლითაც ის საარჩევნო კომისიის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვს, აფხაზეთის უზენაესი სასამართლო 18 ოქტომბრიდან განიხილავს. სოხუმის პოლიტიკურ წრეებში ვარაუდობენ, რომ სასამართლო გადაწყვეტილებას მიმდინარე კვირის განმავლობაში მიიღებს.

არაოფიციალური ინფორმაციით, ხაჯიმბას მხარდამჭერი სახელისუფლებო წრეები რეზერვისტთა ბაზაზე შეიარაღებულ ფორმირებებს აფხაზეთის ყველა რაიონში ქმნიან და მათ ანაზღაურების სახით 300-300 აშშ დოლარს ჰპირდებიან.

დაზუსტებული ინფორმაციით, სოხუმის ფილარმონიაში, რომელიც ხაჯიმბას მომხრეებმა 12 ოქტომბერს დაიკავეს, ყოველდღიურად მატულობს შეიარაღებულ პირთა რაოდენობა.

საბრძოლო განწყობას არ მალავს გამარჯვებული კანდიდატის - ოპოზიციის ლიდერის სერგეი ბაღაფშის მხარდამჭერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "ამცახარაც". სოხუმიდან მიღებული ინფორმაციით, ძირითადად ომის ვეტერანებით დაკომპლექტებული მოძრაობა საბრძოლო იარაღით მარაგდება და არჩევნებში ბაღაფშის საბოლოო გამარჯვებისთვის ემზადება. ადგილობრივ დამკვირვებელთა შეფასებით, ბაღაფშის მომხრეთა რაოდენობა ხაჯიმბას მხარდამჭერთა რიცხვს საგრძნობლად აღემატება. **ინტერ-პრესი**

#### პრესის თავისუფლების მსოფლიო რეიტინგი

პრესის თავისუფლების მსოფლიო რეიტინგში 2004 წელს საქართველომ 94-ე ადგილი დაიკავა. აღნიშნული რეიტინგი გუშინ საერთაშორისო ორგანიზაციამ "რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" გამოაქვეყნა.

რეიტინგის მიხედვით, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, ყველაზე ცუდი მაჩვენებლები ბელორუსიას (144-ე ადგილი) და უზბეკეთს (142-ე ადგილი) აქვთ. რაც შეეხება ბალტიისპირეთის ყოფილ რესპუბლიკებს - ლატვიას, ესტონეთსა და ლიტვას, მათ, შესაბამისად, მე-10, მე-11 და მე-16 ადგილები დაიკავეს.

რეიტინგის შემდგენლებმა, 167 ქვეყანას შორის, რუსეთს 140-ე ადგილი მიაკუთვნეს. როგორც მათ კომენტარშია აღნიშნული, კრემლი ეროვნულ ტელევიზიას აკონტროლებს, რაც ბესლანის მოვლენებმა დაადასტურა. გარდა ამისა, უარყოფითი პოზიციის მიზეზად ჩეჩნეთის მოვლენებთან დაკავშირებით ცენზურის გავრცელება და მოსკოვში ჟურნალ "ფორბსის" რუსულენოვანი გამოცემის მთავარი რედაქტორის პოლ ხლებნიკოვის მკვლელობა სახელდება.

პრესის თავისუფლების მსოფლიო რეიტინგში რუსეთზე წინ აღმოჩნდნენ უკრაინა (139-ე ადგილი), აზერბაიჯანი (136-ე ადგილი), ყაზახეთი (130-ე ადგილი), ტაჯიკეთი (95-ე ადგილი), ყირგიზეთი (107-ე ადგილი) და მოლდოვა (78-ე ადგილი).

შეფასების კრიტერიუმი იყო ცენზურის დონე, დაპატიმრებულ და მოკლულ ჟურნალისტთა რაოდენობა, მასმედიის საქციო კაპიტალებში სახელმწიფოს წილი და ჟურნალისტური საქმიანობის საკანონმდებლო ბაზა.

როგორც მოსალოდნელი იყო, სიტყვის თავისუფლების მხრივ ყველაზე ცუდი მდგომარეობა აღმოსავლეთ აზიის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებშია. რეიტინგში ბოლო 10 ადგილი ჩრდილოეთ კორეას, ვიეტნამს, კუბას, თურქმენეთს, საუდის არაბეთს, ირანსა და ნეპალს შორის განაწილდა.

რეიტინგის სათავეში იმყოფებიან დანია, ფინეთი, ისლანდია. ევროკავშირის ქვეყნებს შორის, პრესის თავისუფლების თვალსაზრისით, ყველაზე ცუდი მაჩვენებელი იტალიას და ესპანეთს აქვთ, რომლებმაც სიაში 39-ე ადგილი გაიყვეს.

ამერიკის შეერთებულ შტატებს რეიტინგში 22-ე ადგილი უკავია. კომენტარში მითითებულ ნაკლს შორისაა "ინფორმაციის წყაროთა ხელშეუხებლობის პრინციპის დარღვევა, ჟურნალისტებისთვის ვიზების მიღებასთან დაკავშირებული პრობლემები და ჯორჯ ბუშის საწინააღმდეგო დემონსტრაციების დროს ჟურნალისტთა დაპატიმრება". **ინტერ-პრესი**

#### ზვიადისტების მივიწყებული ფრთა გამოჩნდა

რამდენიმე დღის წინ დაარსებულმა არასამთავრობო ორგანიზაცია "რეპრესირებულთა კავშირმა" გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, სადაც პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ წამოწყებულ ეროვნული თანხმობისა და შერიგების პროცესს ფარსი უწოდეს. "სააკაშვილის მიერ დეკლარირებული თანხობა და შერიგება ფარსია," - აღნიშნა ორგანიზაციის ერთ-ერთმა დამფუძნებლმა ლეილა ცომაიამ. მისი თქმით, სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს ყოფილი "ზვიადისტები" უფრო ცუდ პირობებში იმყოფებიან, ვიდრე შევარდნაძის ეპოქაში. **24 საათი**

#### ოსებმა ქურთასა და აჩაბეთს ისევ ესროლეს

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში წუხელ შედარებითი სიმშვიდე იყო, თუმცა ოსური მხარის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან ხანმოკლე სროლები სოფლების ქურთისა და აჩაბეთის მიმართულებით მაინც იყო.

ამ დროისთვის კონფლიქტის ზონაში განლაგებული ქართული სამშვიდობო ძალების სარდალი ალეკო კიკნაძე დიდი ლიახვის ხეობაში ინსპექტირებაზე იმყოფება. ამავე მიზნით, ფრონეს ხეობაში გუშინ შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი მარატ კულახმეტოვიც გაემგზავრა. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "ქარიშხალი ჭიქაში..."

პირველი გვერდიდან

პირადად ჩემთვის, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ისეთ პოლიტიკურ დოკუმენტს წარმოადგენს, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს კითხვას - უზრუნველყოფს თუ არა ის ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის აღდგენას? ან - წარმოადგენს თუ არა რეალურ ნაბიჯს ქვეყნის ერთიანობის აღსადგენად? იმისათვის, რომ ამ კითხვას პასუხი გაეცეს, უნდა გვქონდეს ათვლის წერტილი, უფრო სწორად კი - რა ვადებში მოვიაზრებთ ამ პრობლემის მოგვარებას. ვფიქრობ, საზოგადოებისთვის სავსებით მისაღებია პარლამენტის თავმჯდომარის ქალბატონ ნინო ბურჯანაძის განცხადება საგაზაფხულო სესიის პირველ სხდომაზე, რომ "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის გადაწყვეტა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პირველ პერიოდსა და 2004-2008 წლების მოწვევის პარლამენტის მუშაობის დროს მოხდება". ახლა შეგვიძლია კიდევ უფრო დავაზუსტოთ ჩვენი კითხვა: წარმოადგენს თუ არა 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის აღდგენის საფუძველს 2008 წლისათვის?

ისინი, ვინც ამ პრობლემის მოგვარების შესაძლებლობას მხოლოდ სამშვიდობო პროცესის შემდგომი გაღრმავების და მოლაპარაკების გზით ვარაუდობენ, ფიქრობენ, რომ პირველ რიგში საქართველო აფხაზებისათვის ეკონომიკურად უფრო მიმზიდველი უნდა გახდეს, ვიდრე რუსეთი. მაგრამ ოთხი წლის განმავლობაში ამის მიღწევა, ქართულ ეკონომიკას სათავეში ბიოლოგებისა და ფიზიკოსების ნაცვლად ერჰარდებიც რომ ჩავუყენოთ, ობიექტურად შეუძლებელია (ამით სრულებით არ მსურს ეჭვქვეშ დავაყენო ბატონი ზურაბ ჟვანიას პოლიტიკური ალღო და ნიჭი, ან ბატონი ზურაბ ნოღაიდელის კარგი ადმინისტრირების უნარი. ვერც ე. პრიმაკოვს დავეთანხმები, რომ რუსი ოლიგარქების წარმატების მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი საჭირო დროს აღმოჩნდნენ განსაზღვრულ ადგილზე. ვფიქრობ, იმ დროს იმ ადგილზე ბატონი კახა ბენდუქიძის გარდა, მილიონერად გახდომის უამრავი მსურველი იქნებოდა).

აფხაზეთის ეკონომიკა ათწლეულების განმავლობაში რუსეთზე იყო ორიენტირებული, ხოლო ცხოვრების დონის საზომს მათთვის



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*პრეზიდენტმა შეიარაღებული ძალების მშენებლობა სახელმწიფო პრიორიტეტად გამოაცხადა, მაგრამ როდის იქცევა ქართული არმია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესში ფაქტორად?*

მოსკოვი და სოჭი წარმოადგენს და არა ვოლგისპირეთი. ამიტომ, აფხაზებისათვის საქართველო ეკონომიკურად რუსეთზე უფრო მიმზიდველი რომ გახდეს ოთხ წელიწადში, ქართულ ეკონომიკაში ინვესტიციების სახით, სულ მცირე, 5-7 მილიარდი დოლარი უნდა ჩაიდოს, რაც, სამწუხაროდ, ისევე არარეალურია, როგორც სამშვიდობო პროცესის წარმატებით დასრულება შესაბამისი ძალის დემონსტრირების გარეშე.

იმისათვის, რომ სწორი პასუხი მივიღოთ კითხვაზე - როგორი თანხვედრაა ქვეყნის გაცხადებულ პოლიტიკურ ამოცანასა (მთლიანობის აღდგენა ოთხ წელიწადში) და სახელმწიფო ბიუჯეტს შორის (თავდაცვის ხარჯები), უნდა ვიცოდეთ, რა რაოდენობის შეიარაღებული ძალები გვჭირდება და რა დაგვიჯდება მისი შექმნა, რათა, ერთი მხრივ, სეპარატისტები მოეგონ გონს, ხოლო მეორე მხრივ შეიარაღებული კონფრონტაცია რუსეთისთვის უპერსპექტივო გახდეს. რადგან ქვეყანაში წლების მანძილზე, სრულიად შეგნებულად, არ შექმნილა უსაფრთხოების კონცეფცია, რომელშიც ყველა ეს საკითხი იქნებოდა ასახული, იძულებული ვარ, მკითხველს ჩემი გათვლები შევთავაზო.

1. რუსეთი არ ერევა სამხედრო დაპირისპირებაში და ნეიტრალურ პოზიციას იკავებს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ რუსეთის ასეთი პოზიცია წარმოუდგენლად და შეუძლებლად მიმაჩნია უახლოეს თვალსაწიერზე. გაუგებარია, რა ცვლილებები შეიძლება მოხდეს მსოფლიოში და რუსეთში, ან რა უნდა დავთმოთ ჩვენ, რომ მისი პოზიცია ნეიტრალური, ფაქტობრივად კი, საქართველოსთვის კეთილგანწყობილი გახდეს? ასეთი ვითარების შემთხვევაში, სპეციალური ოპერაციის ჩასატარებლად, ვიმეორებ - სპეციალური და არა სამხედრო, აუცილებელი იქნება 2-3 სწრაფი რეაგირების ბრიგადა ათი ათასი სამხედროს შემადგენლობით.

2. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს შეიარაღებული ძალები შეძლებენ აფხაზეთის მიმართულებით ოციათასკაციანი დაჯგუფების კონცენტრირებას, მაშინ 1992-1993 წლების სცენარი რუსეთისთვის არაეფექტური იქნება. მხედველობაში მაქვს, ერთი მხრივ, განცხადებები ჩაურევლობის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, ე.წ. კაზაკების, ინსტრუქტორების, ჩრდილოეთ კავკასიელების მობილიზება, განუსაზღვრელი რაოდენობის იარაღით მომარაგება, "გაურკვეველი" წარმოშობის ავიაცია, ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპებზე რეგულარული სამხედრო ნაწილების შენიღბული გამოყენება და ა.შ. არსებობს "მეორე ფრონტის" რეალური საშიშროებაც. ამავე დროს გაცნობიერებული უნდა გვქონდეს, რომ თუ რუსეთმა გადაწყვიტა თავისი მოქალაქეების დაცვის საბაბით კონფლიქტში ღიად ჩაერთოს (რაც თავისთავად გულისხმობს სამხედრო ინტერვენციას), ეს იქნება ერთიანი ქართული სახელმწიფოსა და აფხაზური ეთნოსის დასასრული.

3. ოცდაათიათასიანი "კომანდოს" ტიპის და დონის შეიარაღებული ძალები (რეზერვისტების შესაბამისი ოდენობით ზურგგამაგრებული) არის ის აუცილებელი მინიმუმი, რომელიც იძლევა იმის გარანტიას, რომ ღია, დაუფარავი აგრესიის დაწყება საქართველოს წინააღმდეგ რუსეთისათვის სარისკო იქნება. მხედველობაში მაქვს: სამხედრო ბლიცკრიკის შეუძლებლობა, კონფლიქტის ვადის ხანგრძლივობა, საერთაშორისო იზოლაცია, დსთ-ს სივრცეზე კონტროლის სრული დაკარგვა, ჩეჩნური სცენარის გამეორება რუსეთის სხვადასხვა რეგიონში და ა.შ. ასეთი პერსპექტივის შემთხვევაში, რუსეთს, რასაკვირველია, მოუწევს პოზიციების დათმობა და რეალური მოლაპარაკების დაწყება სეპარატისტულ რეგიონებთან დაკავშირებით.

ამავე დროს, სამხედრო მშენებლობა სულაც არ გულისხმობს ომის დაწყების აუცილებლობას. პირიქით, ის სამშვიდობო პროცესის დაჩქარებისა და წარმატების მთავარი და ერთადერთი გარანტიაა.

ასეთი რაოდენობის შეიარაღებული ძალების და რეზერვისტების მომზადება, აღჭურვა და შენახვა მინიმუმ სამი მილიარდი ლარი დაჯდება, რაც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ - არსებული სამხედრო ბიუჯეტის პირობებში რა დრო დაგვჭირდება დასახული ამოცანის შესასრულებლად.

საკომიტეტო მოსმენაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ბატონმა ზ. ნოღაიდელმა განაცხადა: "წელს თავდაცვითი სტრუქტურების დაფინანსებამ მთლიანი შიდა პროდუქტის 0,65 პროცენტი შეადგინა, 2005 წლისათვის ეს მაჩვენებელი ერთ პროცენტს გადააჭარბებს, ორ პროცენტამდე ასვლისათვის კი კიდევ რამდენიმე წელია საჭირო. თუ ნატო-ში მომავალ წელს მიგვიღებენ, ამ პროცესს დავაჩქარებთ და ორპროცენტიან ზღვრამდე ავალთ". უმადურობა იქნება, ვერ შეამჩნიო სხვაობა 67 მილიონსა და 119 მილიონ ლარს შორის, მაგრამ, ვფიქრობ, ერთგვარი ირონია ამ საკითხთან დაკავშირებით უადგილოა, რადგან ბატონმა ზურაბმა შესანიშნავად იცის, რომ სანამ ქვეყანა ტერიტორიულ მთლიანობას არ აღადგენს და მეზობლებთან საზღვრების საკითხს არ დაარეგულირებს, ნატო-ში გაწევრიანებაზე ფიქრიც უიმედო პერსპექტივაა.

ამავე დროს, აუცილებლად მიმაჩნია, კიდევ ერთხელ გავიმეორო: როდესაც მოწინააღმდეგე ძალოვან კომპონენტებში შენზე ძლიერია, წარმატებას მეტი გონიერებითა და ზუსტად გათვლილი "ასიმეტრიული" საპასუხო ნაბიჯებით უნდა მიაღწიო. ამ მხრივ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ჩვენი დამოკიდებულება სპეცსამსახურების მიმართ. ეჭვგარეშეა, რომ მათი დღეს არსებული დაფინანსების მოცულობა არ იძლევა აქტიური მუშაობის საშუალებას. თუ მათ 2005 წელს 60 მილიონი ლარი არ გამოეყო (დაგეგმილია დაახლოებით 27 მილიონი), შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ მომავალი წელი ამ მიმართულებით, ფაქტობრივად, დაკარგული იქნება. ხოლო რას ნიშნავს თუნდაც ერთი წლის დაკარგვა ისეთ სპეციფიკურ სფეროებში (განსაკუთრებით ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის), როგორიცაა საგარეო დაზვერვა, კონტრდაზვერვა და "სპეციალური ოპერაციების მომზადება", ვფიქრობ, კომენტარს არ საჭიროებს.

საპარლამენტო უმრავლესობისა და მთავრობის შეხვედრის შემდეგ, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, ბატონმა მიხეილ მაჭავარიანმა ნახევრად ხუმრობით გააჟღერა, რომ თხოვნის ფორმასაც დიდი მნიშვნელობა აქვსო. თუ პრობლემა მხოლოდ ამაშია, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაც რომ "ჭიქაში ქარიშხალს" არ დაემსგავსოს - უმორჩილესად ვთხოვ საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ზურაბ ჟვანიას, პოზიციას და ოპოზიციას: ეგებ ერთად გავიჭირვოთ, რაღაც სამომავლოდ გადავდოთ, რაღაცაზე უარი ვთქვათ და გამოვძებნოთ საშუალება, რათა 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით თავდაცვა 250 მილიონი ლარით, ხოლო უშიშროება 60 მილიონი ლარით დავაფინანსოთ. ამით ხომ მტერსაც და მოყვარესაც დავუმტკიცებთ, რომ ქვეყნისათვის ამ უმთავრეს საკითხში ჩვენი სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ შორდება.

# საპარლამენტო უმრავლესობა თავს გამარჯვებულად მიიჩნევს

პირველი გვერდიდან

კომიტეტში გუშინ გამართულ მოსმენას ხმაურის გარეშე მაინც არ ჩაუვლია.

მემარჯვენე ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ **"პარლამენტში წარმოდგენილ საგადასახადო კოდექსის პროექტს ანგარიში და ანალიზი არ ახლავს."** ოპოზიციონერი დეპუტატი იმაზეც საუბრობს, რომ ელექტრონული და ბეჭდვითი მედიის გადასახადებისგან გათავისუფლების საკითხი თითქოს შეთანხმებული იყო, მაგრამ ამაზე დღეს ყველა დუმს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ზურაბ ტყემალაძე თავის კოლეგებს შეახსენებს, რომ ეთიკის კოდექსზე ხელი აქვთ მოწერილი.

გარდა ამისა, მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენელს მიაჩნია, რომ **"ფინანსთა მინისტრი ანგარიშისგან ძალიან შორს არის".** ასეთ დასკვნამდე ტყემალაძე იმ ფაქტმა მიიყვანა, რომ იმპორტირებულ საავტომობილო ზეთებზე მთავრობა აქციზის შემოღებას არ აპირებს.

**"საავტომობილო ზეთებიდან ბიუჯეტში 250 მილიონი ლარი უნდა შედიოდეს, ახლა კი მხოლოდ მილიონნახევარი შედის",** - ირწმუნება ტყემალაძე, თუმცა, ზურაბ ნოღაიდელი მის გათვლებს კატეგორიულად არ ეთანხმება.

ოპოზიციის პროტესტი საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილი იყო, რადგან გუშინდელი საკომიტეტო მოსმენის დროს მთავრობა და საპარლამენტო უმრავლესობა, ძირითადად, ერთმანეთისთვის დითირამბების მიძღვნით იყვნენ დაკავებულნი, თანაც, ამას ისე აკეთებდნენ, რომ საკუთარი მუნდირის ღირსებაც შეენარჩუნებინათ.

**"მთავრობა გაგებით მოეკიდა პარლამენტის მოთხოვნებს,"** - კმაყოფილებას არ მალავდა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე.

**"რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე დისკუსია და მუშაობა გრძელდება,"** - ქედს არ იხრიდა ფინანსთა მინისტრი.

რომან გოცირიძის თქმით, საგადასახადო კოდექსის პროექტის ადმინისტრაციულ ნაწილში მთავარი წინააღმდეგობა იმის დაკონკრეტებაში მდგომარეობდა, თუ როდის უნდა გადაიხადოს გადამხდელმა მასზე დაკისრებული სანქცია - სასამართლოს დასრულებამდე, თუ მის შემდეგ. მინისტრთა კაბინეტმა კანონმდებელთა დაჟინებული მოთხოვნა ბოლო მომენტში გაითვალისწინა და დათანხმდა, რომ საჯარიმო თანხის გადახდა მხოლოდ სასამართლო დავის დასრულების შემდეგ მოხდეს.

კიდევ ერთი "გოლი" პარლამენტმა ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების საკითხში გაიტანა. ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების შემდეგ, ეს თანხები გადამხდელს ავტომატურად, ყოველგვარი ფონდების შექმნის გარეშე დაუბრუნდება. დავის შემთხვევაში კი გადამხდელი თავად გადაწყვეტს, ვის მიმართოს - არბიტრაჟს, სასამართლოს თუ ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო სტრუქტურებს.

რომან გოცირიძის განცხადებით, **"მთავრობამ უამრავი რამ დათმო კოდექსის სპეციალურ ნაწილშიც".** მაგრამ, ეტყობა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ "სრულ კაპიტულაციას" მოაწერა ხელი - ის საკითხები, რომლებზე შეთანხმებაც ვერ მოხერხდა, მეორე მოსმენისთვის გადაიდო. ესენია: ავტომანქანების დაბეგვრის, ფიზიკური პირების ქონების გადასახადის, აქციზისა და სხვა საკითხები.

ის, რისი თქმაც უმრავლესობის წარმომადგენლებმა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე არ ისურვეს, სახელისუფლებო ფრაქციის დახურულ შეკრებაზე ხმამაღლა განაცხადეს. ამ შეკრებიდან უკმაყოფილო გამოვიდა აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ხევიაშვილი, რომლის განცხადებითაც, მისი კომიტეტის შენიშვნები საგადასახადო კოდექსის პროექტში გათვალისწინებული არ არის და ამიტომ, კომიტეტის დასკვნა უარყოფითი იქნება.

ამდენად, პარლამენტის დღევანდელ პლენარულ სხდომაზე კოდექსის "შეთანხმებულ ვარიანტზე" იერიშს, ოპოზიციონერების გარდა, სავარაუდოდ, უმრავლესობის წარმომადგენლებიც მიიტანენ.

# რევოლუცია სრულდება, რევოლუცია იწყება - ეკონომიკაში

პირველი გვერდიდან

ვინაიდან საზოგადოებაში ნდობის ფაქტორი არც ისე მაღალია, ხელისუფლება ბიზნესმენებს კანონით განმტკიცებულ გარანტიებს სთავაზობს: მეწარმეებმა თავი მშვიდად და დაცულად რომ იგრძნონ, 2004 წლის იანვარამდე არსებული ყველა საგადასახადო დოკუმენტაცია განადგურდება.

ამნისტია არ ვრცელდება **"შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში კანონმდებლობით დადგენილი წესით დეკლარირებულ (დარიცხულ) და აღრიცხულ, მაგრამ გადაუხდელ საბაჟო ვალდებულებებზე".** ახალი კანონი ასევე არ შეეხება იმ პირებს, რომელთა მიმართაც კანონის ამოქმედების დღისათვის მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა; პირებს, რომლებმაც ქონება დააგროვეს ისეთი დანაშაულებრივი გზებით, როგორებიცაა ნარკოტიკებით და იარაღით უკანონო ვაჭრობა, ტერორიზმი, ტრეფიკინგი; **"პირებს, რომლებსაც უსაქონლო ოპერაციების ან ფიქტიური გარიგების შედეგად, ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილ გადასახადად დაუფიქსირდათ თანხები, რომლებიც ექვემდებარებიან უპირობო ანულირებას."**

ხელისუფლება აცხადებს, რომ ამნისტია მიზნად ისახავს საქართველოს ეკონომიკის გამოცოცხლებას, საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებას. როგორც გუშინ პრეზიდენტმა განაცხადა, ფულიან ადამიანებს უნდა გაუქრეთ შიში იმისა, რომ ხელისუფლება მათი ფინანსების წარმომავლობით დაინტერესდება. **"ყველა ფულიანს შეეძლება თამამად განაცხადოს, რა ქონების პატრონია და რა თანხასაც განაცხადებს, ამის ერთ პროცენტს გადაიხდის,"** - ბრძანა გუშინდელ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა. ბიზნესმენს, შესაბამისად, ამ თანხის ფარგლებში დაუკანონდება ქონება.

ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ამნისტია ხელისუფლებასა და ბიზნესმენებს შორის ნდობას აღადგენს. ეკონომიკური განვითარების მინისტრის კახა ბენდუქიძის განმარტებით, ბიზნესმენებს ეძლევათ შესაძლებლობა, რომ აქამდე დამალული თანხები, მიუხედავად ამ თანხების წარმომავლობისა, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას მოახმარონ. **"წარსულისკენ ნუ ვიხედებით, ჩვენთვის ახლა მთავარია მომავალი,"** - განუცხადა ბენდუქიძემ ჟურნალისტებს.

ხელისუფლების წარმომადგენელთა კომენტარებში არაპირადპირი მინიშნებით იგრძნობოდა, რომ ამნისტიის გამოცხადება სწორედ ამ ეტაპზე პრაგმატული მოსაზრებითაც აიხსნება, ანუ, ვინც დასაჭერი იყო, უკვე დაიჭირეს, ვინც "მოსაწველი" იყო, "მოწველეს"...

## რომელი საათია, ზურა?

გუშინდელი მთავრობის სხდომის ემოციური ნაწილი საქართველოს პრეზიდენტის მიერ ქალაქის მერის ზურაბ ჭიაბერაშვილისთვის მაჯის საათის გადაცემა იყო. ჭიაბერაშვილი, რომელმაც ისანი-სამგორის რაიონის გამგებელს ზურაბ ადამიას სწორედ საათის "ჩუქების" გამო დაატოვებინა სამსახური, პრეზიდენტმა შვეიცარული მაჯის საათით დააჯილდოვა. **"მერის საქციელი სამაგალითოა,"** - განაცხადა გახარებულმა პრეზიდენტმა.

საათის ამბავმა, როგორც უკვე გითხარით, მთავრობის სხდომის მონაწილეები ფრიად გაახალისა. **"რომელი საათია, ზურა?"** - ამ სამ სიტყვაში შესანიშნავად გადმოსცა იქ მყოფთა განწყობა გიორგი ბარამიძემ. თავდაცვის მინისტრი პირველი იყო, ვინც დაჯილდოებულ ჭიაბერაშვილთან მიიჭრა.

## რევოლუციის იუბილე პენსიონრებისათვის

გუშინდელ სხდომაზე პრეზიდენტმა ბრძანა, რომ ნოემბრის რევოლუციის წლისთავის მოახლოებისას ხელისუფლებამ პენსიონერებს დანაპირები უნდა შეუსრულოს და პენსიები გაუზარდოს. პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ინფორმაციით, ხელისუფლებას აქვს რესურსები საიმისოდ, რომ იანვრიდან პენსიები გააორმაგოს. სხვათა შორის, პრემიერ-მინისტრმა გუშინ დააზუსტა, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ კორუმპირებული ჩინოვნიკებიდან ამოღებულმა თანხამ 500 მილონ დოლარს მიაღწია. აქედან ასი მილიონი ფულადი სახით ამოიღეს, ხოლო 400 მილიონს ითვლის კორუმპირებულთათვის ჩამორთმეული უძრავ-მოძრავი ქონება.

## სხვადასხვა

კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პრესასთან კომენტარისას განაცხადა, რომ ხელისუფლება ყოველა ღონეს იხმარს, რათა კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ქართველებისათვის უსაფრთხო გარემო შექმნას. **"გარდა ამისა, ჩვენ ვაიძულებთ ოსურ მხარეს, შეასრულოს ორმხრივი შეთანხმებები,"** - დასძინა ხაინდრავამ. მისი თქმით, ხელისუფლება გამოდის ინიციატივით, იმ ტერიტორიებში, საიდანაც იბომბება ქართული სოფლები, შერეული სამშვიდობო ძალები ჩააყენოს.

## ხელნატკენი პრეზიდენტი გულნატკენიცაა

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა საგანგებოდ აღნიშნა ხელის ტკენის ფაქტზე. მან მადლობა გადაუხადა იმ ადამიანებს, რომლებიც მისი ჯანმრთელობით დაინტერესდნენ და ტელეფონით შეეხმიანენ. ხელნატკენი პრეზიდენტი, ცოტა არ იყოს, "ზოგიერთებზე" გულნატკენიცაა: **"ვიცი ისეთი ადამიანებიც არსებობენ, რომელთაც ჩემი კისრის მოტეხვა უფრო გაუხარდებოდათ, მაგრამ"...** პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ ამ ადამიანებს **"დიდხანს მოუწევთ ლოდინი".**

# ვის დაბრალდება ენერგოკრიზისი?

## ხელისუფლება "განტევების ვაცს" ვერ პოულობს

*დენი აშკარად არ გვყოფნის. ხელისუფლება კი განტევების ვაცს ვეღარ პოულობს: ყველა ძველი სახე, ვისი დაჭერაც შეიძლებოდა, უკვე ციხეშია. ახალ სახეებს შორის "განტევების ვაცის" პოვნა კი ხელისუფლებას საკმაოდ უჭირს. ამ ვითარებაში ერთადერთი ბერკეტი, რომ საზოგადოებას პროტესტის გრძნობა არ გაუღრმავდეს, არსებული რესურსის სამართლიანი განაწილებაა. ამ მიზნით, "გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" თავისი ფილიალების ყოველთვიური მონიტორინგი გადაწყვიტა. მიზანი მარტივია: ყოველმა რეგიონმა დენი გადახდის მაჩვენებლების მიხედვით უნდა მიიღოს.*

ნიკა მარიამიძე

მას შემდეგ, რაც "საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" სომხეთიდან ელექტროგადამცემი ხაზების "ლალვარის" (ქვემო ქართლი) და "აშოცკი-ნინოწმინდის" (სამცხე-ჯავახეთი) მეშვეობით დაახლოებით 60 მეგავატი დენის იმპორტი დაიწყო, დენის საფასურის ამოღების ფაქტორი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. საქმე ისაა, რომ ეს კომპანიის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე პირველი შემთხვევაა, როდესაც იმპორტი კომპანიის საკუთარი სახსრებით ხორციელდება.

ხელშეკრულებას იმპორტის შესახებ ხელი მოწერილი აქვს 1 აპრილამდე. თუმცა, შესასყიდი დენის ღირებულებად 2,5 ცენტი მხოლოდ 31 დეკემბრამდეა განსაზღვრული. ამიტომ, ჯერჯერობით, იმპორტი თვეში ნახევარ მილიონ დოლარამდე ჯდება.

კომპანიის ადმინისტრაცია იტყობინება, რომ საბითუმო ბაზარში "საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" დენის საფასურის გადახდის მაჩვენებლები სამჯერ გაზარდა. ბაზრის მონაცემებით, ენერგოკომპანიამ სექტემბერში ბაზარს დარიცხული ელექტროენერგიის 80 პროცენტი გადაუხადა, ხოლო გადახდის მთლიანი მაჩვენებელი 6-დან 19 პროცენტამდე გაიზარდა. კომპანიაში ამ შედეგს გატარებული რეფორმების ეფექტურობით ხსნიან და გადახდის მაჩვენებლების კიდევ უფრო გაზრდას ვარაუდობენ, რადგან კომპანია ფილიალების გამრიცხველიანების პროცესს კიდევ აგრძელებს.

ჯერჯერობით, გაურკვეველია, როდის დაიწყებს "თელასი" ელექტროენერგიის იმპორტს სომხეთიდან. უკვე თვეზე მეტია, რაც კომპანიას სემეკ-მა სომხეთიდან დენის შემოსატანად ლიცენზია მისცა, მაგრამ იმპორტი ჯერ არ დაწყებულა. "თელასში" ხელშეკრულების გაფორმების გაჭიანურებას სომხეთში ელექტროგადამცემი ხაზის ტექნიკური გაუმართაობით ხსნიან.

პირველ ეტაპზე, "თელასის" "რაოელი" მენეჯერები სომხეთიდან დღე-ღამეში 100 მეგავატი სიმძლავრის დენის შემოტანას გეგმავენ, რამაც, მათი გათვლებით, სრულად უნდა შეავსოს ენერგოდეფიციტი. "თელასს" ელექტროგადამცემი ხაზი "ალავერდის" მეშვეობით სომხეთიდან 1 კილოვატსაათი ელექტროენერგიის შემოტანა 2,7 ცენტი დაუჯდება.

რაც შეეხება გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას, მას სომხეთიდან დენის იმპორტი 4 ოქტომბერს უნდა დაეწყო. კომპანიას ამისათვის ყველაფერი მზად ჰქონდა, თუმცა იმპორტის დაწყება გადავადდა და ამის ოფიციალურ მიზეზად დღემდე სომხეთის ენერგოსისტემის რეორგანიზაცია სახელდება.

მაგრამ, ხელისუფლებისთვის, რომელიც ზამთრისთვის მზადყოფნის თაობაზე დიდი ხანია, დაჟინებით საუბრობს და გაუთვალისწინებელი ენერგოხანძრების ჩასაქრობად ბიუჯეტში სოლიდური თანხებიც აქვს მომარაგებული, დღეს ყველაზე მძიმე თემა რუსეთიდან დენის იმპორტია. მიუხედავად ამ მძიმე ფონისა, მინისტრთა კაბინეტს ენერგეტიკის სამინისტროს მიმართ პრეტენზიები არა აქვს. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ენერგეტიკის სამინისტროსა და სამთავრობო წრეებში სულ უფრო და უფრო ინტენსიურად საუბრობენ დივერსანტებზე, რომლებსაც საქართველოს წყვდიადში გახვევა სურთ და "საქრუსენერგოს" ანძებს ერთმანეთის მიყოლებით აფეთქებენ.

მეტიც: ამას წინათ გამოჟონა კულუარულმა ინფორმაციამ, რომლის თანახმადაც ქვეყნის მაღალი ეშელონები აქტიურად ეძებენ "განტევების ვაცის" კანდიდატურას, რომელსაც ეს ენერგოდივერსია უნდა დაბრალდეს. ეს იმ პირობებში, როცა ერთადერთი გზა ამ "საქმის დამკვეთისკენ" მოჭრილია: "შემსრულებლები" (გავრცელებული ინფორმაციით - ოსი "ბოევიკები") ლიკვიდირებულნი არიან.

ხელისუფლებისთვის "განტევების ვაცის" პოვნის თემატიკა აქტუალური იმის გამოცაა, რომ სემეკ-ის ყოფილი თავმჯდომარის, ენერგეტიკის ექსმინისტრის მირცხულავას საქმეც ფინალს უახლოვდება. აქედან გამომდინარე, საქმისთვის "ზურგის გასამაგრებლად" დამატებითი არგუმენტაციაც შეიძლება გახდეს საჭირო. მით უმეტეს, რომ მირცხულავას საქმით ამჟამად სტრასბურგის სასამართლოც არის დაკავებული.

სავარაუდოდ, ამ "განტევების ვაცის" პოვნა ენერგოსექტორის მაღალ ეშელონებში შეუძლებელი იქნება, რადგან უკვე რამდენიმე თვეა, რაც სექტორის მესვეურები სისტემას ზამთრისთვის ამზადებენ და, სხვათა შორის, საკმაოდ წარმატებითაც. ვითარებას და "განტევების ვაცის" პოვნის პროცესს ისიც ართულებს, რომ ეს კანდიდატურა "ძველ სახეებს" შორისაც არ არის იოლი საპოვნი. ერთ-ერთი ყველაზე ძველი სახე, "რაო ეეს როსიის" მაღალჩინოსნის ანდრეი რაპაპორტის პარტნიორი, "საქრუსენერგოს" გენერალური დირექტორი შოთა მაისურაძე (რომლის საქმეებსაც თავის დროზე პარლამენტის ენერგოკრიზისის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია იკვლევდა) დღეს ენერგოსექტორის მესვეურთა განსაკუთრებული ნდობით სარგებლობს და ანგარიშგასაწევ ძალადაც მიიჩნევა.

ჯერ კიდევ ზამთრის სეზონის დაწყებამდე, მაისურაძე აცხადებდა, რომ რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის განხორციელებაზე პასუხისმგებლობას მისი და რუსეთის ერთობლივი კომპანია საკუთარ თავზე არ აიღებდა, თუ მისი დაფინანსების საკითხი არ მოგვარდებოდა. მაისურაძის განცხადებით, რუსეთიდან ელექტროენერგიის შემომტანი გამანაწილებელი ენერგოკომპანიები, მათ შორის "თელასი", "საქრუსენერგოს" მომსახურების საფასურს არ უხდიან. "საუბარია 350-კილომეტრიან მონაკვეთზე, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. ჩვენ ამ მონაკვეთსაც ვემსახურებით, თუმცა საქართველოში მოქმედი ელექტროენერგიის ტარიფში ეს ჩადებული არ არის. სწორედ ამიტომ, მიგვაჩნია, რომ გამანაწილებელმა კომპანიებმა ჩვენთან პირდაპირი ხელშეკრულებები უნდა გააფორმონ და ამ მომსახურების საფასური გადაგვიხადონ," - მოითხოვდა მაშინ მაისურაძე.

ერთი სიტყვით, "საქრუსენერგოს" "დაუფინანსებლობაზე" პასუხისმგებლობა, შესაძლოა, საბითუმო ბაზარზე, "თელასსა" და "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაზე" გადანაწილდეს. მით უმეტეს, რომ კრიზისის მიზეზებს ექსპერტები სადისტრიბუციო კომპანიებისა და ბაზრის მოუქნელ მუშაობაში ხედავენ.

### მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს მთავრობა "PA consulting"-ს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მართვის ხელშეკრულებას ერთი წლით გაუგრძელებს. როგორც ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, ამერიკელ მენეჯერებს კომპანიაში კარგად მუშაობის მოტივაცია რომ ჰქონდეთ, ხელშეკრულება მხოლოდ ერთი წლით გაუგრძელდებათ. **ინტერ-პრესი**

# საქართველოში ბანკებისადმი ნდობის რეიტინგი მაღალია

*საქართველოს ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ (აფბა) და სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევების ცენტრმა "რეიტინგი-კავკასია"-მ, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ პირველად, საბანკო სექტორისადმი, ბანკებისადმი, საფინანსო ინსტიტუტებისადმი, ქართული კომპანიებისადმი და პროდუქციისადმი მოქალაქეთა ნდობის რეიტინგი წარმოადგინეს. "ალდაგი", "თი-ბი-სი", "ეროვნული ბანკი", "ჯი-ვი-ესი", "ბორჯომი" - ეს იმ კომპანიების ჩამონათვალია, რომლებმაც საქართველოს მოსახლეობის ყველაზე დიდი ნდობა დაიმსახურეს.*

დიანა ჩაჩუა

კვლევა კომპანია "აგრიტექნიკს ჯგუფის" დაფინანსებით, მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა. **"ქართულმა კომპანიებმა უნდა დაარწმუნონ მომხმარებელი თავისი პროდუქციის სანდოობასა და მაღალ ხარისხში. მხოლოდ ესაა კონკურენტულ ბრძოლაში მათი წარმატების გადამწყვეტი ფაქტორი. ნდობის რეიტინგი წარმატებული ბიზნესის ერთ-ერთი ადეკვატური მახასიათებელია,"** - განაცხადა აფბას პრეზიდენტმა ტარიელ გიორგაძემ.

გამოკითხულ 1000 რიგით რესპონდენტსა და 100 ექსპერტს შორის, დანაზოგი თანხა 80,4 პროცენტს არ აღმოაჩნდა, თუმცა, დანაზოგი თანხის გაჩენის შემთხვევაში, ისინი აუცილებლად შეიტანენ მათ რომელიმე ბანკში. ეს კი, რეიტინგის შემქმნელების აზრით, კომერციული ბანკებისადმი ნდობის მაღალ რეიტინგზე მეტყველებს.

სესხის აღების სურვილის გაჩენის შემთხვევაში ქართული მოსახლეობის 26,6 პროცენტი და ექსპერტთა 38 პროცენტი, პირველ რიგში, "თიბისი" ბანკს მიმართავს, შემდეგ - "საქართველოს ბანკს" (16,2 პროცენტი) და "ბანკ ქართუს" (10,4 პროცენტი). რაც შეეხება სამ ყველაზე სანდო ბანკს, რეიტინგში ადგილები ასე გადანაწილდა: "თიბისი" - 5376 ქულა, "საქართველოს ბანკი" - 3976 ქულა და "ბანკი ქართუ" - 3352 ქულა. ექსპერტების ვერსიაში მესამე პოზიცია გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა დაიკავა.

ამასთან, ბანკიდან სესხის აღებისას ძირითადი ხელისშემშლელი გარემოება გამოკითხულთათვის მაღალი საპროცენტო განაკვეთებია. ეს პრობლემა გამოკითხულთა 52 პროცენტს აწუხებს.

მნიშვნელოვანია, რომ საგრძნობლად დაბალი აღმოჩნდა მოსახლეობის ნდობის მაჩვენებელი სახელმწიფო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ, რასაც ვერ ვიტყვით ეროვნულ ბანკზე. **"შეკითხვაზე - ქვეყანაში მოქმედ რომელ საფინანსო ინსტიტუტს ენდობით ყველაზე მეტად? - გამოკითხული მოსახლეობის 56,2-მა პროცენტმა, ხოლო გამოკითხულ ექსპერტთა 78 პროცენტმა ეროვნული ბანკი დაასახელა,"** - განაცხადა სასტუმრო "ვარაზში" გამართულ პრეზენტაციაზე "რეიტინგი-კავკასიას" გენერალურმა მენეჯერმა გიორგი სამუშიამ.

რაც შეეხება კვების პროდუქტების მწარმოებელთა რეიტინგს, აქ გამოკვეთილი ლიდერები დაფიქსირდნენ. ხორცის პროდუქტების მწარმოებლებს შორის "ნიკორა" ლიდერობს. მას მოსახლეობის 74,4 პროცენტი, ხოლო ექსპერტთა 64 პროცენტი ენდობა. რძის პროდუქტების მწარმოებელთა რეიტინგში ფავორიტი, როგორც გამოკითხული მოსახლეობის, ისე ექსპერტების აზრით კომპანია "სანტე უოლშ პროდუქტებია". ნაყინის მწარმოებელ კომპანიათა შორის მოსახლეობის და ექსპერტების ყველაზე დიდი ნდობით კომპანია "თოლია" სარგებლობს. გამაგრილებელი სასმელების მწარმოებლებიდან მოქალაქეების უმეტესობა უპირატესობას ყაზბეგს ანიჭებს, ექსპერტების ფავორიტი კი "პეპსი" გახდა. მინერალური წყლების მწარმოებელთა შორის "ბორჯომი" ლიდერობს, რომელსაც "ნაბეღლავი" და "საირმე" მოსდევს. ღვინის მწარმოებელი კომპანიებიდან კი მოქალაქეებიც და ექსპერტებიც ყველაზე მეტად "ჯი-ვი-ესის" პროდუქციას ენდობიან.

## განცხადება

მე, ხუსეინ ალი, ვარ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "საქართველოს თამბაქოს წარმოების" 90 პროცენტი წილის მფლობელი. ამა წლის 16 სექტმებერს, ჩემს დაუსწრებლად, ყალბი საბუთების (კერძოდ ყალბი მინდობილობის) მეშვეობით, და ჩემი სახელის უცხო პირის მიერ გამოყენებით, ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით უკანონოდ ჩამომერთვა ჩემი კუთვნილი წილი ჩემს კომპანიაში.

აღნიშნული უკანონო გადაწყვეტილების შემდეგ ჩემი კუთვნილი 90 პროცენტი წილი თავის თავზე გადაიფორმა "ჯგუფი სამგორი-94"-ის ხელმძღვანელმა ავთანდილ წერეთელმა.

ამჟამად ავთანდილ წერეთელი ცდილობს დააგირავოს და გაასხვისოს ჩემი კუთვნილი ქონება და წილი მესამე მხარეებზე.

**ამ განცხადებით მსურს განვაცხადო შემდეგი:**
ნებისმიერი გარიგება დადებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "საქართველოს თამბაქოს წარმოების" ქონებასთან ან წილთან დაკავშირებით, ჩაითვლება უკანონოდ როგორც ჩემი თანხმობის გარეშე დადებული გარიგება.

ასევე მსურს ავღნიშნო, რომ ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 16 სექტემბრის უკანონო გადაწყვეტილება არ არის შესული კანონიერ ძალაში რადგან მე იგი გავასაჩივრე ზემდგომ ინსტანციაში და ამ ფაქტთან დაკავშირებით შეტანილია განცხადება გენერალურ პროკურატურაში.

**ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს ბოქლომების მოწოდებაზე:**

*გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ბოქლომები უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.*

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის
მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება შეუძლიათ განცხადების გამოცხადების დღიდან და დაინტერესების შემთხვევაში, თავიანთ შემოთავაზებები დატოვონ სს "თელასის" კანცელარიაში.
თბილისი, ვანის ქუჩა N3, I სართული.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 5 ნოემბერი.

**ს/ს თელასის" განცხადება**

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

28 ოქტომბერს, 11.00-დან 17.00-სთ-მდე:
სამრეწველო, ავეჯის კომბინატის და ლითონკონსტრუქციების დასახლებების, სამხატვრო და სატანკო დასახლებების, მოსკოვის გამზირის(ნაწილობრივ), მოსკოვის გამზირის II და IV კვარტლების, კაიროს, მარელისის, ნაკადულის, ოცხელის, ქინძმარაულის ქუჩების მაცხოვრებლებს.

28 ოქტომბერს, 11.00-დან 13.00-სთ-მდე:
გლდანის ა, II, III, IIIა, V და VI მიკრორაიონების მაცხოვრებლებს.

28 ოქტომბერს, 14.00-დან 16.00-სთ-მდე:
გლდანის III, IV და VI მიკრორაიონების, გლდანის ხევის დასახლების, თიანეთის გზატკეცილის, ხევძმარის, ვართაგავას, მორეტის, ქერჩის, ილორის, სარაჯიშვილის, ზარზმის, იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩების მაცხოვრებლებს.

29 ოქტომბერს, 11.00-დან 16.00-სთ-მდე:
გლდანის ა, II, III, IIIა, V და VI მიკრორაიონების, გლდანის ხევის დასახლების, თიანეთის გზატკეცილის, ხევძმარის, ვართაგავას, მორეტის, ქერჩის, ილორის, სარაჯიშვილის, ზარზმის, იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩების მაცხოვრებლებს.

29 ოქტომბერს, 11.00-დან 16.00-სთ-მდე:
სამშვილდის, ხუდადოვის, მანგლისის, არგვეთის, სტურუას, ღუდუშაურის, მესხის, გივიშვილის, სამურზაყანოს, სენაკის, აბაშის, ტაშირის, ჭალადიდის, მამრაძის ხევის, ასხინის, ქვალონის, სალხინოს, ლებარდეს, 9 ძმის, ლანჩხუთის, ლაილაშის, აჭარის, აფხაზეთის, აგარის, ხონის, კელაპტრიშვილის, თეკლათის ქუჩების მაცხოვრებლებს.

ინტელექტბანკი
INTELLECTBANK

## სს "ინტელექტბანკი" აცხადებს შემდეგ ვაკანსიებს:

**1. ბანკის მესამე ფილიალის მთავარი ბუღალტრი**
მდებარეობს ქ. თბილისი წინამძღვრიშვილის ქ. 137

მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება ფინანსებში, ეკონომიკაში, საბანკო საქმეში, ბიზნესის ადმინისტრირება, აუდიტი, ბუღალტერია
- საბანკო-საფინანსო სექტორში მუშაობის მინიმუმ 3 (სამი) წლის სტაჟი.
- საგადასახადო კოდექსის კარგი ცოდნა
- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს-ის) ცოდნა
- ქართული და რუსული ენების კარგი ცოდნა
- MS Office - პროგრამების მაღალ დონეზე ცოდნა

**2. ბანკის იურისიტი**
მდებარეობს ქ. ფოთი აღმაშენებლის ქ. 30

**ძირითადი მოვალეობა:** ბანკის დასავლეთ საქართველოს რეგიონის ფილიალების (ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, ჭიათურა, ფოთი, ზესტაფონი, სენაკი) საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა.

**მოთხოვნები:**
- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული კოდექსის ცოდნა;
- საბანკო და სამეწარმეო კანონმდებლობის ცოდნა;
- საბანკო-საფინანსო სექტორში მუშაობის გამოცდილება (სასურველია);
- კომუნიკაბელურობა და მაღალი პასუხისმგებლობა;
- ინგლისური და რუსული ენების ცოდნა (სასურველია);
- MS Office ცოდნა.

თუ თქვენ აკმაყოფილებთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, წარმოადგინეთ შემდეგი დოკუმენტაცია:

- თქვენი რეზიუმე ან/და ბანკის სააპლიკაციო ფორმა, რომელიც შეგიძლიათ მიიღოთ სს ბანკის სათაო ოფისში ან გადმოტვირთოთ "ინტელექტნაბკის" ვებგვერდიდან.
- ორი ფოტოსურათი
- 2 რეკომენდაცია
- დიპლომისა და სერთიფიკატების ასლები

**მისამართი:**
**დავით აღმაშენებლის გამზ. 127, თბილისი, საქართველო**
**საკონტაქტო პირი: ნინო ობოლაძე**
**საბუთების მიღების ვადა: 2004 წლის 1 ნოემბერი, 17:30 სთ.**
**ელექტრონული ვერსიისთვის: Career@intellect.ge**

## სერტიფიკაციის ინჟინრის ასისტენტი

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს **სერტიფიკაციის ინჟინრის ასისტენტის** თანამდებობაზე. **სერტიფიკაციის ინჟინრის ასისტენტი** წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს BP-ს ზედამხედველობის ქვეშ.

**სამუშაოს დახასიათება:**
**სერტიფიციკაციის ინჟინრის ასისტენტი** გააკონტროლებს აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის მილსადენების პროექტის საქართველოს მონაკვეთზე არსებული საქაჩი სადგურებისა და მილსადენის კონტრაქტების მონაცემთა ბაზას, უზრუნველყოფს რა სერტიფიკაციის ზუსტ აღრიცხვას

მოვალეობები:
**სერტიფიკაციის ინჟინრის ასისტენტი** მოვალეა:

- დაეხმაროს სერტიფიკაციის ინჟინერს ბი-პის საქმიანობის საინჟინრო სამუშაოების მონიტორინგში
- დაეხმაროს სერტიფიკაციის ინჟინერს ტექნიკურ ინტეგრაციაში
- ითანამშრომლოს კონტრაქტორთან პროექტის ტექნიკური მახასიათებლების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
- განიხილოს სერტიფიკაციის მექანიკური დასრულების მონაცემები და გადასცეს საექსპლუატაციო გუნდს განსახილველად
- მოამზადოს და ადგილობრივ ხელმძღვანელობას წარუდგინოს ყოველკვირეული და ყოველთვიური მოხსენებები
- გაეცნოს ტექნიკურ დოკუმენტაციასა და პროცედურებს, რათა განსაზღვროს ინსპექტირებისა და ტესტირების პირობები
- სერტიფიკაციის ინჟინრის არყოფნის პერიოდში იყოს პასუხისმგებელი პროექტის მიზნების სრულყოფასა და მათ შესრულებაზე
- შეასრულოს სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა მოვალეობები

**განათლება და სამუშაო გამოცდილება:**

კანდიდატს უნდა გააჩნდეს:
- უმაღლესი განათლება (სასურველია ელექტროტექნიკურ, საზომი ხელსაწყოების და ტელეკომუნიკაციების დარგში)
- მინიმუმ 5 წლის სამუშაო გამოცდილება ნავთობისა და გაზის მრეწველობის დარგში
- რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილად ფლობა
- ტექნიკური კომპიუტერული სისტემის ცოდნა
- კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება (MS Access, Microsoft Excel, Word & PowerPoint)
- გუნდური მუშაობის უნარი და კარგი
- მრავალეროვან გარემოში მუშაობა
- სამუშაოს დადგენილ ვადაში შესრულება
- ზედამხედველობის გარეშე მუშაობის უნარი

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2004 წლის 10 ნოემბერი, ოთხშაბათი.**

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
BP საქართველო
საბურთალოს ქუჩა 38
თბილისი, საქართველო

# მიხაილ გორბაჩოვი ნანობს

## რომ რუსეთი დემოკრატიულ რეფორმებს ვერ გაუფრთხილდა

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

მოსკოვში "გორბაჩოვ-ფონდის" ინიციატივით ორდღიანი სამოქალაქო დებატები გაიმართა, რომლის თემაც "პერესტროიკის 20 წლისთავი" იყო. დებატებზე მოსულმა პოლიტიკოსებმა და საზოგადო მოღვაწეებმა, სამართალდამცველებმა და მიხაილ გორბაჩოვის თანამოაზრეებმა კიდევ ერთხელ შეაჯამეს რუსეთში ბოლო ათწლეულის მანძილზე მომხდარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის შენობაში გამართული დისკუსია გორბაჩოვის პოლიტიკური კლუბის - "თავისუფალი სიტყვა" - ინიციატივით მოეწყო. ინსტიტუტის ფოიეში მაგიდებზე ეწყო რუსეთის სინამდვილეში დარჩენილი ერთ-ერთი უკანასკნელი დემოკრატიული გაზეთის "მოსკოვსკიე ნოვოსტის" ის ნომერი, სადაც ცოტა ხნის წინ ვლადიმირ პუტინისადმი მიხაილ გორბაჩოვისა და ბორის ელცინის ღია წერილი დაიბეჭდა. "დემოკრატიული გზიდან რუსეთის გადახვევას არ დავუშვებთ" - ასეთი სათაური აქვს გორბაჩოვის მიმართვას. ბორის ელცინის წერილი შედარებით რბილია, მაგრამ იქაც დიდი უკმაყოფილებაა დაფიქსირებული რუსეთში მიმდინარე მოვლენების გამო.

სამოქალაქო დებატებზე მიხაილ გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ "რუსეთის ბოლო ორი ათწლეულის მონაპოვარი - სიტყვის თავისუფლება - დღეს რეალური საფრთხის წინაშეა. ეს არის ის, რისთვისაც ჩვენ ყველა ერთად ვიბრძოდით და რამაც მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ რეალური გარდაქმნების, ახლებურად აზროვნებისათვის რუსეთის საზოგადოება მზად იყო, რომ რუსი ხალხი ღირსი იყო უკეთესი მომავლისა". გორბაჩოვის გამოსვლაში დელიკატურად, მაგრამ მაინც სუსხიანად იგრძნობოდა ტოტალიტარიზმისაკენ რუსეთის საგარეოპოლიტიკური კურსის გადახვევის შიშიცა და სინანულიც. "ჩვენ ამისათვის არ გვიბრძოლია" - დაასკვნა სსრკ ექს-პრეზიდენტმა. გორბაჩოვის ეპოქის ასევე ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, პუბლიცისტმა იური აფანასიევმა კრიტიკულად შეაფასა რუსეთის ახალი ხელისუფლების რეფორმები და მას ქვეყნის განვითარების დაღმავალი გზა უწოდა. შეხვედრაზე პოლიტოლოგებმა და სამართალდამცველებმა გააანალიზეს რუსეთში ოქტომბრის ბოლოს დაგეგმილი სამოქალაქო პროტესტის აქციების შინაარსი. აქციები მიზანს მხოლოდ მაშინ მიაღწევს, როცა საზოგადოება მეტად კრიტიკულად იქნება განწყობილი იმ პროცესებისადმი, რასაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით, -აღნიშნა პოლიტიკური პარტია "თავისუფალი რუსეთის" ლიდერმა ირინა ხაკამადამ. მისი აზრით, "იმ პირობებში, როცა ხელისუფლება ყოვლად ცინიკურად კლავს დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და დამსმენთა კოლექტივებს აყალიბებს, თანაც იქ ენთუზიაზმით აწევრიანებს "ახალ კომკავშირლებს", სასაცილოა სამოქალაქო საზოგადოების შექმნაზე პროგნოზების გაკეთებაც კი". ხაკამადამ ისაუბრა მოსკოვის მეტროპოლიტენის სადგურებსა და მატარებლებში ერთი დღის წინათ გაკრულ პროვოკაციულ პლაკატებზე, სადაც იგი ბერეზოვსკის, ბასაევის, გლაზიევისა და რიჟკოვის ფოტომონტაჟშია დაფიქსირებული. პლაკატზე დიდი ასოებით წერია "რუსეთის მტრები" და იგი პუტინის მხარდამჭერი ახალგაზრდული პარტია "იდუშჩიე ვმესტეს" კრემლზე "დამოკიდებული" ფანტაზიის პროდუქტია. "საზოგადოებას უნერგავენ გრეშე მტრების ხატს და ამას ხელისუფლება საერთაშორისო ოპონენტთა ტერორისტებად მონათვლით და მათი იდეოლოგიის მხარდამჭერთა კრიტიკით აღწევს. მათთვის ყველა მეთოდი დასაშვებია - ტერორიზმთან ბრძოლის ნაცვლად რუსეთის განსხვავებული აზრის მქონეთა წინააღმდეგ იდეოლოგიურ დივერსიას მიმართავს," - ამბობს ხაკამადა.



*მიხეილ გორბაჩოვი: რუსი ხალხი უკეთესი მომავლის ღირსი იყო.*

არსებული ხელისუფლების ქმედებების წინააღმდეგ რუსეთში მოსალოდნელი საპროტესტო გამოსვლების ერთ-ერთი ინიციატორი, პოლიტიკური გაერთიანება "კომიტეტი 2008", რომელსაც მოსკოვში "ანტიპუტინის კომიტეტის" სახელითაც იცნობენ, "გორბაჩოვ-ფონდის" ინიციატივით გამართულ დებატებზე ცნობილი ექსპერტისა და ჟურნალისტის, პუტინის მიერ დახურული გაზეთ "სეგოდნიას" ყოფილი რედაქტორის მიხაილ ბერგერის სახით იყო წარმოდგენილი. მან რუსეთში პოლიტიკური პროცესების პესიმისტური პერსპექტივა დახატა და აღნიშნა, რომ საერთაშორისო ტერორიზმისა და გარეშე მტრების საფრთხის წინაშე რუსეთი სხვანაირი ვერ იქნება. რუსი პოლიტიკოსები უახლოეს მომავალში კვლავ "ცივი ომის" აქტიურ ფაზაში შესვლას ვარაუდობენ. ფაქტია, რომ დემოკრატიული რეფორმები რუსეთმა ვერ შეიფერა, ან ხალხი არ გაუფრთხილდა მას, რისი შენებისთვისაც იყო ჩაფიქრებული სსრკ-ს დანგრევა. ყველაზე მეტად ამაზე ნანობს მიხაილ გორბაჩოვი.

# ქნესეთმა შარონის გეგმა დაამტკიცა, მინისტრები კი გადადგომით იმუქრებიან

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა ოთხშაბათს განაცხადა, რომ მინისტრთა კაბინეტის ზოგიერთი წევრის ზეწოლას არ დაემორჩილება და ღაზას სექტორიდან ებრაული დასახლებებისა და ჯარების გამოყვანის საკითხთან დაკავშირებით რეფერენდუმს არ დანიშნავს.

უნდა აღინიშნოს, რომ სამშაბათს ისრაელის პარლამენტმა შარონის გეგმა დაამტკიცა. ამის გამო მინისტრთა კაბინეტის რამდენიმე წევრმა რეფერენდუმის ჩატარება მოითხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი გადადგომით დაიმუქრნენ.

ამასთან დაკავშირებით შარონმა განაცხადა, რომ პერიოდულად საკუთარი პოზიციების შეცვლა შესაძლებელია, თუმცა ზეწოლისა და ულტიმატუმების მიმართ სისუსტის გამოვლენა დაუშვებელია. "რეფერენდუმის თაობაზე ჩემი შეხედულებები არ შეცვლილა - მე წინააღმდეგი ვარ, რადგან ამას, შესაძლოა, საზოგადოებაში დაძაბულობისა და დაპირისპირების ზრდა მოჰყვეს," - აღნიშნა პრემიერმა.

შარონმა ორი მინისტრი თავად დაითხოვა, როდესაც მათ დასახლებებისა და ჯარების გამოყვანის გეგმის წინააღმდეგ მისცეს ხმა. რაც შეეხება მისი კაბინეტის ოთხ წევრს, პრემიერ-მინისტრი მათ "საკადრისი პასუხის გაცემას" დაჰპირდა.

შარონის გეგმას ქნესეთის 120 დეპუტატიდან 67-მა მხარი დაუჭირა, 45 - წინააღმდეგი იყო, ხოლო თავი შვიდმა დეპუტატმა შეიკავა. ისრაელის პარლამენტის ერთი წევრი ავადმყოფობის გამო ხმის მიცემის პროცედურას არ დასწრებია.

როგორც ზოგიერთი მიმომხილველი აღნიშნავს, შექმნილ მდგომარეობაში შარონმა ან თავისი პარტიის, ლიქუდის შიგნით უნდა აღმოფხვრას დაპირისპირება, ან მმართველი კოალიციის შემადგენლობა უნდა შეცვალოს.

გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ისრაელის მოსახლეობის 67 პროცენტი ღაზას სექტორიდან გამოსვლის მომხრეა, თუმცა ღაზაში არსებული ებრაული დასახლებები კატეგორიულად წინააღმდეგი არიან. მათი აზრით, "მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპირო და ღაზას სექტორი ებრაელებისათვის უფლის საჩუქარია".

ისრაელმა დასავლეთ სანაპიროს და ღაზას ოკუპაცია 1967 წლის ომის შედეგად მოახდინა. ოკუპირებულ ტერიტორიებზე 400 ათასამდე ებრაელი იქნა ჩასახლებული, მაშინ, როდესაც პალესტინელთა რიცხვი 3,5 მილიონ ადამიანს შეადგენდა. საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების მიხედვით, აღნიშნული დასახლებები უკანონოა, თუმცა ისრაელს ამის თაობაზე სულ სხვა შეხედულება გააჩნია.

ქნესეთში შარონის გეგმის განხილვის საპასუხოდ, პალესტინელებმა განაცხადეს, რომ ებრაელები "ერთმანეთში აწარმოებენ მოლაპარაკებებს". "ჩვენ ვაკვირდებით, თუ როგორ მსჯელობენ ისინი ჩვენი მომავლის, ჩვენი შვილების მომავლის, პალესტინელთა მომავლის შესახებ - ჩვენს გარეშე," - განაცხადა პალესტინური დელეგაციის ხელმძღვანელმა საიბ ერეკათმა სააგენტო როიტერთან ინტერვიუში.

რაც შეეხება აშშ-ს ადმინისტრაციას, მან ისრაელის პარლამენტის გადაწყვეტილება მოიწონა და აღნიშნა, რომ ეს პალესტინელებთან მშვიდობის დამყარებისაკენ გადადგმული ნაბიჯი გახლავთ. "ღაზადან გამოსვლის გეგმას, პრაქტიკულად, ისტორიული მნიშვნელობა გააჩნია და ორი სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობის თაობაზე პრეზიდენტ ბუშის ჩანაფიქრის ხორცშესხმისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია," - განაცხადა თეთრი სახლის წარმომადგენელმა ტრენტ დაფიმ.

*24 საათი*

**WORLD BANK OFFICE TBILISI**
5A, 1st Drive, Chavchavadze Ave, Georgia
Tel: 91 30 96, Fax: 91 34 78

**მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობა**
თბილისი ჭავჭავაძის გამზ. I ჩიხი 5ა
ტელ: 91 30 96, ფაქსი: 91 34 78

**მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობა საქართველოში აცხადებს კონკურსს საქართველოს *იდეების კიდობანის* 2005 (Georgia Development Marketplace 2005) ფარგლებში "ჩვენი გარემო ჩვენი სახლების ზღურბლს მიღმა"**

შემოთავაზებული თემა "ჩვენი გარემო ჩვენი სახლების ზღურბლს მიღმა" გულისხმობს თემების, სოფლებისა და ქალაქების მომსახურების სფეროს განვითარებასა და მისი ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ნოვატორული იდეების გამოვლენას და განხილვას.

კონკურსი უპირატესობას ანიჭებს იდეებს, რომლებიც:
- გამოავლენენ თემების ინიციატივებს და ხელს შეუწყობენ კოლექტიურ ქმედებას მათ განსახორციელებლად
- გააძლიერებენ თემების თავისთავადობასა და განავითარებენ დემოკრატიის კულტურას
- გააუმჯობესებენ ცხოვრების დონეს
- ხელს შეუწყობენ პოზიტიურ ცვლილებებს არსებული პრობლემების გადასაწყვეტად
- წაახალისებენ სოციალური გარდაქმნებისა და ინოვაციური იდეების დამკვიდრებას
- დასახავენ კოლექტიური ძალისხმევით საერთო პრობლემების გადაწყვეტის გზებს
- ხელს შეუწყობენ თანამშრომლობას მოქალაქეებსა და ადგილებზე წარმოდგენილ ეკონომიკურ სტრუქტურებს შორის
- მოახდენენ სოციალური კაპიტალის მობილიზებას კოლექტიური ქმედებებისთვის
- ხელს შეუწყობენ ცვლილებებს ურბანულ რაიონებში ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად

**კონკურსის პირობები**
- პროექტი უნდა პასუხობდეს მოცემულ თემას
- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ფართო საზოგადოების წარმომადგენლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ფონდებს, კერძო დაწესებულებებს, სათემო ორგანიზაციებს, აკადემიურ ინსტიტუტებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და კოოპერატივებს.
- პროექტების განხორციელების ვადა განისაზღვრება 12 თვით.
- პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებული დანახარჯები არ უნდა აღემატებოდეს დაწესებული გრანტის ოდენობას: 10,000 - 15,000 აშშ დოლარი.

საპროექტო წინადადებების მონახაზის მიღება დასრულდება 2004 წლის 6 დეკემბერს. წინადადებების წარდგენა შესაძლებელია მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობაში - პირადად, ელექტრონული ან საკურიერო ფოსტის მეშვეობით და ფონდ "ჰორიზონტის" რეგიონულ ოფისებში. საპროექტო წინადადებების მონახაზი, ქართულ ან/და ინგლისურ ენაზე უნდა იყოს მომზადებული და არ უნდა აჭარბებდეს გვერდების მითითებულ რაოდენობას. წინადადებას უნდა ერთვოდეს მოცემული ორგანიზაციის იურიდიული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი, I ჩიხი 5ა.
ტელ: (+995 32) 91 30 96
(+995 32) 91 26 59
ელ-ფოსტა: ipaichadze@worldbank.org
krekhviashvili@worldbank.org

პროექტის განაცხადის ფორმა და ინფორმაცია კონკურსის შესახებ შეგიძლიათ მოიპოვოთ მსოფლიო ბანკის საქართველოს ოფისის ვებ გვერდზე: www.worldbank.org.ge
**იდეების კიდობანი**
***საქართველოს განვითარებისათვის***

**საპროექტო განაცხადის ფორმა**

**1. პროექტის დასახელება:** *(არაუმეტეს 10 სიტყვისა)*

**2. გთხოვთ ჩამოაყალიბოთ თქვენი პროექტის ძირითადი იდეა. რა მიზანს ემსახურება პროექტი?**
*(გთხოვთ აღწეროთ შემოთავაზებული მიზნები და მათთან დაკავშირებული ღონისძიებები.* გთხოვთ ჩამოაყალიბოთ პროექტის განხორციელების მთავარი ეტაპები. არაუმეტეს 500 სიტყვისა*)*

**3. პროექტის ღირებულება**
*გთხოვთ წარმოადგინოთ ხარჯების კონკრეტული ჩამონათვალი*

პროექტის საერთო ღირებულება (აშშ დოლარი)
რა თანხას მოითხოვთ ***იდეების კიდობანის*** კონკურსის ფარგლებში (აშშ დოლარი)

**4. რაში მდგომარეობს პროექტის ნოვატორული არსი?**
*(არაუმეტეს 100 სიტყვისა)*

**5. ინფორმაცია გრანტის განმცხადებელზე**

ორგანიზაციის დასახელება-----------------------------------------------------

მისამართი-----------------------------------------------------

ტელეფონი ---------------- ფაქსი ----------------

ელ ფოსტა ----------------- ვებ გვერდი -----------

საკონტაქტო პირის სახელი და

თანამდებობა-------------------------------------------

განმცხადებელი ორგანიზაციის საქმიანობისა და მიზნების აღწერა:
*(არაუმეტეს 30 სიტყვისა)*

**The World Bank Office in Tbilisi is announcing Call for Proposals for the Georgia Development Marketplace Competition 2005 "Better Neighborhoods - Better Homes".**
**The overall competition will be looking for innovations in providing and improving services at the neighborhood level in communities, villages, towns and cities, and particularly in:**

- Encouraging community initiatives and collective actions
- Reinforcing community identity and culture of democracy
- Promoting improved quality of life
- Promoting change to address challenges
- Bringing stimulus of social transformation and innovation in our communities
- Addressing common concerns through collective strength
- Looking for collaborative relationship between citizens and economic powers of city
- Mobilizing social capital for collective action
- Enabling urban areas to promote change and improved quality of life in their neighborhoods

**Eligibility Criteria**
- Projects must fall within the theme
- The competition will be open to civil society, including non-government organizations (NGOs), foundations, private entities, community based organizations, academic institutions, civic organizations and cooperatives
- Projects should be implementable within a timeframe of 12 months
- Activities must fall within a potential project award budget of about USD 10, 000-15,000

Brief proposals will be accepted through: **6 December 2004.** Proposals can be submitted on-line, via mail/courier or hand delivered to the World Bank Office in Tbilisi, or through regional offices of the "Horizonti" Foundation. Proposals may be written in Georgian or English as long as the text will not exceed the maximum length of text. Proposals will have to be submitted together with one or two reference documents that will establish proof of legal personality of the organization .

**Contact Information:**

5A, 1st Drive, Chavchavadze Ave., Tbilisi, Georgia
Tel.: (+995 32) 91 30 96 /91 26 59
e-mail: ipaichadze@worldbank.org
krekhviashvili@worldbank.org

Application forms and information on the Georgia Development Marketplace Competition are available at the World Bank Office Tbilisi web site: www.worldbank.org.ge

***Georgia Development Marketplace Competition***
**Proposal Outline**

**1. Title of your idea:** *(maximum ten words)*

**2. Describe your idea. What are you trying to achieve?**

*(this section must not exceed one page or 500 words)*
Describe the proposed objectives and activities, referring briefly to their action plan and time frame

**3. Project cost.**
Please provide a statement of planned expenditures, clearly outlining the use of funds

Anticipated total project cost (USD)
Funding requested from the DM Competition (USD)

**4. In what way is this idea innovative?**

*(this section must not exceed one page or 100 words)*

**5. Information about Applicant**

Name of Organization----------------------------------------------------------------

Address--------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------

Telephone ---------------- Fax ---------------

Email ----------------- Web site ------------

Name of contact person, Title ----------------------------------------------

Organization's mission

*(not more than 30 words)*

# გურჯაანში მოსახლეობა შებოლილმა ქათამმა დაავადა, სიღნაღში კი - ჯილეხმა

*სიღნაღის რაიონი საშიშროების წინაშე დგას. რამდენიმე დღის წინ დაბა წნორის მკვიდრს ნელი კიკილაშვილს ჯილეხი, ანუ ციმბირული წყლული აღმოაჩნდა. დაავადების გავრცელების წყაროდ ცხვრის ხორცი სახელდება. გურჯაანში კი შებოლილი ქათმის ხორცით ექვსი ადამიანი მოიწამლა.*

ზვიად რუაძე

ბოლაშვილების ოჯახი უკვე მრავალი წელია, რაც თავს საქონლის ტყავის გადამუშავებით ირჩენს. დავით ბოლაშვილის მეუღლის - ნელი კიკილაშვილის ავად გახდომამ, მთელი ოჯახი ულუკმაპუროდ დატოვა. სახლში, გადასამუშავებლად მიტანილი ცხვრის ტყავი, ავადმყოფი პირუტყვისა აღმოჩნდა. ამის შესახებ ბოლაშვილებმა მას შემდეგ გაიგეს, რაც ქალბატონ ნელის ხელზე სიწითლემ გამოაყარა. თავდაპირველად ოჯახის დიასახლისმა ამ ფაქტს ყურადღება არ მიაქცია, რადგან მას ალერგია ეგონა. ექიმს კი მან მას შემდეგ მიმართა, როცა ტემპერატურამ საგრძნობლად აუწია. თავდაპირველად კიკილაშვილმა რაიონულ ვეტ-სამსახურს მიმართა, ვეტ-უბნის გამგემ კი იგი ლაგოდეხის საავადმყოფოში გააგზავნა. დიაგნოზის დადგენის შემდეგ, ექიმმა ნელი კიკილაშვილი თბილისში ინფექციურ საავადმყოფოში გაწერა, რადგა მას, კლინიკური ნიშნებით, ჯილეხი აღმოაჩნდა.

ტყავის გადამუშავებას ბოლაშვილები კუსტარული წესით, ეზოში, სპეციალურად აშენებულ ქოხში აწარმოებენ. ამ დროისთვის ქოხი რაიონის ჯანდაცვის სამსახურის მიერ განადგურებულია. **"აქ ნიადაგიც ინფიცირებულია და ეს ადგილი აუცილებლად უნდა დაბეტონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული დაავადება თავს კვლავ იჩენს, რადგან ნიადაგში არსებული ბაცილა ას წელს ძლებს,"** - განმარტავს ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ მებრძოლი სამასახურის თავმჯდომარე ჰამლეტ ღლიღვაშვილი. მიუხედავად მომხდარისა, აღნიშნული სამსახურის ხელმძღვანელი პანიკის საფუძველს ვერ ხედავს, რადგან ბაზარი შემოწმებულია და ხორცი მოსახლეობაში არაა გასული.

სიღნაღელები კი მაინც შიშობენ, რადგან ჯანდაცვის სამსახურმა ბოლაშვილების ტყავის დამამზადებელ ქოხში ნარჩენი ტყავები დაწვა და ფორმარლინის ხსნარით დეზინფექცია ჩაატარა, ფერფლის უკაცრიელ ადგილზე გატანა და ჩამარხვა კი "გადაავიწყდა".

არანაკლებდ დიდი პრობლემის წინაშე დგას გურჯაანის რაიონი. ჯერჯერობით დაუდგენელმა, სავარაუდოდ კი "ნიკორას" ფირმის მიერ ამ რაიონში შემოტანილმა შებოლილმა ქათმის ხორცმა არაყიშვილების ოჯახი მოწამლა. მაღალი ტემპერატურით და მოწამვლის სხვა ნიშნებით მალევე ექიმს იაგანაშვილებმაც მიმართეს. მოწამლულთა შორის ბავშვებიც აღმოჩნდნენ. სიმპტომები იმდენად მწვავე იყო, რომ მის გასამკლავებლად რაიონის მედპერსონალი უძლური აღმოჩნდა და მოწამლულები თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამ ამბავმა მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია. **"მომავალში ამგავრი შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით, სანიტარიული ინსპექცია საჯაროდ უნდა აცხადებდეს, თუ რა დასახელების საკვებმა გამოიწვია მოწამვლა და რომელ მაღაზიაში იქნა შეძენილი პროდუქტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა ნებისმიერმა ჩვენგანმა მიიღოს საკვებად უვარგისი პროდუქტი. ამ ფაქტის მიჩუმათება კი არა, პირიქით, სააშკარაოზე გამოტანაა საჭირო,"** - ამბობენ აღშფოთებული გურჯაანელები.

# მინიმალური პენსიის მატებისა და დავალიანების დაფარვის წელი

ნონა მაისურაძე

*უმწეო ადამიანებზე ზრუნვა ქვეყანაში უპირველეს პრიორიტეტად იქცა. თუმცა, ამ საკითხის ირგვლივ მთავრობაში - დავა, მოსახლეობაში კი წინააღმდეგობაა. როგორც ირკვევა, 2005 წლიდან სოციალურ სფეროში ცვლილებები განხორციელდება; შეიცვლება მიდგომები და დაინერგება ახალი მიმართულებები. მოსახლეობა კი, რომელიც დიფერენცირებული პენსიის მოლოდინში იყო, ცოტა ხნით კიდევ მოიცდის და 2005 წლისთვისაც იმავე პრინციპით მიიღებს პენსიას, როგორც აქამდე.*



ბესო გულაშვილის ფოტო

*პენსიონერებს და უმწეოებს ხელისუფლებისაგან დახმარება სურთ.*

ფინანსთა სამინისტრო დაგროვებითი სისტემის ანუ დიფერენცირებულ პენსიებზე გადასვლის წინააღმდეგია. 2003 წელს მიღებული სამი კანონიდან ერთი, რომელიც ამ სისტემაზე გადასვლას გულისხმობდა, გაურკვეველი ვადით გადაიდო.

პენსიონერებს და უმწეოებს ხელისუფლებისაგან დახმარება სურთ და სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მისამართით უკმაყოფილებას გამოთქვამენ. ფონდში კი მთავრობის გადაწყვეტილებებს ელიან და, შეძლებისდაგვარად, გაჭირვებული ადამიანების დახმარებას ცდილობენ. თუმცა, უმწეოთა სხვადასხვა კატეგორიაზე დაწესებული 21 ლარის ოდენობის პენსია და მცირედი შეღავათები დამშვიდების საფუძველს არ იძლევა. ფონდში გასული წლიდან სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის დამატებითი სამედიცინო მომსახურების პროგრამამაც ამოქმედდა. ამ დახმარების მსურველი უამრავი ადამიანი აღმოჩნდა - სამწუხაროდ, თითქმის, 70 პროცენტი იმ ადამიანებისა, ვისაც მკურნალობა სჭირდება. ფონდისთვის ეს სახსრები პროგრამულია და ბიუჯეტით არის გათვალისწინებული. ამიტომ, ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება წარმოუდგენელია. მიდგომები ამ მიმართულებითაც შესაცვლელია.

ამ ეტაპზე კი, საქართველოს მთავრობის განცხადებით, 2005 წლის ბიუჯეტის ძირითად პრიორიტეტს სიღარიბის (თუ სიღატაკის?) აღმოფხვრა წარმოადგენს. სოციალური დახმარების ძირითადი კონცეფცია ასეთია - "დახმარების გაწევა მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომელიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არის". იგულისხმება ის კონტინგენტი, ვისი შემოსავალიც თვეში, დაახლოებით, 52 ლარს შეადგენს. ეს არცთუ მარტივად შესასრულებელია. სიღარიბის შეფასების ახალი მეთოდოლოგია კვლევების ჩატარებასა და მაქსიმალურ სიზუსტეს მოითხოვს. ეს ყოველივე კი 2005 წლის მაისამდე უნდა შემუშავდეს და დაინერგოს.

უცხო ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობითა და საქართველოს მდგომარეობის გათვალისწინებით, მთავრობამ მოსახლეობისთვის ფულადი სუბსიდიების გაცემა დაგეგმა. "სიღარიბის დონის შემცირებისთვის საუკეთესო ვარიანტს შინამეურნეობისთვის ნაღდი ფულის უშუალოდ გადახდა წარმოადგენს", - მითითებულია ა.შ.შ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და საქართველოს მხარის მიერ ერთობლივად შემუშავებულ პროგრამაში. აქვე ახსნილია: "თეორიულად, ფულადი სუბსიდიები უმჯობესია, ვიდრე არაფულადი, ვინაიდან ნაღდი ფულის გადარიცხვები ზემოქმედებას არ ახდენს ბაზრის ფასებზე და არ ცვლის ინდივიდუალურ მოხმარებას". მიზანმიმართული მონეტარული დახმარება მოსახლეობის დაახლოებით 15 პროცენტზე იქნება გათვალისწინებული. სასურველია თუ არა მოსახლეობისთვის ამ პრინციპზე გადასვლა, იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ოდენობის თანხას შესთავაზებენ უმწეო ადამიანებს. კულუარული ინფორმაციით, თანხა, რომელსაც ღარიბებს მისცემენ, თვეში დაახლოებით 51 ლარს შეადგენს. ამ მეთოდის განხორციელებას, უპირველესად, პროგრამაში მონაწილე კონტინგენტის გამოვლენა სჭირდება. დღემდე შეღავათები სოციალური კატეგორიების მიხედვით განისაზღვრება და ინიშნება. 2005 წლიდან ამ სისტემას ფულადი სუბსიდიებით ჩაანაცვლებენ. მანამდე კი, როგორც ახალი კანონპროექტიდან ჩანს, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სახსრებს ფინანსთა სამინისტრო გააკონტროლებს და თავადვე განკარგავს. ფინანსებზე სრული მონოპოლიის დაწესება დიფერენცირებულ პენსიაზე გადასვლის საშუალებას არ იძლევა. პენსიონერები სტაჟისა და სახელფასო ისტორიის მიხედვით თანხას ვერ მიიღებენ და ჯერჯერობით ისევ მოჭრილი პენსია ექნებათ, ხოლო მათ, ვისაც განსხვავებული პენსიის მიღება სურს, მთავრობა კერძო საპენსიო ფონდებში დაზღვევას სთავაზობს.

საბოლოო მიდგომები, საპენსიო მოწყობასთან დაკავშირებით, მომავალი წლის პირველ ნახევარში ჩამოყალიბდება.

საიმედო და გადაწყვეტილი კი ის არის, რომ პენსიის მინიმალური ოდენობა გაიზრდება. წინასაარჩევნო დაპირებას მთავრობა 2005 წელს შეასრულებს და, სავარაუდოდ, პენსია გაორმაგდება.

კიდევ ერთი - 2005 წელს ხელისუფლება შვებით ამოისუნთქავს, რადგან მას საპენსიო დავალიანება აღარ ექნება. ამ პერიოდისთვის იგეგმება წლების მანძილზე პენსიონერების მიმართ დაგროვილი ვალების გადახდა. თუმცა, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა 2004 წელს დავალიანების, თითქმის, ნახევრის გასტუმრება მოახერხა.

ადრესირებული ფულადი დახმარების სისტემის შემოღება, კოდექსში ყველა საგადასახადო შეღავათის გაუქმება, პენსიების გაზრდა და სოციალური გადასახადით შემოსული თანხების მთლიანად ხაზინის ანგარიშზე მობილიზება - ეს ის სიახლეებია, რაც მომავალი წლისთვის საპენსიო და სოციალურ სფეროში იგეგმება.

# დენის დატაცება რატომ არ ითვლება დანაშაულად

## მომხმარებლის ვერსია - ვის აწყობს "ლევი" ხაზის არსებობა

მარიამ ბოლქვაძე

"ხალხის ხმა ენერგეტიკაში"- ასეთი სახელი შეიძლება დაერქვას ელექტროსერვისის მომხმარებელთა ასოციაციებს, რომლებიც საზოგადოების მობილიზაციას ისახავს მიზნად. ასოციაცები თბილისის 6 უბანში პროექტის "ენერგეტიკის სექტორის მართვის გაუმჯობესების მიზნით ადგილობრივი პოტენციალისა და საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდა" ფარგლებში მოქმედებს. პროექტს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური ხელშეწყობით არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია განახორცილებს. პროექტის მიზანია საქართველოს ენერგოსექტორში დანერგოს მდგრადი განვითარების პრინციპები. რაც ნიშნავს საზოგადოების რიგითი მოქალაქეების დო-



ნეზე ცნობიერების და პოტენციალის გაზრდას, რომელიც მათ დაეხმარება საკუთარი უფლებების დაცვაში, პასუხისმგებლობების გაცნობიერებასა და დაკისრებული მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში.

პროექტის სტრატეგიაა საზოგადოების მობილიზაცია ადგილობრივ დონეზე, რაც საშუალებას მისცემს მოქალაქეთა ჯგუფებს, ერთის მხრივ დაიცვან საკუთარი უფლებები კონსტრუქციული ზეწოლით ქვევიდან ზევით, მეორეს მხრივ კი, გაზარდონ მოქალაქეთა პასუხისმგებლობა და მათ მოვალეობის გრძნობა საზოგადოების მიმართ. დასახული ამოცანის პრაქტიკულ განხორციელებაში დიდ როლს თამაშობენ ელექტროსერვისის მომხმარებელთა ასოციაციები (ესმა).

მიმდინარე წლის პირველი სექტემბრიდან პროექტის ფარგლებში თბილისის ექვს უბანში ელექტროსერვისის მომხმარებელთა ასოციაციები დაფუძნდა. გაწეული საქმიანობის უკეთ წარმოსაჩენად უბნები დაყოფილია ორ ტიპად - "კარგი გადამხდელი" და "ცუდი გადამდელი". "კარგი გადამხდელი" უბნებია: ნუცუბიძე, ახალი დიდუბე და სამგორი 1, ჯამში 79606 მომხმარებლით. "ცუდი გადამხდელი" უბნებია: ახალი ნაძალადევი, ისანი 1 და ოქროს უბანი, ჯამში 54264 მომხმარებლით. ექვსივე უბნის მაცხოვრებლებს დაახლოებით თანაბარი შემოსავლი აქვთ.

ელექტროსერვისის მომხმარებელთა ასოციაციის (ესმა) წევრებად საზოგადოების აქტიურ მოქალაქეებს, ენთუზიაზმით აღსავსე ადამიანებს ირჩევენ. სხვაგვარად, ის ვერ ითამაშებს შუამავლის როლს მომხმარებელსა და ენერგოსტრუქტურების წარმომადგენლებს შორის. 2004 წლის ივლსიდან ლარისა სუხიშვილი ავლაბარში მუშაობს. მას უბნელები უმრავი პრობლემის მოგვარებას სთხოვენ. არსებული წინააღმდეგობების შესახებ ქალბატონი ლარისა დაუფარავად საუბრობს.

- ელექტროენერგიის მომხმარებელს თუ რა უფლებები და მოვალეობები გააჩნია, ამის ცოდნა როგორ ფიქრობით ყველა მოქალაქისთვის აუცილებელია?

-ჩვენი მიზანია აქაურმა მაცხოვრებლებმა მინიმალური ცოდნა მაინც მიიღონ იმის შესახებ, თუ მოქმედმა კანონმდებლობამ მათ რა უფლებები მიანიჭა. ახლა, თუ მე დავდივარ მეზობლების პრობლემების მოსაგვარებლად, მალე ისინი ამის გაკეთებას დამოუკიდებლად შეძლებენ. დღეს, თელასის უმეტესი სერვის-ცენტრები აუღებელი ციხე-სიმაგრეა, რთულია სერვისის თანამშრომლებს კანონის ენით ესაუბრო. ამის მიუხედავად, ვფიქრობ ენერგეტიკის საკითხებში გაცნობიერებული მოქალაქე მაინც მოახერხებს ცოდნის გამოყენებას და ის სხვადასხვა სამსახურებში საკუთარი ინტერსების დაცვას შეძლებს.

-თქვენზე ამბობენ, მუშაობის განსაკუთრებული სტილი აქვსო.

-უბანში მუშაობის დროს ყველაზე მეტად მომხმარებელთან ახსნაგანმარტებითი ხასიათის ურთიერთობა ამართლებს. მომხმარებელზე მოქმედებს, როცა ვეუბნები დენის დატაცება ქურდობის დანაშაულის ტოლფასია და მათ ამისთვის ადრე თუ გვიან პასუხი მოეთხოვებათ. ვფიქრობ, ასეთ მიდგომას მოჰყვა ის შედეგი, რომ უბნის მომხმარებელთა 65% ყოველთვიურად იხდის დენის საფასურს.

-უბანში გაუმართლებელი გადახდის წესზე საუბრობენ და მის გაუქმებას მოითხოვენ, ამ მოთხოვნას თქვენ ეთანხმებით?

-ახლა ასეთი წესია, ვისაც მრიცხველი არ აქვს, ის მოხმარებული დენის საფასური, ე.წ. პირობით გადასახადს იხდის. რაც იმას ნიშნავს, რომ ზამთრის პერიოდში (დეკემბერი, იანვარი, თებერვალი) აბონენტმა ყოვეთვიურად 207 კვ.სთ საფასური 25 ლარი, ხოლო წელიწადის დანარჩენ დროებში ყოველთვურად 135 კვ.სთ 17 ლარი საფასური უნდა გადაიხადოს. ასეთი მიდგომა არასმართლიანია. არსებობს ოჯახები, სადაც ერთი სული ცხოვრობს და შესაბამისად დაწესებულ ზღვარზე ორჯერ ნაკლებ დენს მოიხმარს და პირიქითაც ხდება, მრავალსულიანი ოჯახი ორჯერ მეტ დენს მოიხმარს.

-გამოდის რომ თელასი ამ გზით, საერთო ჯამში, მოხმარებული დენის საფასურს მაინც იღებს?

-ჩვენ ის არ მოგვწონს, რომ ამას თელასი ზოგიერთი აბონენტის უფლების დარღვევის ხარჯზე აკეთებს. მოსახლეობა დიდი ხანია, აპროტესტებს პირობით გადასახადს, ყოველთვიურად მიდის გაუთავებელი ჩხუბი და დავა, თანხას ძალდატანებით იხდიან. ამ საკითხზე ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიასთან შეხვედრა არ გამართულა. თუმცა ასოციაციამ უკვე შეიმუშავა პრობლემის გადაჭრის გეგმა და გვსურს, ამ დღეებში კომისიას წარუდგინოთ.

-ხალხის აზრით, ნაწილობრივ პირობითი გადასახადის შემოღებამაც შეუწყო ხელი დენის დატაცებას.

-საჭიროა, ამ ხალხს სასწრაფოდ დაუმონტაჟონ ახალი მრიცხველები, რათა მათ ზუსტად იცოდნენ, რა უნდა გადაიხადონ, უნდობლობა მომხმარებელში არსებული გადახდის მექანიზმის მიმართ კვლავ იარსებებს, რის გამოც მდგომარეობა უფრო გაუარესდება. მაღალ მასშტაბებს მიაღწევს დენის დატაცებები და გაიზრდება სამეზობლო დავები.

-თბილისის ძველ უბნებში, სადაც გამრიცხველიანება არ დასრულებულა, ხშირია დენის დატაცების ფაქტები. ამის გაკეთებას როგორ ახერხებს მომხმარებელი?

-მართლაც არსებობს საშინელი მასშტაბის დატაცება, თუ მომხმარებელი, ვთქვათ, ყოველთვიურად 20 ლარს იხდის, ის რეალურად 25 ლარის დენს ხარჯავს. ზოგიერთს წყლის გამათბობელი საშუალება აქვს ჩართული, უმეტესობა გათბობისთვის ელექტრო ღუმელს იყენებს. საერთო ჯამში ამ პატარა უბნის 120 აბონენტიდან უმეტესობა იპარავს, თითქმის ყველას აქვს ე.წ. "ლევი" ხაზი. რადგან ბევრს მრიცხველი საერთოდ არ აქვს, ძველი მრიცხველების უმეტესობა კი გაფუჭებულია. ამიტომაც ჩვენი მუშაობის მთავარი ამოცანაა, თელასი დავარწმუნოთ იმაში, რომ უბანში ახალი მრიცხველების დამონტაჟება დააჩქაროს. გამრიცხველიანების პროცესის დასრულება, (როცა ახალი მრიცხველი სრულად ასახავს მოხმარებული კვ.სთ რაოდენობას), ნათლად უჩვენებს მომხმარებელს, ყოველთვიურად რამდენ კვ.სთ იპარავდა. ქუდობა კი არავის შერჩება და მათ ასეთი ქმედებით ჩადენილი დანაშულის გამოსყიდვა დავალიანების დაფარვის სახით მოუწევთ.

საქართველოში ელექტროენერგია ჯერ კიდევ დეფიციტური რესურსია. ამის მიუხედავად მოქმედი კანონმდებლობით დღემდე არ ისჯება მისი დატაცება, ან მითვისება. რადგან ასეთი ქმედება დანაშაულად არ ითვლება.

## ბავშვების წარმოსახვაში როგორია ენერგომაფიის "მოღვაწეობა"

საქართველოში პირველად გამართა აქცია "ენერგო დეფიციტი ბავშვების წარმოსახვაში". აქციამ, მიმდინარე წლის ოქტომბერში თბილისის ექვსი უბნის ამდენივე სკოლა მოიცვა, რომლის ორგანიზატორი ელექტროსერვისის მომხმარებელთა ასოციაცია იყო, ხოლო ღონისძიების იდეა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციას ეკუთვნის.

იმ დღეს 171-ე სკოლის 50-მდე მოსწავლეს ხატვის გაკვეთლი არატრადიციულ გარემოში ჩაუტარდათ. ერთ საკლასო ოთხაში შეკრებილ უფროს და უმცროსკლასელებს წელიწადის ერთ-ერთი დრო, ზამთარი უნდა დაეხატათ. ზამთრის სურათი, დაახლოებით ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორიც ბოლო 10 წლის განმავლობაშია- ცივი, გაუსაძლისი, საღამოს ხშირად ჩაბნელებული სახლებით, მხრჩოლავი ლამფებით, ნავთის, ან შეშის ღუმელით გაჭვარტლული ოთახებით. დავალების შესასრულებლად მოსწავლეებს ფუნჯები, ფურცლები და აკვარელები კოალიციამ საჩუქრად გადასცა. გახარებულმა ბავშვებმა ხატვა დიდი ენთუზიაზმითა და მონდომებით დაიწყეს.

"მომწონს დავალება, ის ჩვენს რეალურ ცხოვრებას ასახავს და არა წარმოსახვითს. მეშვიდე კლასელი ვარ. ყოველ ზამთარს სახლს შეშის ღუმელით ვათბობთ, თუმცა ყველა ოთახამდე სითბო არ აღწევს. კარგად ვსწავლობ, საგნებში ოთხები და ხუთები მიწერია. ზამთარში ლამფის შუქზე ძალიან ძნელია დავალების შესრულება, თანაც ამ ლამფას ძალიან ცუდი სუნი აქვს, ზოგჯერ ალერგიასაც იწვევს, თვალები მეღლება და მტკივა"-ამბობს მარიამ ლობჟანიძე.

იმის მიუხედავად, რომ ხატვის გარკვეული უნარ-ჩვევები მოსწავლე-



ებს უკვე აქვთ, კონკრეტული დავალების შესრულება მაინც გაუჭირდათ. უფროსკლასელთა უმეტესობამ ზამთრის პრობლემები მთლიანობაში აღებული დახატა. სურათი დაახლოებით ასე გამოიყურებოდა: ნუცუბიძის პლატოს მესამე მიკრორაიონი, გორაკზე შეფენილი ჩაბნელებული კორპუსების ფანჯრებიდან ღუმელის საკვამურები იხედება; განცალკევებით დგას სკოლა, გაშიშვლებული ხეებით გაშემორტყმული; მისასვლელი გზა ჩაბნელებულია, ქუჩებში არც ერთი ნათურა არ ანათებს. შემაძრწუნებელი იყო, სკოლაში ყველაზე ნიჭიერი მოსწავლის მიერ შესრულებული ნახატი-მან საცხოვრებელი კორპუსი სულ მთლად გააშავა, ფერადოვანი მხოლოდ მასთან მისასვლელი გზა იყო. "ზამთრის სურათის წარმოსახვით დახატვა უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე რეალურის, აქ კარგი და ლამაზი რა უნდა დახატო"- ხატვის დასრულების შემდეგ, მარიამ ლობჟანიძემ ასეთი შეკითხვა დამისვა.

საათნახევრის განმავლობაში უმცროსკლასლები, უფროსებისგან განსხვავებით, სულ სხვა სურათს ხატავდნენ: ფიფქებს, მორთულ ნაძვის ხეებს, მთვარე-ვარსკვლავებით განათებულ ზამთრის ღამეს. ერთ-ერთმა მათგანმა ულამაზესი შობა- ახალი წლის ღამე დახატა, წარწერით: "გილოცავთ შობა-ახალი წლის ღამეს". პირველ, მეორე და მესამე კლასელებს უფროსებისგან განსხვავებით, ჯერ კდევ აქვთ იმედი, რომ წელს ფიფქებივით ლამაზი, თბილი და განათებული ზამთარი ექნებათ. რა შეიძლება უთხრან ენერგომამებმა წლევანდელი ზამთრის შესახებ მომავალ თაობას?- მათ შორის დიალოგი, ალბათ, მაშინ გაიმართება, როცა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის ინიცატივით, 19 ნოემბერს, დიუმას ცენტრში, ბავშვების მიერ შესრულებული ნახატების გამოფენა გაიხსნება და ეს ორი თაობა ერთმანეთს პირისპირ შეხვდება. საზოგადოებას წინასწარ ეცნობება, თუ სად და როდის ჩატარდება ზემოთ აღნიშნული გამოფენა.

მწვანე ალტერნატივა

ეკოხედვა

Caucasus Environmental NGO Network CENN
კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი

ენერგოსერვისის მომხმარებელთა ასოციაცია

USAID

# კობა ნარჩემაშვილი საპყრობილეში გადაიყვანეს

*უზენაესმა სასამართლომ გუშინ კიდევ ერთხელ ყველასთვის მოსალოდნელი და წინასწარ ცნობილი გადაწყვეტილება მიიღო - შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს კობა ნარჩემაშვილს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეეფარდა.*



ვახო ბესელიას ფოტო

*შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ბადრაგმა სასამართლო დარბაზიდან ისე გაიყვანა, რომ, მიუხედავად ბრალდებულის სურვილისა, ჟურნალისტებს მასთან გასაუბრების საშუალება არ მიეცათ.*

გუშინდელ პროცესს, რომელიც დაახლოებით სამი საათის განმავლობაში დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, თავად კობა ნარჩემაშვილიც ესწრებოდა, რომელსაც წინა დღეს ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ მის საქმეში არსებულ დარღვევებს მართლმსაჯულება გაიზიარებდა და გაათავისუფლებდა. მაგრამ, ადვოკატთა განცხადებით, ყველაფერი ბრალდებულის ინტერესების საწინააღმდეგოდ წარიმართა. შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ბადრაგმა სასამართლო დარბაზიდან ისე გაიყვანა, რომ, მიუხედავად ბრალდებულის სურვილისა, ჟურნალისტებს მასთან გასაუბრების საშუალება არ მიეცათ.

დაპატიმრების შესახებ ბრძანების თანახმად, ანუ პროკურორის მოთხოვნის შესაბამისად, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, გათავისუფლების შემთხვევაში, შესაძლოა, მიიმალოს და საქმესთან დაკავშირებით ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას ხელი შეუშალოს. აღნიშნული გადაწყვეტილების გამოცხადებას დარბაზში მყოფი ნარჩემაშვილის ოჯახის წევრებისა და ნათესავების უკმაყოფილება და ხმამაღალი შეძახილები მოჰყვა. თუმცა, ამისთვის ყურადღება აღარავის მიუქცევია.

ნარჩემაშვილი საპყრობილეში დამძიმებული ბრალდებით გადაიყვანეს. აქამდე ცნობილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების, სამსახურებრივი გულგრილობის და საბაჟო წესების დარღვევის მცდელობის გარდა, შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს გენერალურმა პროკურატურამ სახელმწიფო ბიუჯეტისთვის 287 180 ლარის ზარალის მიყენებაც დაუმატა.

**"მოსამართლემ გამოძიების არგუმენტები საფუძვლიანად მიიჩნია და რადგან ნარჩემაშვილს მძიმე დანაშაულში ედება ბრალი, მისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნა დააკმაყოფილა,"** - ამბობდა პროცესის დასრულების შემდეგ მართლმსაჯულების გადაწყვეტილებით კმაყოფილი პროკურორი გიორგი შანშიაშვილი.

კობა ნარჩემაშვილის ადვოკატი შალვა შავგულიძე კი აბსოლუტურად განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამდა: **"მოსამართლე იური ტყეშელაშვილმა დაპატიმრების შესახებ ბრძანებაში ადვოკატების პოზიცია საერთოდ არ დააფიქსირა, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო დღეს მიუკერძოებელი არ არის."** ადვოკატი უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას ამავე სასამართლოს საკასაციო პალატაში 48 საათის განმავლობაში აპირებს. მართალია, ყოფილი მინისტრის დამცველებს პროცესის მოგების იმედი არ აქვთ, მაგრამ ისინი საქმეს საერთაშორისო სასამართლოში გასაჩივრებისთვის ამზადებენ. ადვოკატთა განცხადებით, საქართველოში ყველა სამართლებრივი პროცედურების ამოწურვის შემდგომ, დამცველები სარჩელით სტრასბურგის სასამართლოს მიმართავენ.

*24 საათი*

# მძევლად ნამყოფმა პეტრე ცისკარიშვილმა ჭიჭიაშვილი ვერ იცნო

ხათუნა ჯანგირაშვილი

*მევლუდ ჭიჭიაშვილის გუშინდელი სასამართლო პროცესი წინა პროცესებისგან მოწმეების სიმრავლით გამოირჩეოდა. მოწმეების გარდა, გუშინ ორი დაზარალებული დაიკითხა. ერთ-ერთი მათგანი კახეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებული პეტრე ცისკარიშვილი გახლდათ, რომელმაც აქამდე დაკითხული დაზარალებულებისა და მოწმეების მსგავსად, მევლუდ ჭიჭიაშვილში მისი და მისი საცოლის გამტაცებელი ვერ ამოიცნო.*



ვახო ბესელიას ფოტო

*"გამტაცებელთა ამოცნობა არაფრით შემიძლია, რადგან ისინი ნიღბებში იყვნენ."*

**"გამტაცებელთა ამოცნობა არაფრით შემიძლია, რადგან ისინი ნიღბებში იყვნენ. წინასწარი ძიებისას ამოვიცანი მხოლოდ ერთი, რომელიც პირველი მოვიდა ჩვენთან, პოლიციის ფორმაში იყო და ნიღაბი არ ეკეთა,"** - განუცხადა სასამართლოს პეტრე ცისკარიშვილმა და 2001 წლის 7 მაისი დეტალურად გაიხსენა.

**"ჩემს საცოლესთან ერთად ვაკის პარკის ტერიტორიის ზემოთ, საკუთარი ავტომანქანით ვიმყოფებოდი. ჩვენთან პოლიციის ფორმაში გამოწყობილი უცხო ადამიანი მოვიდა და საბუთები მომთხოვა. პარლამენტის წევრის საბუთი ვაჩვენე, თუმცა, ის ამ საბუთით არ დაკმაყოფილდა და დამატებითი საბუთები დაჟინებით მოითხოვა. მანქანიდან გადავედი თუ არა, ორმა სამხედრო ფორმიანმა, ნიღბიანმა მოირბინა. ავტომატებით იყვნენ აღჭურვილნი. ხელბორკილების დადება დამიპირეს, რასაც, რა თქმა უნდა, შევეწინააღმდეგე, მათთან ჭიდაობა მიწაზეც მომიწია. მერე ერთ-ერთმა თავდამსხმელმა გაისროლა, ხელბორკილები დამადეს და წამიყვანეს ჩემი ავტომანქანისკენ, სადაც ჩემი მეგობარი გოგონა მელოდებოდა. ორივე უკანა სავარძელზე მოგვათავსეს, თვითონაც მოგვისხდნენ, ნიღბები ჩამოგვაფარეს და გაურკვეველი მიმართულებით წაგვიყვანეს,"** - ასე გაიხსენა გატაცების პირველი დღე კახეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულმა, რომელიც გამტაცებლებმა საცოლესთან, ანა სურმავასთან ერთად ექვსდღიანი ტყვეობის შემდეგ გაათავისუფლეს. როგორც პეტრე ცისკარიშვილი განმარტავს, მძევლად ყოფნის პერიოდში მან არ იცოდა სად, რა ტერიტორიაზე იმყოფებოდა. დაზარალებულის თქმითვე, გამტაცებლებს მასთან გამოსასყიდ თანხაზე საუბარი თავდაპირველად, ისიც ზედაპირულად ჰქონდათ. **"მე ავუხსენი, რომ თანხის გადახდის საშუალება არ მქონდა. ამის შემდეგ, ვხვდებოდი, რომ ჩემი გათავისუფლების სანაცვლოდ გამოსასყიდი თანხის მისაღებად მოლაპარაკებებს სხვასთან აწარმოებდნენ,"** - ასეთი გახლდათ პეტრე ცისკარიშვილის სასამართლო ჩვენება.

მეორე დაზარალებულმა კი, რომელიც გუშინ დაიკითხა და რომლის ავტომანქანითაც მევლუდ ჭიჭიაშვილის დაჯგუფების წევრებმა ესპანელი ბიზნესმენები - ხოსე ანტონიო ტრემინიო და ფრანსისკო როდრიგესი გაიტაცეს, იმ დღეს იხსენებდა, როცა მას კუს ტბის ტერიტორიაზე, სადაც საკუთარი ავტომანქანით მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა, შეიარაღებული, ნიღბიანი რამდენიმე ადამიანი დაესხა თავს. დაზარალებულის ჩვენების მიხედვით, თავდამსხმელებმა ისიც და მისი მეუღლეც ავტომანქანიდან მუქარით გადმოიყვანეს, ტყის სიღრმეში შეიყვანეს და ხეზე მიაბეს. **"სიბნელეში ხეზე მიბმულები დაგვტოვეს და ჩემი ავტომანქანით წავიდნენ. ჯიბეში სიგარეტის კოლოფი მქონდა, კოლოფში კი, ბედზე - სანთებელა. ამ სანთებელამ გადამარჩინა. მისი საშუალებით, როგორღაც მოვახერხე ხელების ახსნა და მე და ჩემმა მეუღლემ გამოვაღწიეთ ტყიდან. ცოტა ხანში, ტელევიზიით გავიგე, რომ ესპანელი ბიზნესმენები ჩემი ავტომანქანით გაუტაციათ,"** - ასე გაიხსენა რამდენიმე წლის წინ საკუთარ თავს გადამხდარი ამბავი მევლუდ ჭიჭიაშვილის 24-ტომიან საქმეში არსებულ უამრავ მოწმეთაგან ერთ-ერთმა. **"უკუნეთი სიბნელე იყო, ვერაფერს ვხედავდი",** - ამ მოტივით სასამართლოს გალიაში მყოფ მევლუდ ჭიჭიაშვილში ვერც მან ამოიცნო თავდამსხმელი.

სხვადასხვა ეპიზოდთან დაკავშირებული მოწმეების დაკითხვა გუშინდელ პროცესზე დიდ ხანს არ გაგრძელებულა, რადგან მათ მიერ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებები გუშინდელის იდენტური აღმოჩნდა.






# პოლიცია დაკავებულთა ცემა-წამებას აგრძელებს

*ხელისუფლება ბოლო პერიოდში სისტემატურად აკეთებს აქცენტს ადამიანის უფლებების დაცვაზე და შეურიგებელ ბრძოლას უცხადებს იმ პოლიციელებს, რომლებიც დაკავებულებს აწამებენ. ეს თემა განსაკუთრებით აქტუალურია ამ დღეებში, რადგან სწორედ აღნიშნული პრობლემის კონტროლის მიზნით, თბილისში ევროსაბჭოს წარმომადგენლები იმყოფებიან. უცხოელმა ექსპერტებმა საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობაზე საბოლოო შეფასება უნდა გააკეთონ, რაც ქვეყნის საერთაშორისო იმიჯისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.*

თამარ კაციტაძე

სწორედ ასეთ სიტუაციაში სახალხო დამცველის აპარატი ადამიანთა წამების კიდევ ერთ ფაქტს აფიქსირებს.

**"დილით ადვოკატმა დაგვირეკა და შეგვატყობინა, რომ გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის სამმართველოს N1 ქვეგანყოფილებაში დაკავებულ პიროვნებებთან მათ დამცველებს არ უშვებენ. მაშინვე რაიონის პოლიციის უფროსს დავუკავშირდით, რომელიც დაგვპირდა, რომ ადვოკატს განყოფილებაში შეუშვებდნენ, მაგრამ უშედეგოდ,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში მართლმსაჯულების ომბუდსმენმა ვახტანგ კომახიძემ, რომელიც სიტუაციაში გარკვევის მიზნით გლდანი-ნაძალადევის პოლიციის ქვეგანყოფილებაში მივიდა და ნაცემი ხვიჩა ხუნწარია და სუჯი ჩქოფონია აღმოაჩინა.

**"ხუნწარია, რომელიც სასტიკად არის ნაცემი, მას მარჯვენა თვალის არეში და ნიკაპის მარცხენა მხარეს აქვს სისხლჩაქცევა, ირწმუნება, რომ დაზიანებები შემთხვევით, თვითონ მიიღო. ჩვენი აზრით, იგი საკმაოდ შეშინებულია და სიმართლეს მალავს. ხოლო ჩქოფინია, რომელსაც დაზიანებები ზურგზე აღენიშნება, ადასტურებს, რომ იგი სწორედ პოლიციელებმა სცემეს,"** - ამბობს ვახტანგ კომახიძე, რომელმაც დაკავებული ხუნწარია ერთ-ერთი პოლიციელის კაბინეტში იპოვა, ჩქოფონია კი განყოფილების წინასწარი დაკავების ოთახში.

როგორც მართლმსაჯულების ომბუდსმენისთვის გახდა ცნობილი, სუჯი ჩქოფონიას ძმა ძარცვისთვის არის ძებნილი, რის გამოც, ჯერ კიდევ სექტემბერში, პოლიციამ მათ სახლში ჩხრეკა ჩაატარა, მაგრამ მაშინ კანონსაწინააღმდეგო ვერაფერი აღმოაჩინა. იმის გამო, რომ მოსალოდნელი გაურკვევლობა თავიდან აეცილებინა, სუჯი ჩქოფონიამ ადვოკატი დაიქირავა, რომელმაც ოფიციალურად გაარკვია, რომ მის მიმართ პოლიციას არანაირი პრეტენზია არ გააჩნდა და იგი მოწმის სტატუსითაც არავის დაუბარებია.

გუშინ ღამის პირველ საათზე კი ჩქოფონიების ბინაში პოლიციამ კარები შეამტვრია და მასპინძელი და მისი სტუმარი ხუნწარია ისე დააპატიმრეს, რომ მათთვის ორდერიც არ უჩვენებიათ.

**"ვიზუალური დათვალიერებით ორივე დაკავებულს დაზიანებები აშკარად აღენიშნებათ, მაგრამ ისინი ძალიან შეშინებულები არიან და არ არის გამორიცხული, რომ სიმართლე არ თქვან. ის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები სიტყვიერად პატიმრების ცემა-წამების წინააღმდეგ გამოდიან, როგორც ჩანს, საკმარისი არ არის, რადგან ასეთ მუქარას სამართალდამცველები შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდშიც ისმენდნენ და დაუსჯელობის სინდრომს შეჩვეულნი არიან. ვიდრე ასეთი დანაშაულის გამო პოლიციელები საგანგებოდ არ დაისჯებიან, რეალური შედეგის იმედი არ უნდა გვქონდეს,"** - ასეთია მართლმსაჯულების ომბუდსმენის პოზიცია, რომელმაც აღნიშნული ფაქტის შესახებ ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიაწოდა.

ხუნწარია-ჩქოფონიას ცემის ფაქტზე მოკვლევა გენერალურმა ინსპექციამ ინფორმაციის მიღებისთანავე დაიწყო. დაკავებულებს ჩამოერთვათ ახსნა-განმარტებები, სადაც ისინი აღნიშნავენ, რომ დაზიანებები დაკავებამდე ჰქონდათ მიღებული. თუმცა, თავად ხუნწარია-ჩქოფონიას მეუღლეები ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფენ და იმასაც აცხადებენ, რომ მოისმინეს იმ პოლიციელების საუბარი, რომლებმაც დაკავებულები სცემეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექსიის უფროსის მოადგილემ სოსო თუფურიძემ კი ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევა გრძელდება და თუ პოლიციელთა მხრიდან დანაშაულის ფაქტი დადასტურდება, ისინი დათხოვნილნი იქნებიან სამსახურიდან, მათი საქმე კი გამოსაძიებლად პროკურატურაში გადაიგზავნება.

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი ........................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ........................................

საკონტაქტო ტელეფონი ........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0179 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

www.liberty.ge

# თავისუფლება

N8

28 ოქტომბერი, ხუთშაბათი

„თავისუფლების ინსტიტუტის" სპეციალური დამატება

## ფოკუს-ჯგუფების შედეგები

(გაგრძელება. დასაწყისი №232 (781), 30 სექტემბერი)

**კორუფცია ხშირად ხელს უწყობს საკუთარი თავის კვლავწარმოებას**

„კორუფცია არ არის, ამ წლეწა უმაღლეს დამთავრებულს 500 დოლარს რომ ართმევ და მასწავლებლად აწყებინებ მუშაობას?! ის ბავშვები ისევ რომ დაა-წლეწდით, შემდეგ ისინიც ისევ ფულით მოეწყონ სამსახურში და ასე გაგრძელდეს მუდმივად?" (სტუდენტები, თელავი)

**კორუფციის ფართო მასშტაბები რესპონდენტებს აფიქრებინებს, რომ:**

"მე თუ არ ავიღე, სხვა მაინც აიღებს, ასეც ფიქრობენ" (პოლიციელები, ქუთაისი);

„არიან ისეთი [სტუდენტები], რომლებიც მოვიდნენ, ეტყობათ „რაღაც" ჩათვლის წიგნაკში; [მე ისინი] გავაბრუნე — ასე იყო მე-6 სემესტრში, მე-7 სემესტრში, მე-8 სემესტრში და რა მოხდა? – სახელმწიფო გამოცდაზე არ წამომისვეს ეს ხალხი წინ. ახლა არა ჯობდა, მე თვითონ გამომერთვა ის „რაღაც?!" (პროფესორ-მასწავლებლები, თელავი).

**გარდა ამისა, კორუფციის მიზეზებად დასახელდა კანონების არცოდნა, გაუნათლებლობა და სახელმწიფოში არსებული საკანონმდებლო ვაკუუმი:**

„როდესაც ესა თუ ის ურთიერთობა არ რეგულირდება კანონით, აქ ყოველთვის შეიქმნება რაღაც შეზღუდული წრე, სადაც წარიმართება [კორუფციული] პროცესი. ამ პროცესის შესაჩერებლად კი აუცილებელია, მოისპოს ეს ვაკუუმი" (სტუდენტები, თელავი).

### 3. რით ვამართლებთ კორუფციას

**კორუფცია რესპონდენტებში გარკვეულ გაგებას პოულობს. იმ პირობებში, როდესაც ადამიანს სხვა გამოსავალი არ დარჩენია, როდესაც ის სახელმწიფოსგან განწირულია, კორუფცია განიხილება როგორც თავის გადარჩენის ერთ-ერთი საშუალება. უსახსრობა გვევლინება კორუფციის ერთ-ერთ უმთავრეს გამართლებად:**

„როდესაც ლექტორს 16 ლარი აქვს ხელფასი და შემოსავლის სხვა წყარო არ გააჩნია, მას ვერაფრით მოსთხოვ, არ აიღოს ფული ვიღაც დებილისგან, რომელსაც ფულიც აქვს და ლექტორსაც სთავაზობს" (სტუდენტები, თელავი).

**გარდა ამისა, ფოკუს-ჯგუფების მსვლელობის პროცესში გამოიკვეთა კორუფციის კიდევ ორი შესაძლო გამართლება. ესენია: „სუსტი სახელმწიფო" და „ქართული მენტალიტეტი".**

#### 3.1. „სუსტი სახელმწიფო", როგორც კორუფციის ინსტიტუციონალური გამართლება

**რესპონდენტთა უმრავლესობა ქვეყანაში არსებულ კორუფციის პრობლემას „პატარა კაცის" პოზიციიდან უყურებს და მიიჩნევს, რომ კორუფციის გავრცელებაზე პასუხისმგებლობა თითქმის სრულად ეკისრება ხელისუფლებას და მის „პირველ პირებს". ამ საერთო პოზიციისაგან გარკვეულწილად განსხვავდება სტუდენტების შეფასებები, რომლებიც შედარებით თვითკრიტიკულები არიან და სხვებთან შედარებით მეტად ხედავენ რიგითი მოქალაქეების პასუხისმგებლობას კორუფციის ხელშეწყობის პროცესში.**

„როდესაც სახელმწიფო წინასწარ უშვებს კორუფციას, როცა ასეთ ხელფასს ნიშნავს, ის თავიდანვე გეუბნება – მიდი და იშოვე" (პროფესორ-მასწავლებლები, თელავი);

„სამწუხაროდ, დღეს ქართულმა სახელმწიფომ ყოველგვარი მორალური უფლება დაკარგა, ვინმეს რამე მოსთხოვოს; თუნდაც იმ ადამიანს, რომელსაც შია და რაღაცას იპარავს" (სტუდენტები, თელავი);

„ასე თუ ისე, კორუფცია ყველა სფეროშია, საბოლოო ჯამში ყველა სფეროდან თანხა ერთ ხელში იყრის თავს — კანცელარიასა და პარლამენტში. კორუფციის საერთოდ მოშლა გამორიცხულია, მაგრამ თუ ზემოთ არ მოითხოვენ ფულს, კორუფციის მასშტაბები შემცირდება" (პოლიციელები, ქუთაისი).

**სახელმწიფოსადმი ნაყვნებული ძირითადი პრეტენზიები ასეთია: ის არ ზრუნავს მოქალაქეთა კეთილდღეობაზე; არ უზრუნველყოფს „კანონიერების კულტურის" დამკვიდრებას, რაც წარმოშობს დაუსჯელობის სინდრომს; და არ ზრუნავს ისეთი კანონების მიღებაზე, რომელიც უკეთ იმუშავებს და მოსახლეობას მძიმე ტვირთად არ დააწვება. ამასთან, საზოგადოებაში ღრმადაა ფესვგადგმული რწმენა, რომ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები ყველაზე კორუმპირებულები არიან, რაც მოსახლეობას ამ სახელმწიფო მოხელეების, ან სხვა მოქალაქეების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობას უსპობს.**

„კაცს რომ 30 ლარს აძლევ და მერე ციხეში სვამ — ამის მორალური უფლება არა გაქვს!" (პროფესორ-მასწავლებლები, თელავი);

„სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მატერიალური კეთილდღეობა და ისეთი გარემო, სადაც ადამიანს კანონდარღვევის შემთხვევაში დასჯის შიში ექნება" (პოლიციელები, ქუთაისი);

„სავადასახადო კანონი, მაგალითად, უნდა იყოს ისეთი ლოიალური, რომ ადამიანი გაიქცეს გადასახადის გადასახდელად" (სახელმწიფო მოხელეები, ახალციხე);

„ჩვენი [უნივერსიტეტის] შემოსავალი რომ არის, ფასიანებიდან 60% სახელმწიფოს მიაქონდა, ამიტომ არა გვაქვს ხელფასი. სად არის, რა კანონზეა ლაპარაკი? ეს არის სახელმწიფოსგან დადგენილი ოფიციალური ყაჩაღობა. ...ეს არის ნაძირალების დაწერილი კანონი" (პროფესორ-მასწავლებლები, თელავი).

**რესპონდენტთა აზრით, სახელმწიფო თავის მოხელეებს ნორმალური მუშაობის ელემენტარულ პირობებსაც კი ვერ უქმნის, რაც კიდევ უფრო ამცირებს სახელმწიფოს პრესტიჟს ხალხის თვალში.**

„ქურდობაზე რომ დაიჭერ ვინმეს, საქმე ძიებამდე რომ მიიყვანო, დაახლოებით 50-დან 100 ლარამდე გჭირდება. ფურცელი გინდა, ექსპერტი გჭირდება, ქსეროქსი, ბენზინი, ტყვიების ფული — ამ ყველაფერს არავინ ადგნახვებს და პოლიციელი იძულებულია ამისათვის თანხა თავად მოიპოვოს. „პაგონები" 10 ლარი ღირს, ფორმის პერანგი – 18 ლარი, შარვალი – 50 ლარი, ფორმა 100 ლარამდე გიჯდება. ასეთ პირობებში კორუფციისაგან თავს ვერ დაიზღვევ" (პოლიციელები, ქუთაისი).

**ყოველივე ამის შედეგად, ხდება პასუხისმგებლობის სრულად „გადატანა" სახელმწიფოზე ან თუნდაც მის ცალკეულ მაღალჩინოსანზე, რაც მოსახლეობას საკუთარი უდანაშაულობის გრძნობას უმტკიცებს და შესაბამისად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობასაც ამცირებს. რესპონდენტები იშვიათად აღნიშნავენ შემთხვევებს, როდესაც დაუდევრობის, გულგრილობის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, თავად მოქალაქეები გვევლინებიან კორუფციის ხელშემწყობებად:**

„ყველაფერს მთავრობას ვერ დავაბრალებ, უნდა შეიცვალოს ადამიანების მენტალიტეტი. ასიდან სამოცდაათს მგონია, რომ ქრთამი საუკეთესო გამოსავალია. ხომ შეიძლება მოქალაქემ პასპორტი ერთი თვითადრე მოითხოვოს და არა ბოლო წუთში? მოქალაქე, რომელიც ერთ კვირაში, ზოგჯერ ერთ დღეშიც კი ითხოვს პასპორტის დამზადებას, თავად უწყობს ხელს კორუფციას" (პოლიციელები, ქუთაისი).

**შედარებით იშვიათად გამოითქმოდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კორუფციულ გარიგებებში მეტ-ნაკლებად თანაბრად აგებს პასუხს როგორც ქრთამის ამღები, ასევე ქრთამის მიმცემიც. როგორც წესი, სახეზეა ტენდენცია, როცა რესპონდენტები თვლიან, რომ მთელი პასუხისმგებლობა გარიგების მხოლოდ ერთ მხარეს, კერძოდ – ქრთამის ამღებს უნდა დაეკისროს.**

„ამღებიც და მიმცემიც ორივე ერთია. ამიტომაც თითის მიშვერა მხოლოდ იმისკენ, ვინც ქრთამს იღებს, სხვა არაფერია, თუ არა უზნეობა" (პროფესორ-მასწავლებლები, თელავი);

„ბიბლიის მაგალითს მოვიყვან: ცოდვილი ის კი არ არის, ვინც ქრთამს იღებს, ცოდვილი ხარ შენ, როდესაც ქრთამს აძლევ. გადახდილი მაქვს, ვთქვათ, ქრთამი, ამის გამო ჩემს თავს უფრო ვთვლი დამნაშავედ, ვიდრე მას, ვინც თანხა აიღო" (სტუდენტები, თელავი).

**მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჯამში რესპონდენტთა უმრავლესობას მთავრობის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს, ახალი ხელისუფლება გარკვეული ნდობით მაინც სარგებლობს:**

„მოკვლისწრო სულზე სააკაშვილმა, რახალხი მზად არის, რომ მას გვერდში დაუდგეს" (პროფესორ-მასწავლებლები, თელავი);

**რესპონდენტთა უმრავლესობა იმედით უყურებს მთავრობის შეცვლას და ახალი სახეების გამოჩენას. თუმცა ჯერჯერობით ეს იმედი ემყარება არა რეალურ ცვლილებებს, არამედ მხოლოდ დაპირებებსა და მოლოდინს, ამდენად ძნელი სათქმელია, რამდენად მყარი იქნება ეს ნდობის მანდატი. სიტუაციის გამოსწორების იმედს, რესპონდენტთა შეფასებით, ბადებს ის გარემოებაც, რომ თანდათან ჩნდება შიშის ფაქტორი, რაც ხელს უწყობს დაუსჯელობის სინდრომის აღმოფხვრას.**

#### 3.2. „ქართველობა", როგორც კორუფციის კულტურული გამართლება

**კორუფციის თავისებურ გამართლებად განიხილება ასევე „ქართველობა" და „ქართული მენტალიტეტი". როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რესპონდენტები „პატივისცემას", საჩუქრების მეშვეობით მადლიერების გამოხატვას ეროვნულ ტრადიციად და შესაბამისად, მისაღებ მოვლენად მიიჩნევენ და საჭიროდ არ თვლიან, მის წინააღმდეგ ბრძოლას.**

„ქრთამში იგულისხმება რაიმე მომსახურების სანაცვლო საჩუქარი, როდესაც ადამიანი მადლიერების ნიშნად ადამიანს რაღაცას უხდის. მოქალაქე, რომელიც თხოვნით მიმართავს [თანამდებობის პირს], ცდილობს სანაცვლოდ რაიმე გაუკეთოს მას, რათა სხვებზე პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს ან უკეთესი მომსახურება მიიღოს. ეს მენტალიტეტიდანაც გამომდინარეობს" (სტუდენტები, თელავი);

„საქართველოში ნებისმიერ ადამიანს რომ ჰკითხო, გეტყვის – ყველაფერი კანონიერი უნდა იყოს; მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ყველას მოსთხოვს კანონიერად მოქცევას, საკუთარი თავის გარდა, თვითონ კი ისევ ძველებურად გააგრძელებს ცხოვრებას. ანუ, ყველა ფიქრობს – კი ბატონო, კანონი უნდა კანონობდეს, დამნაშავე უნდა დაისაჯოს, მაგრამ... მე არ უნდა შემეხოს ეს ამბავი" (სტუდენტები, თელავი).

### 4. კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი აგენტები

**რესპონდენტები მეტწილად თვლიან, რომ კორუფციის წინააღმდეგ ცალკეული პიროვნებების დონეზე ბრძოლა პრაქტიკულად შეუძლებელია:**

„კორუფციასთან ბრძოლაში მოქალაქე უძლურია, ბრძოლა მთავრობიდან უნდა დაიწყოს" (პოლიციელები, ქუთაისი).

**თავად რესპონდენტებს კორუფციულ ქმედებებთან ბრძოლის გამოცდილება პრაქტიკულად არა აქვთ. თავიანთი პასიურობის მიზეზად კი იმ კონფლიქტური სიტუაციებისთვის თავის არიდებას ასახელებენ, რომელიც თან სდევს ანტიკორუფციულ აქტივობას. ამასთანავე, რესპონდენტებმა რამდენიმე შემთხვევაში აღნიშნეს ის ცვლილებები, რომლებიც მათ ცნობიერებაში ბოლო თვეების განმავლობაში მოხდა:**

„ახლა მე უკვე შემიძლია [ხმის ამაღლება]. თუ გუშინ ცოტა მშიშარა ვიყავი, დღეს ცოტა თამამი ვარ" (პროფესორ-მასწავლებლები, თელავი);

„იმაზე, რაზეც ყოველთვის ვჩუმდებოდი, გულახდილად ვიტყვი და, ერთი თვის წინ აღარ გავჩუმდი. და იცით, რატომ? უკვე ვიცოდი, რომ ზურგი უფრო მაგარი მქონდა. ვიცოდი, რომ თუ ხმას ამოვიღებდი და რაც სათქმელი მქონდა ვიტყოდი, ზურგს სხვაც გამიმაგრებდა და მხარს დამიჭერდა" (პროფესორ-მასწავლებლები, თელავი).

**შედარებით იშვიათად საუბრობენ რესპონდენტები ანტიკორუფციულ ბრძოლაში თავად მოქალაქეთა როლზე:**

„...როგორც თანამდებობის პირმა უნდა შეასრულოს კეთილსინდისიერად საკუთარი მოვალეობა, ასევე მოქალაქემ უნდა გააცნობიეროს და დაიცვას [თავისი] უფლება-მოვალეობები. სწორედ ეს არის კანონის უზენაესობა" (სახელმწიფო მოხელეები, ახალციხე);

„საზოგადოება, პირველ რიგში, უნდა შეეჩვიოს შენიშვნის მიცემას. აი, მაგალითად, ქუჩაში მიმავალმა ახალგაზრდამ დააგდო ძირს ნაყინის ქაღალდი, ჩვენ მას არ მივცემთ შენიშვნას, რომ დაობარის და ქაღალდი ურნაში ჩააგდოს" (სახელმწიფო მოხელეები, ახალციხე).

**სხვა ჯგუფებთან შედარებით სტუდენტები ყველაზე ხშირად გამოთქვამენ კონსტრუქციულ მოსაზრებებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი შეიძლება იყოს რიგითი მოქალაქეების როლი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში:**

„ჩვენს უფლებებს თავადვე უნდა გავეცნოთ და სხვა ადამიანებსაც ავუხსნათ მათი უფლებები. თუნდაც იმიტომ, რომ მათზე მებრძოლები ვართ" (სტუდენტები, თელავი);

„თუ ხალხი არ მოინდომებს, კორუფციას არაფერი ეშველება" (სტუდენტები, თელავი);

„მოქალაქემ არ იცის, რა ვალდებულებები და მოვალეობები აკისრია მას სახელმწიფოს წინაშე, და რაც მთავარია, არ იცის, თავისი უფლებები, რადგანაც, როგორც წესი, მისი უფლებები სახელმწიფოს ვალდებულებებში გამოიხატება" (სტუდენტები, თელავი).

**ძირითადი აგენტი, რომელსაც, რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, შესწევს ძალა, შეებრძოლოს კორუფციას, არის სახელმწიფო. სახელმწიფოს მხრიდან კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა კი გამოიხატება შემდეგ ქმედებებში: ხელფასების გაზრდა და კანონიერების კულტურის დამკვიდრება, დაუსჯელობის სინდრომის აღმოფხვრა, მოსახლეობის სამართლებრივი განათლება;**

„სახელმწიფომ უნდა იზრუნოს საკუთარი მოქალაქეების სამართლებრივ განათლებაზე. მოქალაქეები უფრო აქტიურნი უნდა გახდნენ, აღარ იფიქრონ – ეს ჩემი საქმე არ არისო. უნდა გააცნობიერონ, რომ სახელმწიფოს მშენებლობა თითოეულ მათგანზეა დამოკიდებული. მენტალიტეტის შეცვლას, ალბათ, დრო დასჭირდება" (პოლიციელები, ქუთაისი).

**რესპონდენტები აცნობიერებენ იმ გარემოებას, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა იოლი არ არის:**

„ზოგჯერ ისეა გამარტივებული ქრთამის აღების პროცედურა, რომ ძალიან ძნელია კონკრეტულად ვინმეზე ხელის დადება" (მასწავლებლები და მშობლები, თბილისი).

**გამოითქვა კონსტრუქციული პოზიციაც იმის შესახებ, რომ ანტიკორუფციული ბრძოლა უნდა ხორციელდებოდეს როგორც სახელმწიფოს, ასევე ცალკეული მოქალაქეების ერთობლივი ძალებით:**

„საზოგადოება კანონმორჩილი უნდა გახდეს, სახელმწიფომ კი – სოციალური პრობლემები მოაგვაროს" (პოლიციელები, ქუთაისი).

სრული ვერსია
იხ. თავისუფლების ინსტიტუტის
ვებ-გვერდზე:
WWW.LIBERTY.GE

## სტუდენტთა ქარტია

მე, როგორც სტუდენტი,

ვალდებული ვარ:

- [illegible]

[illegible]

- [illegible]



## მშობელთა ქარტია

მე, როგორც მშობელს,

უფლება მაქვს:

- [illegible]

მე, როგორც მშობელი,

ვალდებული ვარ:

- [illegible]



რედაქტორები:
[illegible]
თავისუფლების ინსტიტუტი
თბილისი 0108, ჯორჯიაშვილის 23, ტელ: 93 66 15, ფაქსი: 93 67 84, ელ-ფოსტა: liberty@liberty.ge, www.liberty.ge

გამოცემულია ამშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და მერილენდის უნივერსიტეტის IRIS Center-ის ფინანსური მხარდაჭერით (ხელშეკრულება N114-C-00-01-00136-00).
გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს USAID-ის თვალსაზრისს.

IRIS

სანიმუშო რეაბილიტაცია

B2

მთავარი სიმდიდრე

B3

დაპირისპირება გრძელდება

B4

თვალსაზრისი

# რეალური შანსი

## ძველი შეცდომები და ახალი პერსპექტივები

გოგი თოფაძე

ქართველი მეწარმეებისათვის პოლიტიკაში მოსვლა ნამდვილად არასოდეს ყოფილა თვითმიზანი.უფრო პირიქით, გარკვეული თვალსაზრისით, ეს იძულებით გადადგმული ნაბიჯი იყო.

წინა ხელისუფლების დროს აშკარად ჩანდა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ფორმაციის შეცვლა, ამოსავალ პრინციპად საბაზრო ურთიერთობების დასახვა მხოლოდ ცარიელ სიტყვებად რჩებოდა და სინამდვილეში ამაზე არც ერთი პოლიტიკური ძალა და პარტია არ ზრუნავდა.

ადგილობრივ მეწარმეს ხელისუფლების მხრიდან ათასგვარი წინააღმდეგობა და ხელოვნური დაბრკოლება ექმნებოდა. იმ პერიოდში ბიზნესის და ხელისუფლების ურთიერთობის დასახასიათებლად ზუსტად გამოდგება უინსტონ ჩერჩილის ცნობილი გამონათქვამი, რომ მეწარმეში ან აგრესიულ მგელს ხედავენ, რომელიც უნდა გაანადგურო, ან ძროხას, რომელიც განუწყვეტლივ უნდა წველო და არამც და არამც იმ მუშა ცხენს, რომელმაც ტვირთი უნდა ზიდოს.არადა, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს უნდა ესმოდეს, რომ ქვეყნის გაძლიერებისა და დამოუკიდებლობის განმტკიცების აუცილებელი წინაპირობა, სწორედ ეროვნული წარმოების და სოფლის მეურნეობის ფეხზე დაყენებაა. ზოგადად, ეკონომიკა ჯანსაღი მაშინაა, როცა ადამიანი დასაქმებულია და შეუძლია,საკუთარი შრომის ფასად ღირსეული ადგილი დაიკავოს საზოგადოებაში.

ჩვენი, ქართველი მეწარმეების პოლიტიკაში მოსვლის უმთავრესი მიზანი იყო, დაგვერწმუნებინა ხელისუფლებაც და, რაც მთავარია, საზოგადოებაც, რომ **ბიზნესმენისგან მტრის ხატი კი არ უნდა შეიქმნას, ხმამაღლა უნდა ითქვას, რომ სწორედ მეწარმეების , თავისუფალი ფერმერების, ბიზნესმენების ფენაა ის ფენა , რომლის სიძლიერეზეცაა დამოკიდებული ქვეყნის რეალური სიძლიერე და კეთილდღეობა**.

მხოლოდ ამ ფენის არსებობა და ქმედითუნარიანობა უწყობს ხელს სახელმწიფოს აღმშენებლობას, რაც ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის უპირველეს და უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა ფორმალური დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ. ამ მოსაზრების სისწორეს ადასტურებს ისტორია და ყველა იმ ქვეყნის გამოცდილება , რომლებიც ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია სამაგალითოდ.

მოწინავე ქვეყნებში, ბიზნესმენიც ისეთივე საკულტო ფიგურაა, როგორც, ვთქვათ, ჯარისკაცი, პოლიციელი, ადვოკატი თუ მოსამართლე. მსოფლიო პოლიტიკის რუკაზე სწორედ იმ ქვეყნებმა დაიმკვიდრეს ღირსეული ადგილი, სადაც ბიზნესისა და ბიზნესმენებისათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი გარემოს შექმნა სახელმწიფო პოლიტიკის უმაღლეს რანგშია აყვანილი. სწორედ ამ ქვეყნებმა შეძლეს დემოკრატიული პრინციპებისა და ფასეულობების მაქსიმალური რეალიზება. ჩვენთან კი, წლების მანძილზე, ჯიუტად ეწინააღმდეგებოდნენ და ჩანასახშივე კლავდნენ იმ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკურად აქტიურ ადამიანთა ფენაა სისხლხორცეულად დაინტერესებული როგორც ქვეყნის სტაბილურობით, ისე საზოგადოების კეთილდღეობის ზრდით, საშუალო ფენის ჩამოყალიბებით, ადამიანების გამდიდრებით, პოტენციურ მყიდველთა და მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდით-თუნდაც საკუთარი პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინარე.

მოწოდებით მეწარმე, მართლა მეურნე ადამიანი, არ შეიძლება მღვრიე წყალში თევზის ჭერით იყოს დაინტერესებული. მას სამოქმედოდ სტაბილური და ჯანსაღი სოციალურ-ეკონომიკური გარემო სჭირდება და თუკი ხელისუფლება ხელს მაინც არ შეუშლის ამგვარი გარემოს ჩამოყალიბებას, ჯაჭვური რეაქციით იწყება ძალიან ბევრი სასიკეთო პროცესი და, ,საბოლოო ჯამში, სახელმწიფოც სახელმწიფოს ემსგავსება.

ნოემბრის რევოლუციის შემდეგ ხელისუფლების ,უფრო კონკრეტულად კი, პრეზიდენტის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა, გააჩინა სერიოზული იმედი და მოლოდინი, რომ ვითარება ამ მიმართულებით, სასიკეთოდ რეალურად შეიცვლებოდა.

ამგვარ იმედს და მოლოდინს უმთავრესად ის განაპირობებდა, რომ უკვე ხმამაღლა და თამამად ითქვა საქართველოს ღირსების აღდგენაზე, ღირსეული დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე.

სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე მიუთითებდა, ერთი შეხედვით, თითქოს გარეგნული, მაგრამ სინამვილეში ძალიან არსებითი ცვლილებები, როგორიცაა, ვთქვათ, ახალი დროშის და ჰიმნის დაკანონება.

თუ კაცი დღეს მართლა ჩასაფრებულის პოზიციას არ აირჩევ და შეგნებულად არ დაიბრმავებ თვალს, შეუძლებელია, არ დაინახო და არ აღიარო ბევრი პოზიტიური ტენდენცია.მარტო ის რად ღირს , რომ აჭარაში უკვე თავისუფლად შეგვიძლია ჩასვლა-ჩამოსვლა და აღარ არსებობს ის ხელოვნური, შეურაცხმყოფელი და ამაზრზენი ბარიერები.

როგორც არ უნდა აფასებდნენ ცალკეული პოლიტიკოსები თუ პარტიები ზაფხულის მოვლენებს ცხინვალის რეგიონში, ფაქტი ერთია: აუცილებელია დღის წესრიგში ამ საკითხის აქტიურად დაყენება, რადგან ეს უკვე კონკრეტული გზის ძიებაა პრობლემის მოგვარებისაკენ. ათ წელზე მეტია, რაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხები უიმედოდ იყო დაკონსერვებული, პრობლემა თითქოს აქტუალობასაც კარგავდა. არა მარტო რეალური ქმედებები არ ხორციელდებოდა ამ მიმართულებით, თანდათან ლაპარაკითაც თითქმის აღარ ვლაპარაკობდით ამ უმნიშვნელოვანეს სატკივარზე. არადა, ყოველი დღე, როცა ამ თემაზე საქართველოს მხრიდან თუნდაც სიტყვიერი განცხადება არ გაკეთდება, სულ უფრო და უფრო დაგვაშორებს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების პერსპექტივას.

უაღრესად პოზიტიურია ქართული არმიის მიმართ დამოკიდებულების რადიკალურად შეცვლა, მისი მნიშვნელობის ასე გამოკვეთა და წინა პლანზე წამოწევა, ისევე როგორც პოლიციაში მიმდინარე ცვლილებები, ამ უწყების გათანამედროვების და მისთვის ცივილური იერის მიცემის თვალსაზრისით.

ცხადია, არის ნეგატიური, შემაშფოთებელი მომენტებიც, რაზეც ამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად და ხმამაღლა საუბრობენ. თუმცა, ბევრი ასეთი ტენდენცია მაინცდამაინც მოულოდნელად არ შეიძლება ჩაითვალოს ზოგადად პოსტრევოლუციური ეპოქისათვის.

როცა ახალ ხელისუფლებას რამოდენიმე მიმართულებით ერთდროულად უწევს რადიკალური ცვლილებების განხორციელება, ბალანსის დაცვა ძალიან ძნელი ხდება და "გადახრების" არსებობაც მოსალოდნელია ხოლმე.

ძნელია, ერთდროულად კორუფციასაც ებრძოლო, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაც სცადო და სოციალური მდგომარეობაც გააუმჯობესო. ძნელი კი არა, პრაქტიკულად შეუძლებელია და მსგავსი მიზნის დასახვა არც ღირს. ცხადია, აუცილებელია



ხელისუფლებამ უმთავრეს პრიორიტეტად და საზრუნავად უნდა დასახოს ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიის განსაზღვრა და მისი რეალიზაცია.

ეკონომიკური სტრატეგია არა ვინმე უცხოს, არამედ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ინტერესების კარნახით უნდა შემუშავდეს. ამ შემთხვევაში, ძალიან სწრაფად მოხერხდება დაკარგული დროის ანაზღაურება და საქართველოც ძალიან სწრაფად მყარად დადგება ფეხზე.

რაც მთავარია, უნდა გვახსოვდეს, რომ სახელმწიფოს ჭეშმარიტი პოლიტიკური დამოუკიდებლობა მის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას ემყარება.

პრიორიტეტის გამოკვეთა და დროში გათვლილი ნაბიჯების თანმიმდევრულად გადადგმა.

ამომრჩევლის ნდობას და მაღალ რეიტინგს, დადებით მხარეებთან ერთად, საფრთხეც ბევრი ახლავს. ამ ნდობის და რეიტინგის დაკარგვის შიშმა ხელისუფლებას შეიძლება ნაჩქარევი ქმედებებისკენ უბიძგოს. ამ ეტაპზე, ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით მოვლენების ფორსირებას, იქნებ სჯობდეს ყველაზე მწვავედ, ჯერ უმთავრესი, ეკონომიკური პრობლემები დადგეს დღის წესრიგში. მით უმეტეს, რომ ქვეყნის წინაშე არსებული ძალიან ბევრი საკითხის მოგვარების გზა, სწორედ ეკონიმიკის გაძლიერებაზე გადის. მარტივად თუ ვიტყვით, ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანება მუდმივად კითხვის ნიშნის ქვეშ იდგება, თუკი საქართველოს მრეწველობა და სოფლის მეურნეობა არ აღორძინდა, თუკი აფხაზებისა და ოსებისათვის განვითარებულ და წარმატებულ ქართულ ეკონომიკაზე ორიენტირება ბუნებრივად უფრო მიმზიდველი და მომგებიანი არ გახდა.

ისიც ძნელი წარმოსადგენია, როგორ გადაწყდება ხელფასებისა და პენსიების პრობლემა ეკონომიკის გაჯანსაღების გარეშე. ყველასათვის კარგად ცნობილი ქმედებების შედეგად ამოღებული თუ სხვადასხვა ობიექტების გაყიდვით შემოსული თანხები, არ შეიძლება, ბიუჯეტის შევსების მუდმივი და სტაბილური წყარო იყოს, არადა, სხვა რაიმე ნოვაცია ეკონომიკის რადიკალურად გაჯანსაღების მიმართულებით, ჯერჯერობით, არ შეინიშნება.

ვამბობთ, ლარი გამყარდაო, არადა ფასები ყველა სახის პროდუქტზე და მომსახურებაზე საგრძნობლად მატულობს, დაპირებული სამუშაო ადგილების ნაცვლად იზრდება უმუშევრობაც.

რეალური ეკონომიკური რეფორმების გარეშე ვერ გატარდება ვერც სამხედრო, ვერც განათლების და, საერთოდ, ვერანაირი ეფექტიანი რეფორმა. ბოლოს და ბოლოს, ვერ გაძლიერდება ვერც დემოკრატიული ინსტიტუტები, რადგან ფაქტია, რომ ძლიერი დემოკრატია მხოლოდ მდიდარი და წელგამართული სახელმწიფოების ფუფუნებაა.

ბიზნესმენისგან მტრის ხატი კი არ უნდა შეიქმნას, ხმამაღლა უნდა ითქვას, რომ სწორედ მეწარმეების , თავისუფალი ფერმერების, ბიზნესმენების ფენაა ის ფენა , რომლის სიძლიერეზეცაა დამოკიდებული ქვეყნის რეალური სიძლიერე და კეთილდღეობა.

ჩვენ ღარიბი კი არა, არასწორი მართვისა და შიდა თუ გარე მტერ-მოყვარის ვერაგული პოლიტიკის შედეგად გაძარცვული და გაღატაკების პირას ხელოვნურად მიყვანილი ქვეყანა ვართ.

სახელმწიფო ძლიერ ეკონომიკურ ხერხემალს უნდა დაეფუძნოს და ამგვარი ხედვა ნამდვილად იგრძნობოდა პრეზიდენტ სააკაშვილის საპროგრამო განცხადებებში. ნოემბრის მოვლენების შემდეგ თითქმის ერთი წელი გავიდა. როგორია რეალური ვითარება?

პირდაპირ უდა ითქვას, თუკი საჯარო განცხადებებს და სურვილებს არ ჩავთვლით, ადგილობრივი მრეწველობისა თუ სოფლის მეურნეობის მიმართ სახელმწიფოებრივი მიდგომა, ბევრით არაფრით შეცვლილა. რაც მთავარია, არ შეცვლილა ის მანკიერი პრაქტიკა, როცა დამოუკიდებელი სახელმწიფო საკუთარ ეკონომიკურ პოლიტიკას და სტრატეგიას, სხვათა კარნახით და მითითებით აყალიბებს.

ხელისუფლების მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის გადახედვის სურვილი და ახალ საგადასახადო კოდექსზე მუშაობის დაწყება, უდავოდ მისასალმებელი ნაბიჯი იყო. კოდექსის ლიბერალიზაცია მართლაც აქილევსის ქუსლად იქცა წლების მანძილზე , დღემდე არსებულმა საგადასახადო პოლიტიკამ უდიდესი ზიანი მიაყენა არა მარტო ქართულ ეკონომიკას, არამედ ძალიან ბევრი სახელმწიფო მასშტაბის მანკიერების და უბედურების მიზეზიც გახდა.

კოდექსის ახალ პროექტში, ერთი შეხედვით, თითქოს მდგომარეობის გამოსწორების სურვილი ჩანს, გადასახადების რაოდენობაც მცირდება და თითქოს დარჩენილი გადასახადების განაკვეთებიც. თუმცა, როგორც სპეციალისტების და ექსპერტების გათვლებმა აჩვენა, საბოლოო ჯამში საგადასახადო ტვირთი არათუ მსუბუქდება, არამედ მნიშვნელოვნად მძიმდება კიდეც.

მაგრამ, ვიდრე ამ კოდექსის წმინდა ეკონომიკურ მხარეებზე ვიტყოდე რამეს, აუცილებლად უნდა შევეხო მის, ასე ვთქვათ, ფსიქოლოგიურ სარჩულს.

ახალ კოდექსში, ისევე როგორც აქამდე არსებულში, მეწარმე კვლავ წინდაწინვე დამნაშავედ, ხალხის ხარჯზე გამდიდრების მოსურნე პარაზიტად, "ანტისახელმწიფოებრივ" ელემენტად მოიაზრება. მტკიცებულების ტვირთი მთლიანად მას ეკისრება, სახელმწიფომ კი არ უნდა დაუმტკიცოს დარღვევა თუ დანაშაული, პირიქით, მან მუდმივად თავად უნდა ამტკიცოს საკუთარი უდანაშაულობა. ამავე დროს, საგადასახადო სამსახურს შეუძლია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დააყადაღოს ნებისმიერი წარმოება, მოკლედ ,საზოგადოების თვალში მეწარმეს თავიდანვე ექმნება დამნაშავის იმიჯი.

ალბათ, მსგავსი დამოკიდებულების და ტენდენციის გამოძახილი იყო ის ფაქტიც, როცა მთავრობამ , რომლის ხელფასებით უზრუნველყოფა სოროსის ფონდის მიერ ხდება, კატეგორიულად უარყო ქართველი ბიზნესმენების ინიციატივა, იგივე ოდენობით მათ გადაეხადათ ხელისუფლების უმაღლესი პირებისათვის ხელფასი საკუთარი ფონდიდან.

ამის მიუხედავად, ჩვენ, კონკრეტულად კომპანია "ყაზბეგი", რომელსაც არ სჭირდება და სანაცვლოდ არც თხოულობს არავითარ შეღავათებს სახელმწიფოსაგან, კვლავ ვახმოვანებთ ამ წინადადებას-თუ გაზრდილი ბიუჯეტისთვისაც მძიმე ტვირთი იქნება მთავრობის წევრების შრომის ანაზღაურება, მზად ვართ, საკუთარ თავზე ავიღოთ ხელისუფლების უმაღლესი პირების ხელფასით უზრუნველყოფის საკითხი და გვინდა, არგუმენტირებული პასუხი მოვისმინოთ მთავრობის მხრიდან ამგვარ შეთავაზებაზე.

ის პასუხი, თითქოს ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება ამა თუ იმ ადგილობრივი მეწარმის ან კომპანიის მძევლად, მისი ინტერესების ლობისტად გადაიქცევა, მთავრობის პრინციპულობის შემთხვევაში ნამდვილად ვერ იქნება დამაჯერებელი. და ვთქვათ, ასეთი პერსპექტივა მართლაც რომ არსებობდეს, ვითომ ეს უფრო დიდი სირცხვილი და უბედურებაა, ვიდრე ხელფასის ოფიციალურად უცხოელი ბიზნესმენისაგან მიღება? ხომ ფაქტია, მსგავსი პრეცედენტი მსოფლიოში არ არსებობს, თვით აფრიკის ყველაზე დაბალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი.

თუნდაც საერთოდ არ შევეხოთ ღირსებისა და თავმოყვარეობის საკითხს, რაც თავისთავად უაღრესად მნიშვნელოვანია, რატომ ცდილობს ხელისუფლება შეგვაგუოს იმ აზრს, რომ ვიღაც, საეჭვო და საკამათო რეპუტაციის მქონე უცხოელ ბიზნესმენზე ფინანსური დამოკიდებულება რაიმე სიკეთეს მოუტანს ქვეყანას. ჩვენ ხომ არ ვიცით, რა შორს მიმავალი გეგმები შეიძლება ჰქონდეს მას საქართველოსთან მიმართებაში და მთლად ანგელოზიც რომ იყოს, რატომ გვგონია, რომ, ქართველ მეწარმეებზე, თუნდაც "ყაზბეგელებზე" მეტად გაიგებს და გაითავისებს ჩვენი ქვეყნის პრობლემებს და უფრო ახლოს მიიტანს გულთან ჩვენს სატკივარს?

დარწმუნებული ვარ, ძველი და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებსაც კარგად ახსოვთ ცნობილი გამონათქვამი, ის რაც კარგია "ჯენერალ მოტორსისათვის", კარგია ამერიკისათვის. თეორიულად, ალბათ, მოსწონთ და ეთანხმებიან კიდეც ამ ფრთიან ფრაზას, მაგრამ, რატომღაც, პრაქტიკულ საქმიანობაში აბსოლუტურად არ იზიარებენ ამ პრინციპის ჭეშმარიტებას.

დავუბრუნდეთ ისევ ახალ საგადასახადო კოდექსს, რომლის ირგვლივაც დიდი ვნებათღელვაა. კოდექსის ავტორები (საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მისი მორჩილი საქართველოს ფინანსთა სამინისტრო), გულმოდგინედ ცდილობენ, საზოგადოებას თავს მოახვიონ აზრი, თითქოს შემოთავაზებული დოკუმენტი უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯია და მსგავსი ლიბერალური სისტემა ძნელად მოიძებნება ლამის მთელ პლანეტაზე.

სამწუხაროდ, მეც, ისევე როგორც საქართველოს საქმიანი წრეების ბევრ წარმომადგენელს, დიამეტრულად განსხვავებული აზრი მაქვს.

საგაზეთო პუბლიკაციაში ძნელია, დეტალურად გავაანალიზოთ შემოთავაზებული კოდექსი, მით უმეტეს, რომ მასში ძალიან ბევრი რამ არის მიუღებელი და ნეგატიური, რაც მალე იჩენს თავს და საბოლოოდ მოსპობს საქართველოში მრეწველობის განვითარების პერსპექტივებს.

გაგრძელება B7 გვერდზე



# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ნინო ბასილია
"თაგვი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ალექსანდრე ვამპილოვი
"მონადირე"
რეჟისორი: გ. შალუტაშვილი
ფასი 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"ლიფტში"
კითხულობს მალხაზ აბულაძე.
რეჟისორი: გიორგი სიხარულიძე
ფასი: 3 ლარი
დას: 18:00 სთ.

**აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლი**
ახალგაზრდების შემოქმედება
გვანცა დადიანიძე, ირაკლი გოგოლაძე
ჯუნჯი კინოსიტა
"წეროს ფრთები"
რეჟისორი: რამაზ იოსელიანი
(გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახლმწიფო თეატრი)
დას: 16:00 სთ.

**ტრაგიკომედიის თეატრი**
"VENCEREMOS ანუ ჩვენ გავიმარჯვებთ"
რეჟისორი: ვახტანგ ანდიაშვილი
ფასი: 5 ლარი
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"ქალი კატა"
დას: 19:30; 22:00 სთ.

"ფარენჰეიტი 911"
დას: 14:00; 16:30 სთ.

**რუსთაველი**
"მეფე არტური"
დას 14:30; 17:00; 19:30 სთ.

"ევროტური"
დას: 12:00; 22:00 სთ.

## გამოფენები

**ძველი გალერეა**
დავით მელიქიშვილის ნამუშევრების გამოფენა
გახსნა 18 საათზე

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
"ძველი თბილისი სახვით ხელოვნებაში"

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
თბილისური შემოდგომა
(ფერწერა)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"უძველესი საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე"
გამოფენა-გაყიდვა

**TMS**
ფოტოგამოფენა "ჩინეთი 55"

**"ქარვასლა"**
"რისკიანი მოგზაურობა - ქართველი მიგრანტები ნიდერლანდებში"
ფოტოგამოფენა

**ვერნისაჟი**
ვატი დავითაშვილის ნამუშევრების გამოფენა
გახსნა: 17:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# სანიმუშო რეაბილიტაცია

ვერა ნეფარიძე







გოგიტა ბუხაიძის ფოტოები

*"დამიანეს ფერწერა, ეგზომ რომ გვაოცებს თავისი ძარღვიანი შემოქმედებით, ტემპერამენტით, ხატვის თავისებური მანერით, - ქართული მონუმენტური ფერწერის ტრადიციებზეა შექმნილი და განვითარებული, ქართულ ნიადაგში აქვს გადგმული ფესვი და არა კონსტანტინოპოლურ ხელოვნებაში. უბისის მოხატულობის მხატვრულ-ისტორიული ანალიზი და მისი შესრულების ტექნიკა იმაზე მიგვითითებს, რომ ეს ძეგლი XIII-XIV საუკუნეების ადგილობრივი მხატვრული ტრადიციების ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპს წარმოადგენს. დამიანეს შემოქმედება ქართული ხელოვნების ნიადაგზე აღმოცენდა და ეროვნული კოლორიტით, ეროვნული იკონოგრაფიული გააზრებით ხასიათდება", - შალვა ამირანაშვილი.*

*"მთელი კედელი აქამდე, დამალული იყო მიწით", - ხელით აჩვენებს სარეაბილიტაციო სამუშაოების ხელმძღვანელი მიხეილ გელაშვილი თბილისელ სტუმრებს და მიუთითებს კედელზე, რომელსაც ჯერ კიდევ კარგა ხანს შერჩება სისველე. "ყოველი წვიმის შემდეგ, ნახევარი ტაძარი სველდებოდა", - საუბარში ერთვება მონასტრის ერთ-ერთი მორჩილი. "თითქოს, ჩვენს მუშაობას გამოცდა მოუწყოო, ახლახანს დიდი წვიმები იყო, მაგრამ მთელმა წყალმა მიწის ქვეშ გაიარა, ტაძარში არ შესულა", - უბისის სამონასტრო კომპლექსში მიმდინარე სამუშაოების კიდევ ერთი მონაწილე გაწეული შრომის სასიკეთო შედეგს ჰყვება. ამ ყველაფერს მასპინძლები ნიკოლოზ ვაჩეიშვილს უამბობენ. ტაძრის სახელგანთქმული ფრესკების გადასარჩენად კომპლექსური სარეაბილიტაციო პროგრამის პასუხისმგებელი - კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე მუშაობის საწყისი ეტაპით აშკარად კმაყოფილია.*

მდინარე ძირულას ხეობაში გუშინდელი ვოიაჟის შემდეგ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ უბისის ფრესკების დაღუპვის პროცესი შეჩერებულია. უკანასკნელი წლების განმავლობაში ფრესკებზე მომატებული ტენიანობისა და ფერის დეფორმაციის მიზეზი ნესტი და არარეგულირებადი წყლის მოძრაობა იყო. ამიტომ, ფრესკების გადასარჩენად დაწყებული კომპლექსური პროექტის პირველი ნაწილი არქიტექტურულ და გეოლოგიურ კვლევას ითვალისწინებდა. პროექტის ორგანიზატორი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროა, რომელმაც ძირფესვიანი სამუშაოების "საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის" (იგივე, "ქართუ-ჯგუფი") წყალობით გარიკა. პირველ ეტაპზე ქართულმა მხარემ კონსულტაციები გამართა იტალიელ პარტნიორებთან. იტალიელმა კულტურული მემკვიდრეობის კლიმატოლოგებმა ქართველ არქიტექტორ-რესტავრატორებს მნიშვნელოვანი რეკომენდაციები გაუწიეს, რის გარეშეც, ალბათ უბისის სამონასტრო კომპლექსში ამგვარი წარმატებული (პირველი ეტაპის შედეგებით მაინც) კომპლექსური სამუშაოები წარმოუდგენელი იქნებოდა.

პირველი ეტაპზე ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის ცენტრმა იმუშავა. "მე რაც მახსოვს, ბოლოს აქ რესტავრაცია თხუთმეტიოდე წლის წინათ გაკეთდა", - გვეუბნება ცენტრის ერთ-ერთი წარმომადგენელი. მაშინ ეკლესია სპილენძით გადაუხურავთ, მაგრამ დღეს სახურავი სერიოზული პრობლემაა. სპილენძი წუნიანი გამოდგა და დამსკდარიაო, - გვიხსნიან რესტავრატორები. გადაჭრილია ის უმთავრესი პრობლემაც, რაც წლების განმავლობაში ტაძრის არაჩვეულებრივ მოხატულობას საფრთხეს უქმნიდა. მართალია, უბისას მონასტერში სხვა დროსაც დაუმონტაჟებიათ დრენაჟები, მაგრამ, როგორც ჩანს, მათი ქმედუნარიანობა ხანმოკლე აღმოჩნდა. ამჟამად ტაძრის სიმშრალის გარანტია არსებობს. გალავნის გარეთაც კი გაკეთებულია წყალგამყვანი არხი; ეზოში დამონტაჟებული დრენაჟები კი ისეთი საიმედოა, რომ ამ მხრივ კომპლექსს არანაირი საფრთხე არ ემუქრება.

ამ სამუშაოების დროს ერთი მნიშვნელოვანი "აღმოჩენაც" მოხდა: ეკლესიის მინაშენის (რომელიც მეთექვსმეტე საუკუნისაა) კედელი მთელ პარამეტრზე, დაახლოებით 40-45 სმ. მიწაში იყო დამალული. ფაქტობრივად, ამ სამუშაოების დროს ნაგებობა თავისი სრული სახით წლების შემდეგ პირველად გამოჩნდა. ამჟამად, რესტავრატორები მუშაობენ ეკლესიის ფრესკასა და პერანგს შორის არსებული გამომშრალი სივრცის შევსებაზე. ამ ეტაპზე პირველადი სამუშაოები შესრულებულია, შედეგად - შეჩერებულია ფრესკების დაღუპვის პროცესი. ზამთარში სპეციალისტები ფრესკების დიაგნოსტიკაზე იმუშავებენ, რომ გაზაფხულიდან დაზიანებულ კედლის მხატვრობას "უმკურნალონ". ასეთი იქნება თითქმის ერთწლიანი სამუშაო გეგმის სამი ეტაპი, რომელსაც დაასრულებს ეზოს კეთილმოწყობის პროექტი.

მდინარე ძირულას ხეობაში, სოფელ უბისას მისადგომთან განლაგებული სამონასტრო კომპლექსი დარბაზულ ეკლესიას, კოშკს, თაღოვან კარიბჭესა და სამრეკლოს აერთიანებს. გრიგოლ ხანძთელის დაარსებული მონასტერი უკანასკნელად 2001 წელს, მეუფე დანიელის კურთხევით განახლდა. დღეს აქ ხუთნი ცხოვრობენ. მათ შორის ერთ-ერთი ოთხსართულიან საცხოვრებელ კოშკში, ე.წ. "სვეტში". სვეტი აგებულია მეფე დემეტრე პირველის დროს 1141 წელს სვიმონ ჭყონდიდელის მიერ: "მე საწყალობელსა სულითა სიმონ ჭყონდიდელსა მომემადლა ღვთისგან აღშენებად მონასტერი ესე და სუეტიცა ესე მეფობასა ღვთისა მიერ გვირგვინოსნისა მეფეთა მეფისა ძისა დიდისა მეფისა დავითისა ქორონიკონი იყო 361 ზედა წელი სარკინოზთა 535", - გვაუწყებს კოშკზე შემორჩენილი წარწერა. კოშკის მეოთხე სართული ამჟამად მთლიანად დანგრეულია. ტაძრის უძველესი და ძირითადი ნაწილი ერთნავიანი, ერთფასადიანი დარბაზული ტიპის ეკლესიაა. უბისის ეკლესიაში თაღისა და კედლების უმეტესი ნაწილი ფერწერას უკავია. სწორედ მე-16 საუკუნის მხატვარ დამიანეს შესრულებული ეს ფერწერაა განძი, რაც უბისის წმინდა გიორგის ეკლესიას, არა მარტო ჩვენთვის, დიდ მნიშვნელობას სძენს.

მხატვარ დამიანეს შემოქმედებას XIV განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საუკუნის პირველი ნახევრის ქართული სახვითი ხელოვნების მონუმენტური ფერწერის განვითარების ისტორიაში. მისი ხელოვნება მთლიანად დაფუძნებულია ძველი საქართველოს ხელოვნების ეროვნულ ტრადიციებზე, მაგრამ, ამავე დროს, ის პალეოლოგთა ეპოქის ბიზანტიის, სლავური ქვეყნების, განსაკუთრებით: სერბიის, მაკედონიისა და რუსეთის ხელოვნებასთან არის დაკავშირებული. "ამ ეპოქისთვის დამახასიათებელია რელიგიური ასკეტიზმის შერბილება, მეტად თავისუფალი და დინამიკური კომპოზიციები. წმინდანთა სახეების გადაწყვეტაში იკონოგრაფიული კანონი ადგილს უთმობს უფრო ცხოვრებისეულ მანერას. ქართული მონუმენტური ფერწერის ახალი სტილის ფორმირების პროცესი ყველაზე ნათლად ქართველი მხატვრის დამიანეს მიერ შესრულებულ უბისის კედლის მოხატულობაში გამოვლინდა. უბისის მოხატულობა გამორჩეულია კონსტანტინოპოლის სამხატვრო სკოლის ხელწერისგან. უბისის მოხატულობა ადგილობრივ, ეროვნულ მხატვრულ ტრადიციებს მიჰყვება. ამ ტრადიციების ჩამოყალიბება საქართველოს ტერიტორიაზე მეცხრე საუკუნიდან დაიწყო და XIII-XIV საუკუნეების ქართულ ფერწერასაც შემორჩა", - უბისის ტაძრის მხატვრობის შესახებ გვიამბობს შალვა ამირანაშვილი. დღეს ეს ფრესკები დაღუპვას გადაურჩნენ. თუმცა, სამწუხაროდ, ყველაფერი წინ გვაქვს. საქართველოში არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი მისახედია.

# მ ა ლ ე !

დავით კოკოჩაშვილი

მე აღარ დავიწყებ ახსნა-განმარტებას, რაც ამ სათაურის დაწერის შემდეგ პირველად მომივიდა თავში - გამეკეთებინა შესავალი იმის შესახებ, რომ სიტყვა **მალე** ჩვენთვის, და არა მხოლოდ ჩვენთვის, მოახლოვებულ პრემიერასთან ასოცირდება. ამ შემთხვევაშიც, რაც "რუსთაველის" კინოთეატრზე გამოკრულ აფიშას ეხება, პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ სულ ცოტა ხანში ახალი ფილმი გამოვა, რომელსაც მას შემდეგ რაც **"მალეს"** დავინახავთ განსაკუთრებით უნდა ველოდოთ. თუმცა, **"მალე"** იმდენად არ ჭრის, რამდენადაც ვარსკვლავების ე.წ. ნაკრები. მ. ნაით შეიმალანის ფილმში, რომელიც მალე რუსთაველის კინოში გამოვა, ედრიან ბროუდი, ხოაკინ ფენიკსი, ჯუდი გრიგი, უილიამ ჰერტი და სხვა. ფილმი, რომელსაც ასეტ კატეგორიებად ყოფენ: დრამა, რომანტიკული დრამა, სამეცნიერო ფანტასტიკა, თრილერი და, რაც მთავრია, მხატვრული. ამ მრავალჟანრიან ფილმზე მოგვიანებით.

**მალე** "რუსთაველის" კინოთეატრი აპირებს, რუსეთიდან ჩამოტანილი ახალი ფილმი ჯერ კინოკრიტიკოსებს და ჟურნალისტებს წარუდგინოს და შემდეგ მაყურებელს. კინომცოდნეები კი ჩვენების შემდეგ, ჟურნალისტების თანდასწრებით ფილმის განხილვას მოაწყობენ და საკუთარ პოზიციას დააფიქსირებენ მოახლოებული კინოსეანსის შესახებ. ასეთი ღონისძიებები ერთმნიშვნელოვნად მისასალმებელია და ერთმნიშვნელოვნად მომგებიანი კინოთეატრისათვის, ვინაიდან, რამდენად უარყოფითიც არ უნდა იყოს რეზონანსი წარმოდგენილი ნაწარმოების მიმართ, ეს მაინც ფილმის რეკლამაში შედის. და ჩემ შემთხვევაში, არა იმდენად ფილმის, რამდენადაც კინოთეატრის. ეს საქართველოსთვის ახალი მოგონება და დასავლეთში უკვე აპრობირებული ხერხი, ვფიქრობ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ოდნავ შეთხელებული აუდიტორიის უკან მობრუნების მიზნით არის გამოწვეული. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ეს კონკურენტუნარიანი გარემოა და ყოველი ასეთი ახალი წამოწყება (თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მხოლოდ ორი კინოთეატრი უწევს ერთამენთს კონკურენციას) ორმაგად მომგებიანია, როგორც დამქირავებლის, ასევე, მომხმარებლისათვის. მაგრამ, საქმე იმაში გახლავთ, რომ არავინ იცის, რამდენად გაამართლებს ეს ახალი ქართული წამოწყება. ვინაიდან ქართველ კრიტიკოსებს არ აინტერესებთ ის ფილმები, რომელიც ქართულ კინოთეატრში არის ხოლმე ძირითადად წარმოდგენილი, ასევე დისკუსიებისა და საჯარო განხილვების კულტურა, გარდა პოლიტიკისა, სხვა სფეროში თითქმის არ არსებობს. ერთი სიტყვით, ეს ე.წ. სამომავლო გეგმებია, რომელიც არავინ იცის, რამდენად პერსპექტიულია. გუშინდელ დღეს არც დისკუსიის სურვილი გაუჩნდა ვინმეს და არც ამ დისკუსიის მოსმენის.

ახლა კი ფილმი, რომელიც **მალე** გამოვა ეკრანებზე (ეკრანებზე - ასე ამბობენ სხვა ქვეყნებში, ჩვენთან კი, ასე ვთქვათ, გამოვა, ვინაიდან მხოლოდ ერთ ეკრანზე ვნახავთ მას). ინგლისურად მას ასეთი სათაური აქვს The Village; ჩვენთან და რუსეთში კი თარგმნეს როგორც "საიდუმლო ტყე". ფილმი რუსეთიდან ჩამოგვაქვს და სათაურს ორიგინალს ხომ არ შევუფარდებთ. თუმცა, არსებითი განსხვავება არ არის, ეს ერთი სოფლის ისტორიაა, რომელსაც ერთი დიდი ტყე ქალაქს აშორებს. სოფელში მაცხოვრებლები რაღაც (ეს არ არის ფილმში დაკონკრეტებული) სექტის წარმომადგენლები არიან, მათ თავად გამოიგონეს "საშიშროება", რომელიც მათ სოფლის დატოვების უფლებას არ აძლევს. შეკრული წრე, რომელიც თავს იცავს გარე სამყაროსგან, გარე სამყარო, რომელიც სავსეა სიკვდილით, ძალადობით და ყველა მიწიერი ცოდვებით. მიკროსამყარო, რომელიც არც ისე მრავალრიცხოვანია, შიშში, ასე ვთქვათ, გამოგონილი და ირეალური "ზუას" მოლოდინში, შემოფარგლულ ტერიტორიაზე არსებობას ამჯობინებს, ვიდრე რეალური და ცხოვრებისეული პრობლემების პირისპირ. მაგრამ ქალაქი, რომელიც გარდა ძალადობისა, ცივილიზაციასაც გულისხმობს, ადამიანის, როგორც მკვლელობა, ასევე მისი გადარჩენა, გაცოცხლება შეუძლია. ამიტომ სოფლის ერთი გმირი, მომაკვდავი შეყვარებულისათვის წამლის მოსატანად ქალაქში გარბის და უკან ბრუნდება. ფინალი ასეთია, წრე მაინც არ ირღვევა, ადამიანები გამოგონილ საშიშროებას, რომელიც მეტაფორულად ქალაქს გულისხმობს, მაინც ვერ ელევიან და ისევ იზოლაციაში ცხოვრებას ამჯობინებენ.



დამერწმუნეთ, ყველაფერი ეს მოსათხრობად უფრო საინტერესოა, ვიდრე სანახავად. ამერიკული და უფრო კონკრეტულად, ჰოლივუდის კომპლექსი, რომელმაც თანამედროვე ამერიკული კინო უკვე დაიპყრო, ჩემთვის, როგორც რიგითი მაყურებლისათვის, უკვე აუტანელია. მგონი, ისევ იმ ტკბილი, ტორტივით მორთულ-მოკაზმული მელოდრამების, კლასიკური "ბოევიკებისა" თუ "თრილერების" ყურება ჯობდა, ვიდრე პრეტენზიულ - "სიღრმისეული", სწორხაზოვანი და პრიმიტიული კინონაწარმოებების.

და მიუხედავად ამისა, კრიტიკოსთა ერთ ნაწილს, რომელმაც სჯა-ბაასი თუ დისკუსია ფილმზე არ გამართა, ეს ფილმი მოეწონა და ამიტომ მაყურებელმა, რომელსაც ამ ახალი პროდუქციის ინტერესი აქვს, რომლის ბიუჯეტიც 60 მილიონი ამერიკული დოლარია, მაინც უნდა ნახოს. ნახავს და სოფელიც აშენდება, ამიტომ **მალე** "რუსთაველის" კინოც იხეირებს, რომელსაც მაყურებელი საგრძნობლად შემოაკლდა.

# მთავარი სიმდიდრე

დათო ტურაშვილი

ჩვენი სუბიექტური აზრით, უმთავრესი მოვლენა ჩვენი ქვეყნის არა მხოლოდ წლევანდელი, არამედ უკანასკნელი წლების კულტურულ ცხოვრებაში ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმი იყო, რომელიც წელს მეორედ ჩატარდა საქართველოში და ისეთი ინტერესი გამოიწვია მსოფლიოს ყველაზე ცნობილ ეთნომუსიკოლოგებს შორის, რომელსაც ქართველ ფოლკლორისტთა წინა თაობები ვერც კი წარმოიდგენდნენ. ადამიანები, ვინც ათეული წლების მანძილზე უანგაროდ, სოფელ-სოფელ აგროვებდნენ ქართული ხალხური მუსიკის უძველეს ნიმუშებს როგორც ჩვენი სულიერების უმთავრეს საგანძურს, ვერც კი იოცნებებდნენ, რომ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ქართული მუსიკალური ფენომენის მეცნიერული კვლევით მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების საუკეთესო პროფესორები დაინტერესდებოდნენ. მათთვის მართლაც ძნელი დასაჯერებელი იქნებოდა ის, რაც სექტემბრის ბოლოს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ხდებოდა სიმპოზიუმის დღეებში და ლექციებზე, სემინარებსა და კონცერტებზე, გაოგნებულსა და სიხარულისაგან ცრემლმორეულს, პირადად სწორედ ისინი, ზოგჯერ ჩემთვის უსახელო ქართველი ფანატიკოსები მახსენდებოდნენ, ვინც მთელი სიცოცხლე ამ საგანძურის შენარჩუნებას შესწირა.



"გორანის" წევრები კანადიდან ქართულად მღერიან.

უკვე მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ჩვენი უმთავრესი სიამაყის სადიდებლად იგორ სტრავინსკიმაც შეგვაწია თავისი კომპეტენტური სიტყვა და აზრი, დანარჩენმა კაცობრიობამ ზედაპირულად მაინც იცოდა ქართული პოლიფონიის არსებობის შესახებ. მისი უნიკალურობის, თვითმყოფადობისა და გამორჩეულობის პოპულარიზაციას, სტრავინსკის გარდა, ქართული კულტურის კიდევ მრავალი უცხოელი შემფასებლის დრო და ენერგია დასჭირდა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ამ თვალსაზრისით მაინც იმ ადამიანთა შრომა და ღვაწლია, ვისი ფოტოებიც სიმპოზიუმის დღეებში გახსნილ გალობის მუზეუმში ვნახეთ. ერთი საუკუნის წინ გადაღებულ ფოტოებზე ცნობილ ლოტბარებთან ერთად ის შემსრულებლებიც არიან აღბეჭდილნი, ვისი სახელებიც სრულიად უცნობია ჩვენი საზოგადოებისათვის, მაგრამ ჩვენმა საზოგადოებამ ძალიან კარგად უწყის იმ გურულების შესახებ, ვინც იმავე ეპოქაში მოღვაწეობდა, ოღონდ სრულიად სხვა სფეროში - ერთი საუკუნის წინ გურია იმდენად პოლიტიზირებული იყო, რომ სიმღერისთვის არავის ეცალა. ამიტომაც უფრო დასაფასებელია იმ ჭკვიანი გურულების არჩევანი, ვინც "კრიმანჭულის" გადარჩენას შეეცადა შთამომავლობისთვის და მიხვდა, რომ თუნდაც ყველაზე მომხიბვლელი პოლიტიკური მოძღვრებით ტვინის დანაგვიანებას, აშკარად სჯობდა იმ საგანძურზე ზრუნვა, რომელიც ერთადერთია და განუმეორებელი. ერთი საუკუნის წინ, ერთი სოფლიდან მეორე სოფლისკენ "კრიმანჭულის" შესაგროვებლად მიმავალ ყველაზე ჭკვიან გურულებს, ვინ იცის, რამდენჯერ შეხვდნენ გაკვირვებული გურული ფირალები ჩახმახშეყენებული ფიშტოებით და ვინ იცის, რამდენჯერ გაღიმათ იმ სახელოვან ფირალებს იმ არეულ გურიაში იმ უცნაური ხალხის თავგანწირულ ახირებაზე...

საბედნიეროდ, ხალხური სიმღერის გადასარჩენად უცნაურად ახირებული ადამიანები არა მხოლოდ გურიაში და მთელ საქართველოში ცხოვრობდნენ, ყველაზე არაშესაფერის დროსაც კი, ყოველთვის მოიძებნებოდა თუნდაც ერთი თავგანწირული მოხალისე, ვინც ზუსტად იცოდა მთავარი სიმდიდრის ფასი და ამ სიმდიდრის გადასარჩენად ისე იბრძოდა, როგორც ნამდვილი შეყვარებული. სიმპოზიუმის დღეებშიც ყველაზე მეტად იმ უსახელო, მაგრამ ქართულ სიმღერაზე უსაზღვროდ შეყვარებულ ადამიანებზე ვფიქრობდი, ვისაც ამ სიყვარულის სანაცვლოდ არასდროს არაფერი მოუთხოვიათ. უცნაურია, მაგრამ ჩვენმა საზოგადოებამ არაფერი იცის არც დღევანდელ ფოლკლორისტებსა და შემსრულებლებზე, ლოტბარებსა და მუსიკალურ ჯგუფებზე, რომლებიც ქართული პოლიფონიის უნიკალურ ნიმუშებსა და გასაოცარ მარგალიტებს მძივებად ასხმულს სთავაზობენ მსმენელს და ფართო საზოგადოებისთვის კი ვარსკვლავები მაინც არიან ჩვენი ესტრადის მაჯლაჯუნები, მეგავარსკვლავები კი - მეგამაჯლაჯუნები. გასაგებია, რომ ფასეულსა და ღირებულს ყველგან ნაკლები მსმენელი, მკითხველი და მაყურებელი ჰყავს, ვიდრე მასკულტურას, მაგრამ ესპანეთში ფლამენკოს შემსრულებელი ნამდვილი ვარსკვლავია, შოტლანდიაში ყველაზე დიდი დაფინანსება კელტური მუსიკის გადარჩენას ხმარდება, არგენტინაში ყველაზე კარგი ტიპი ის არის, ვინც ტანგოს ყველაზე კარგად ცეკვავს, იაპონიაში ყველაზე უზრუნველყოფილი ცხოვრება იმ ადამიანებს აქვთ, ვინც ტრადიციული, უძველესი იაპონური კულტურის შენარჩუნებას ცდილობს...

ძველი ქართული ანდაზაც კარგად მახსოვს, - თურაშაულის პატრონი ტყეში რომ პანტას ეძებს აგერ უკვე მერამდენე საუკუნეა, მაგრამ მაინც გულწრფელად მიკვირს: იმ ქვეყანაში, სადაც მუსიკალური თვალსაზრისით ასეთი, მართლაც სრულიად უნიკალური სიმდიდრე შეიქმნა, როგორ შეიძლება ამდენი თაყვანისმცემელი ჰყავდეს ამდენ უნიჭო, უსმენო და უგემოვნო მაჯლაჯუნას. ისიც კარგად მახსოვს, რომ გემოვნებაზე არ კამათობენ, მაგრამ უგემოვნობაზე დავა არათუ სასურველი, აუცილებელიც კი არის. მით უმეტეს, აუცილებელი და მნიშვნელოვანია მუსიკაზე კამათი, რადგან არაფერი ისე ადვილად და მასიურად არ წარმართავს საზოგადოებრივ ინტერესებსა და ფასეულობებს, როგორც მუსიკალური კულტურა. სწორედ მუსიკა არის მასიური ზემოქმედების ყველაზე მარტივი და იმავდროულად ყველაზე შთამბეჭდავი საშუალება და ზემოთქმულში დარწმუნება ძალიან ადვილია, თუ დავაკვირდებით შედეგს - ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი არჩევანს აკეთებს ჩვეულებრივი მატყუარების სასარგებლოდ, უსმენს მათ, ვინც საერთოდ არ მღერის და, უბრალოდ, პირს აღებს. როგორც ჩანს, აქ მხოლოდ უგემოვნობის პრობლემა არ დგას - ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილს ტყუილი ურჩევნია სიმართლეს და ასეთი ტენდენციები ლოგიკურად ჩნდება ხოლმე ისეთ საზოგადოებებსა და ქვეყნებში, სადაც არ უყვართ როკი. შეიძლება უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ ყველგან, მეოცე საუკუნეში, საზოგადოებრივი ევოლუცია განაპირობა როკმა, როგორც კულტურული მოძრაობის შემადგენელმა ნაწილმა და შეიძლება კიდევ უფრო უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ სადაც არსებობს როკის ფენომენი, სწორედ იქ არსებობს ყველაზე სერიოზული ინტერესი ფოკლორისა და კლასიკური მუსიკის მიმართ. ჩვენთან კი პირიქითაა - აფინანსებენ ყველაზე ჯოჯოხეთურ ესტრადას, რაც აბსურდია, რადგან კომერციული მუსიკის დოტაცია არსად არ არსებობს და ხელშეწყობა და ფინანსური დახმარება სწორედ ფოლკლორსა და კლასიკურ, არაკომერციულ მუსიკას სჭირდება.

განსაკუთრებული ზრუნვის ღირსი კი, რასაკვირველია, ჩვენი ხალხური მუსიკაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს დამსახურებულად, თამამად ვიამაყოთ იმით, რომ სამყაროს სულიერი საგანძური ისეთი გამორჩეული და განსხვავებული ფენომენით გავამდიდრეთ, როგორიც ქართული მრავალხმიანობაა. რა თქმა უნდა, სასურველია, მაგრამ არც ერთი კერძო პირი ან კომპანია მოვალე არ არის დააფინანსოს ფოლკლორი, თუმცა სახელმწიფო კი ნამდვილად მოვალეა, უზრუნველყოს ისეთი პროგრამების ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც ემსახურება ქართული სიმღერის კვლევას, შენარჩუნებასა და პროპაგანდას. მეტიც, სახელმწიფო მოვალეა, ზემოთქმულს განიხილავდეს არა როგორც ერთჯერად მხარდასაჭერ პროექტს, არამედ როგორც სახელმწიფო პროგრამას, რომელიც ყოველწლიურად დაფინანსდება სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში. სტრატეგიული თვალსაზრისით, ქართული ხალხური სიმღერის ფენომენი, ყველაზე მნიშვნელოვანი დივიდენდის მომტანია ჩვენი ქვეყნისთვის და თანაც არა მხოლოდ კულტურული და სულიერი თვალსაზრისით. ჩვენს ქვეყანას ახლა განსაკუთრებით სჭირდება მაქსიმალურად წარმატებული სახელმწიფოს იმიჯი და რამ უნდა გამოიწვიოს ისეთი აღტაცება და კეთილგანწყობა ჩვენი ქვეყნის მიმართ, თუ არა ქართულმა სიმღერამ, როგორც ყველაზე დახვეწილმა და სრულყოფილმა არამატერიალურმა ძეგლმა. ხელისუფლებამ ისევე უნდა შექმნას ყველა პირობა ამ ძეგლის სიცოცხლისუნარიანობისათვის, როგორც მაგალითისთვის ეგვიპტეში ზრუნავენ პირამიდებისათვის, ჩინეთში დიდი კედლისათვის თუ იტალიაში კოლიზეუმისათვის...

ჩვენი კულტურისა და სულიერების პირამიდა თუ მწვერვალი, ქართული მრავალხმიანი სიმღერაა და მისი შენარჩუნება და სახელმწიფო ბიუჯეტში ამ მიზნით ფინანსების გათვალისწინება, ჩვენი აზრით, კამათსაც არ უნდა იწვევდეს საქართველოს პარლამენტში. ჩვენი საზოგადოებისთვის ზემოთქმული არ უნდა იყოს საკამათო და ამაზე ის ინტერესიც მეტყველებს, რომელიც ჩვენმა საზოგადოებამ გამოიჩინა ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმისადმი. ასეთი მნიშვნელობის ფორუმი ქართული ხალხური სიმღერის ფენომენთან დაკავშირებით, უკვე მეორედ გაიმართა თბილისში და განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდების დაინტერესება ამ მოვლენით, რისი დასტურიც სიმპოზიუმის დღეებში კონსერვატორიის გადაჭედილი დარბაზები და აუდიტორიები გახლდათ. წლევანდელი სამეცნიერო ფორუმი იმდენად წარმომადგენლობითი იყო, რომ მისი მასპინძლობა არა მხოლოდ სიმპოზიუმის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს, ნებისმიერ ქართველ მსმენელსაც სრულიად სამართლიანად ეამაყებოდა. სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნასაც რომ სიმპოზიუმის დღეებში ქართულთან ერთად კონცერტებზე ჟღერდა როგორც ოსური და აფხაზური, ასევე ქისტური თუ ლაზური სიმღერები, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენაა, ისევე როგორც მრავალფეროვნება. თემატური თვალსაზრისით და მუსიკალური პოლიფონიის ფენომენით დაინტერესებულ ადამიანებს შეეძლოთ, მოესმინათ ლექციები და მოხსენებები აფრიკელი პიგმეების, ალბანური თუ სერბული, ლიტვური თუ კორსიკული მუსიკალური ფოლკლორის შესახებ. თავად მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერებს კი სიმპოზიუმის ფარგლებში საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ არა მხოლოდ პროფესიულ ქართულ ჯგუფებს, არამედ ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებლებსაც გურიაში, რაც მათთვის მშვენიერი შესაძლებლობა იყო ქართული პოლიფონიის შესწავლის თვალსაზრისით.

მსოფლიოს სახელოვანი ეთნომუსიკოლოგებისათვის, რასაკვირველია, იუნესკოს გადაწყვეტილებაც ძალზედ მნიშვნელოვანი სტიმულის საფუძველი გახდა ქართული სიმღერის შესწავლისა და კვლევის გზაზე, რადგან იუნესკოს მიერ ქართული მრავალხმიანობის შედევრად აღიარებამ ახალი ბიძგი მისცა ჩვენი არამატერიალური მემკვიდრეობისადმი მანამდე მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში არსებულ ინტერესს. ახლა იმ ქვეყნების, უნივერსიტეტებისა და მეცნიერთა რიცხვი, ვინც ქართულ სიმღერას იკვლევს, მართლაც გაიზარდა. საგრძნობლად გაიზარდა იმ უცხოელი მუსიკოსებისა თუ უცხოური ჯგუფების რაოდენობაც, რომლებიც ქართულ სიმღერებს ასრულებენ და მთელ მსოფლიოში ცდილობენ მის რეკლამირებასა და პოპულარიზაციას. როგორი გულგრილიც არ უნდა ყოფილიყავი ქართული სიმღერისადმი, შეუძლებელი იყო აუღელვებლად მოგესმინა სიმპოზიუმის დღეებში ინგლისელებისა თუ ავსტრალიელების, ფრანგებისა თუ პერუელებისთვის, ვინც ასეთი სიყვარულით მღეროდნენ ქართულ სიმღერას და ვისაც ჩვენგან გულწრფელად ეკუთვნის ასეთივე სიყვარული და მადლობა. მადლობა ეკუთვნის ყველას, ვისი მხარდაჭერითა და რეკომენდაციებით თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრი დაარსდა.

ქართული ხალხური სიმღერის შესწავლის უძველესი კერა არის სწორედ თბილისის კონსერვატორია და ლოგიკურია რომ აქ განხორციელდა იმ ქართველთა დიდი და ძველი ოცნება, ვინც მთელი ცხოვრების მანძილზე ჩვენი უმთავრესი საგანძურის შენარჩუნებასა და გადარჩენას ემსახურება. აღსანიშნავია ისიც, რომ მხოლოდ ქართული ფენომენის კვლევით, ამ ცენტრის საქმიანობა არ შემოიფარგლება და ცენტრის მიზანია, ასევე, შექმნას საქართველოში მცხოვრები მცირე ერების, კავკასიისა და მსოფლიოს სხვა ხალხების მრავალხმიანობის სრული საინფორმაციო ბანკი და ხელი შეუწყოს მრავალხმიანობის, როგორც მუსიკალურ-სააზროვნო კატეგორიის ბუნების შესწავლას. ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის თბილისის საერთაშორისო ცენტრის დირექტორის ქალბატონ რუსუდან წურწუმიას აზრით, ასეთი ცენტრები, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვან მიზნებს ემსახურებიან - კულტურათა დიალოგს, რომელიც ყოველთვის იყო არა მარტო კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნების, არამედ მისი განვითარების აუცილებელი წინაპირობაც. დიალოგის ფორმა ჰქონდა სიმპოზიუმსაც, სადაც ყველას ჰქონდა შესაძლებლობა ევროპისა და ამერიკის საუკეთესო მეცნიერთა და საუკეთესო ეთნომუსიკოლოგიური სკოლების გამოცდილებას გასცნობოდნენ.

სტუდენტებისა და ხალხური მუსიკის ქართველ მკვლევართათვის სიმპოზიუმისა და ფესტივალის შემდეგ კონსერვატორიაში გაიმართა სპეციალური შეხვედრები სტუმრად ჩამოსულ მეცნიერებთან, რადგან სიმპოზიუმის დღეებში დაინტერესებულ ადამიანებს იმდენი შეკითხვები გაუჩნდათ მომხსენებლების მიმართ, რომ ყველა თემისა და საკითხის ამოწურვა რამდენიმედღიან საუბრებში შეუძლებელი იყო. ამ სასიამოვნო ინტერესმა განაპირობა თბილისის საერთაშორისო ცენტრის გადაწყვეტილება წიგნად გამოსცეს მეორე სიმპოზიუმის მოხსენებები, როგორც ეს მოხდა პირველი სიმპოზიუმის შემდეგ და ერთადერთი მინუსი, რაც, ჩვენი აზრით, სიმპოზიუმს აქვს, ორწლიანი შუალედია. ჩვენი ღრმა რწმენით, ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმი ყოველ წელს უნდა ჩატარდეს და ვფიქრობთ, რომ ამ იდეას ქალბატონ რუსუდანის გარდა, ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე ბატონი ანზორ ერქომაიშვილიც დაუჭერს მხარს და ამ იდეის მომხრე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი ქალბატონი მანანა დოიჯაშვილიც იქნება. სწორედ ის ადამიანები ვახსენეთ, ვისი ძალისხმევაც განაპირობებს ცენტრისა და სიმპოზიუმის შექმნასა და არსებობას და ვისი ნებისა და მონდომების გარეშეც, ეს დღესასწაული არ გვექნებოდა.

სწორედ ამ ადამიანებისათვის უმთავრესი საზრუნავია ჩვენი საგანძური და მადლობა ეკუთვნით აგრეთვე იმ ადამინებსაც, ვინც უანგაროდ, მაგრამ უდიდესი სიყვარულით იღებდა მონაწილეობას სიმპოზიუმის ორგანიზებაში; განსაკუთრებით კი, ახალგაზრდების მონდომება იმსახურებს აღნიშვნასა და აღფრთოვანებას.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მათ, ვინც ეს დღესასწაული აჩუქა თბილისსა და საქართველოს და კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ სურვილს იმისა, რომ ეს იყოს ყოველწლიური, მარადიული დღესასწაული...

# უცხო ქვეყნები ტურისტების თეფშზე

"უცხო ქვეყნიდან დაბრუნებულებმა საჩუქრები დახვეწილი გემოვნებით შეარჩიეთ" - ეს მოწოდება გურმანებისთვის, პირველ რიგში, საკვებთან ასოცირდება. ლოგიკურია: გემოვნება - პირის გემო - საჩუქარი. შესაბამისად, კარგად განვითარებული ტურიზმის პირობებში საკვებად ვარგისი სუვენირები სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს და მოგზაურებიც სულ უფრო მეტი ცნობისმოყვარეობით არჩევენ იმ პროდუქტებს შინ წასაღებად, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყანას ეროვნული ცეკვასავით თუ სიმღერასავით კარგად ახასიათებს.

ამ მხრივ, ბოლო დროს არც საქართველოს აქვს საწუწუნოდ საქმე. მართალია, უცხო ქვეყნის საბაჟოები დღემდე ეჭვის თვალით ათვალიერებენ და მერე ბლოკავენ შინ დამზადებულ ცხარე აჯიკებსა და კომბოსტოს მწნილებს, მაგრამ სამაგიეროდ, უპრობლემოდ უშვებენ ქვეყანაში ტურისტებს ჩურჩხელებით თუ დაბეჭდილი ღვინით.

თუმცა, საქართველო ისეთი პოპულარული, სამწუხაროდ, მაინც ვერ აღმოჩნდა, რომ "ვაშინგტონ პოსტის" ნუსხაში მოხვედრილიყო. არადა, ანდრეა საქსმა მშვენიერი წერილი დაწერა საკვებად ვარგისი იმ სუვენირების შესახებ, რომლებიც ამერიკელებს უცხო ქვეყნებიდან შინ მიაქვთ. სიაში ბევრი ქვეყანა შევიდა, მათ შორის, ჩვენი მეზობლებიც - რუსეთი და თურქეთი, კავკასია კი, მრავალფეროვანი გასტრონომიის მიუხედავად, კვლავაც გასტრონომიული ტურიზმის მიღმა დარჩა.

ასე რომ, სანამ ჩვენთან ისე აეწყობოდეს საქმე, რომ ჩურჩხელებს ქართველი გლეხები უცხოელთათვის განკუთვნილ სუვენირებად გაყიდდნენ, ჯობს, დანარჩენი ქვეყნების საკვებ სიამაყეებს გადავხედოთ.

**ავსტრალია:** ცხადია, პირველ რიგში, ტურისტებს შინ საჩუქრებად ავსტრალიური ღვინო მიაქვთ. მსოფლიო ბაზარზე ხომ ავსტრალიური ღვინო ჩილეს, სამხრეთ აფრიკისა და კალიფორნიის ღვინოებთან ერთად ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია. ამ ქვეყანაში ვაზს 69 რეგიონში ახარებენ, მაგრამ ყველაზე სახელგანთქმული ბრენდები მოდის: ნიუ საუთ უელსის ჰანტერის ხეობაში, სამხრეთ ავსტრალიის ბაროსას ხეობაში, დასავლეთ ავსტრალიის მარგარეტის მდინარის სანაპიროებზე და ვიქტორიაში, იარას ხეობაში. "ვიქთორია ბითერ" - ეს სახელი კი მაინც ყველასგან გამორჩეულია. ის ლეგენდარული ავსტრალიური ლუდი გახლავთ.

თუ ტურისტები მაინცდამაინც ხორცზე გიჟდებიან, მაშინ შინ დამარილებული ემუსა და კენგურუს ხორცი მიაქვთ. სანელებლებიდან კაბერნეს პასტას არჩევენ, რომელიც ძალიან უხდება ლურჯ ყველსა და კრეკერებს. ნამდვილი ავსტრალიური გასტრონომიის ნიმუშია ლელვის ჯემიც ჰანტერის ხეობიდან.

**ბრაზილია:** პირველ ადგილზე, ავსტრალიური ღვინის მსგავსად, აქ ყავა დგას. ამერიკელები "კაფე ბრაზილიეროს", "კაფე პელეს", "კაფე დამასკოს" და "ბომ დიას" ანიჭებენ უპირატესობას. კერძების სფეროდან კი იოლად წასაღებია ყველის რულეტები Pao de Queijo და შოკოლადიანი ვაფლი "ბისი", რომელიც ბრაზილიელებს ძალიან უყვართ.

**საფრანგეთი:** ცხადია, ფრანგულ კულინარიას ერთი აბზაცით ვერაფრით დაახასიათებ, ისევე როგორც ტურისტიც ვერაფრით შეძლებს შინ ისეთი გასტრონომიული სუვენირი წაიღოს, რომ ფრანგული სამზარეულო მთელი თავისი ბრწყინვალებით წარმოჩინდეს. თუმცა, "ვაშინგტონ პოსტი" გვირჩევს საფრანგეთის რეგიონების კულინარია ცალ-ცალკე შევისწავლოთ და აღმოვაჩინოთ, რომ შინ წასაღებად გადასარევია ბრიტანული ნამცხვარი კარაქით; კანფეტი რომელიც თხილითა და ლავანდის თაფლით მზადდება; მდოგვი; ტრიუფელი; ნორმანდიული მარილიანი კარაქით დამზადებული კარამელი და მცირე ალკოჰოლის შემცველი ვაშლის სიდრი; ანდა წაბლით დამზადებული კრემი, რომელიც ნამცხვარსაც ძალიან უხდება და ყველაფრის გარეშეც უგემრიელესია.

**ირლანდია:** ნამდვილი ირლანდიური "ჯეიმსონის მიდლტონი" საუკეთესო არჩევანია, მასთან ერთად თუ შებოლილ გარეულ ორაგულს და ირლანდიურ ყავისფერ პურსაც შეიძენთ, შინ დაბრუნებულნი, ნამდვილ ირლანდიურ სადილს მოიწყობთ. ზურმუხტოვანი კუნძულისთვის დამახასიათებელია კარტოფილის პური და ყველის და ხახვის ხრაშუნა ჩიპსი. დესერტისთვის კი გადასარევია "ბათლერზის" შოკოლადის კოლოფი - კლასიკური დუბლინური მაღაზიიდან.

**იტალია:** შეიძლება ითქვას, რომ ამერიკული სუპერ-მარკეტები და რესტორნები იტალიურ კერძებს მიაქვს. ამიტომ ამერიკელებს ძალიან უჭირთ ისეთი პროდუქტების არჩევა, რაც მათ არ იციან. თუმცა, ასეთები მაინც მოიძებნება: "ლავაცა" ესპრესო საუკეთესო არჩევანია მაგარი ყავის მოყვარულთათვის. ლიქიორი "ამარო ავერნა" კი ის სასმელია, რომელსაც სიცილიელები ნოყიერი სადილის შემდეგ მიირთმევენ ხოლმე. გამორჩეულად იტალიურია სორენტოს ლიმონიდან დაწურული "ლიმონჩელო", ნამდვილი მოდენური ძმარი, ანდა შავი ტრიუფლე უმბრიიდან.

სუფთა იტალიური ტრადიციაა ღვინო "სანტოში" კანტუჩინის ბისკვიტის ჩაწებაც და ასე გემრიელად მირთმევა.

**იაპონია:** ზღვის პროდუქტები, მაკარონი, საკე და ტკბილეული - ორი სიტყვით, ასე შეიძლება იმ დიდი ეგზოტიკის გადმოცემა, რასაც იაპონური სამზარეულო ჰქვია. შინ წასაღებად თითქმის ყველაფერი გამოდგება: შებოლილი თევზის ნაჭრები, სანელებლებთან ერთად შემწვარი

გაგრძელება B8 გვერდზე

ფეხბურთი

# თაღლითმა კურბისმა ოსებიც გადააგდო

## ფრანგმა მწვრთნელმა "ალანია" მიატოვა და "აიაჩოში" დაბრუნდა

ვლადიკავკაზის "ალანიას" აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი როლან კურბისი სათავეში ჩაუდგა ფრანგულ კლუბ "აიაჩოს", რომელთანაც ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. არადა, სულ ცოტა ხნის წინათ კურბისი ამტკიცებდა, რომ "ალანიიდან" წასვლას არ აპირებდა და რომ ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქში რუსეთის წლევანდელი ჩემპიონატის ბოლომდე მაინც დარჩებოდა.

როლან კურბისის ოსური ეპოპეა 10 თვის თავზე დასრულდა. გუშინწინ ცნობილი გახდა, რომ 51 წლის სპეციალისტი ამიერიდან უხელმძღვანელებს საფრანგეთის პირველი დივიზიონის კლუბ "აიაჩოს", რომელშიც ის "ალანიაში" გადაბარგებამდე ერთი წლით ადრე მოღვაწეობდა. კურბისმა "აიაჩოს" ახალი მწვრთნელის ამპლუაში თავისი პირველი პრესკონფერენციაც გამართა. "ეს რომ "აიაჩო" არ ყოფილიყო, მე არ დავბრუნდებოდი. შევეცდები, ამ კლუბს უკეთესი შედეგები ჰქონდეს", - განუცხადა მან ფრანგ ჟურნალისტებს. ახლა კორსიკული კლუბი საფრანგეთის ჩემპიონატის ცხრილში მე-18 ადგილს იკავებს, ხოლო მისი მთავარი მწვრთნელის პოსტზე კურბისის წინამორბედი ოლივიე პანტალონი იყო.

შეგახსენებთ, რომ ვლადიკავკაზის "ალანიას" როლან კურბისი რუსეთის ჩემპიონატის მიმდინარე სეზონის დასაწყისში, დაახლოებით ათი თვის წინ ჩაუდგა სათავეში. ამ კლუბში ფრანგი მწვრთნელის მოსვლა კომპანია "ისტოკის" დამსახურებაა, რომელმაც "ალანიას" დაფინანსება ითავა. "ისტოკის" ხელმძღვანელობამ კურბისს მეტად სოლიდური გასამრჯელო შესთავაზა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 1+1 სქემით გაფორმებული კონტრაქტი კურბისისთვის წელიწადში 1,5 მილიონი დოლარის სიდიდის გასამრჯელოს ითვალისწინებდა.

სიმართლე რომ ითქვას, კურბისის სამწვრთნელო წარსული და "ალანიაში" მოღვაწეობის პირველი თვეები იმის დასტური იყო, რომ მწვრთნელი ასეთ მაღალ ხელფასს ნამდვილად იმსახურებდა.

"ალანიას" შემადგენლობაში კურბისის განკარგულებაში არცთუ ისე მაღალი დონის ფეხბურთელები იყვნენ. მიუხედავად ამისა, ფრანგი მწვრთნელი გარკვეულ შედეგებს მაინც აღწევდა. მიმდინარე ჩემპიონატის მე-14 ტურში კურბისის ხელმძღვანელობით "ალანია" რუსეთის პრემიერლიგის საუკეთესო 6 კლუბს შორის აღმოჩნდა. ექვსეულში მოხვედრა სწორედ ის ამოცანა იყო, რომელიც ვლადიკავკაზური კლუბის ხელმძღვანელობამ დაუსახა კურბისს ჩემპიონატის დაწყებამდე. მიუხედავად იმისა, რომ მატჩების უმრავლესობას "ალანია" ყრუ დაცვაში ატარებდა და ინიციატივას, როგორც წესი, მისი მოწინააღმდეგეები ფლობდნენ, ოსური კლუბი სტაბილურად აგროვებდა საჭირო ქულებს, რაც, უდავოდ, ფრანგი მწვრთნელის დამსახურება იყო.

თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მწვრთნელი კლუბის ხელმძღვანელობის მიერ დასახულ ამოცანას წარმატებით ართმევდა თავს, სანაცვლოდ კი სოლიდურ ხელფასს იღებდა. პრობლემები ბესლანის ტერაქტის შემდეგ დაიწყო, რაც კურბისისთვის, მისივე სიტყვების თანახმად, "შოკისმომგვრელი აღმოჩნდა". ამ უდიდეს ტრაგედიას კურბისისთვის კიდევ ერთი "შოკი" მოყვა - "ალანიასთან" თანამშრომლობის შეწყვეტის შესახებ განცხადება გააკეთეს კომპანია "ისტოკის" ხელმძღვანელებმა. თავისი გადაწყვეტილება ბიზნესმენებმა სწორედ ბესლანში მომხდარ ტრაგედიას დააბრალეს. თუმცა, ტერაქტი მხოლოდ საბაბი გახლდათ. სინამდვილეში კი იყო ის, რომ კომპანია "ისტოკის" ხელმძღვანელობამ საფეხბურთო ბიზნესის მიმართ ინტერესი დაკარგა და ამ საქმისთვის თავის დანებება არჩია.



როლან კურბისმა ოსეთში ხეტიალს სამშობლოში დაბრუნება ამჯობინა.

მომხდარ მოვლენებს ისიც დაემატა, რომ საფრანგეთში მცხოვრები კურბისის დედა ავად გახდა (მას პარკინსონის დაავადება აღმოაჩნდა). 13 სექტემბერს, "ლოკომოტივთან" განცდილი მარცხის შემდეგ (0:3), კურბისმა პირველად მიატოვა კლუბი ხანგრძლივი დროით და დედის მოსანახულებლად სამშობლოში გაემგზავრა. წასვლამდე კი ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში დაბრუნდებოდა ვლადიკავკაზში და "ალანიას" სათავეში, სულ ცოტა, სეზონის ბოლომდე იმუშავებდა.

კურბისის არყოფნაში "ალანიასთვის" უნდა ეხელმძღვანელა მის თანაშემწეს დრაგან ცვეტკოვიჩს, რომელთანაც, კურბისის თქმით, მას რეგულარული სატელეფონო კონტაქტი ჰქონდა.

მოვლენების შემდგომი განვითარება სულ უფრო მიანიშნებდა იმაზე, რომ ყველაფერი ეს ფარსი იყო და მეტი არაფერი. "მოსკოვთან" მატჩში, მიუხედავად იმისა, რომ კურბისი უკვე დაბრუნებული იყო საფრანგეთიდან, "ალანიას" ისევ ცვეტკოვიჩი ხელმძღვანელობდა. თავად კურბისი კი სტადიონის ტრიბუნაზე იჯდა და იქიდან უცქერდა მატჩს. "ოჯახური პრობლემების გამო სამუშაოზე კონცენტრირება არ შემიძლია", - განაცხადა მატჩის შემდეგ ფრანგმა მწვრთნელმა. მან ისიც თქვა, რომ ვერავითარ პრობლემას ვერ ხედავდა იმაში, თუ ცვეტკოვიჩი სეზონს მთავარი მწვრთნელის ამპლუაში ჩაამთავრებდა...

ამ მოვლენების პარალელურად, რუსულ პრესაში გავრცელდა პირველი ინფორმაციები იმის შესახებ, რომ კურბისის გადაბირებით ფრანგული კლუბები "აიაჩო" და "სენტ-ეტიენი" დაინტერესდნენ.

"ალანიას" ხელმძღვანელობის მოთმინება "სატურნთან" მატჩამდე ამოიწურა. ვლადიკავკაზელებმა კურბისის საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება ვეღარ აიტანეს და ფრანგი მწვრთნელი მის თანაშემწე ცვეტკოვიჩთან ერთად სამსახურიდან დაითხოვეს.

ხოლო სამშაბათს, როდესაც კურბისი "აიაჩოს" მთავარ მწვრთნელად გამოცხადდა, ყველაფერი ნათელი გახდა. დედის ავადმყოფობის ამბავი უბრალო ტყუილი აღმოჩნდა. კურბისი საფრანგეთში დედის მოსანახულებლად კი არა, "აიაჩოს" ხელმძღვანელობასთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრა...

კურბისის საქციელში გასაკვირი არაფერია. იგი არასოდეს გამოირჩეოდა განსაკუთრებული პატიოსნებით. რამდენიმე წლის წინათ საფრანგეთში მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეც კი აღიძრა იმის გამო, რომ ის და მისი ცოლი კაზინოებში შულერობდნენ.

რა გასაკვირია, რომ კურბისს "ალანიას" ბედი ნაკლებად აღელვებდა. ვლადიკავკაზში ის ფულის გასაკეთებლად იყო ჩასული და სხვა არაფერი...

# დაპირისპირება გრძელდება

ნინო ტიკარაძე

"მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელმა რუდ ვან ნისტელროიმ "არსენალის" მცველის ეშლი კოულის მიმართ ჩადენილი უხეშობა აღიარა და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წინაშე თავი დამნაშავედაც ცნო, თუმცა, ისიც აღნიშნა, რომ ეს განზრახ არ ჩაუდენია. შეგახსენებთ: საქმე ეხება "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "არსენალს" შორის გამართული მატჩის დროს მოედანზე მომხდარ ინციდენტს, როცა ნისტელროიმ უხეშად დაარტყა ფეხი "არსენალის" მცველს ეშლი კოულს. ამ ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა FA-ს განსახილველად გადასცა "მეთოფეთა" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა და საქმის სათანადო განხილვაც სთხოვა, თუმცა, მწვრთნელის ასეთი მონდომება რომ არა, ნისტელროის უხეში თამაშის ამბავი, ალბათ, არც გახმაურდებოდა, რადგან მსაჯმა მოედანზე ფეხბურთელის მიერ წესის დარღვევა ვერ ან არ შეამჩნია და, შესაბამისად, ფეხბურთელიც არ დასაჯა. ახლა კი "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოელის. "ჩემი ათწლიანი კარიერის მანძილზე ფეხბურთის წესები უხეშად არასდროს დამირღვევია. მერწმუნეთ, ეშლი კოულისთვის განზრახ არ ჩამირტყამს ფეხი. ეს შემთხვევით მოხდა, მაგრამ, ასეა თუ ისე, დავარტყი და დამნაშავე ვარ. როგორც კი ამის საშუალება მომეცემა, მზად ვარ, მას ბოდიში მოვუხადო," - განაცხადა ნისტელროიმ. სხვათა შორის, უხეშობისთვის მიღებული დისკვალიფიკაცია, მართლაც, პირველია მისთვის.

თავის მხრივ, "არსენალის" მწვრთნელმა არსენ ვენგერმა ნისტელროის ბოდიში უნდა მოუხადოს, რადგან მან ფეხბურთელი საჯაროდ გააკრიტიკა და მას "მატყუარაც" უწოდა. ვენგერმა კი ბრალდება უარყო: "რატომ უნდა მოვიბოდიშო იმის გამო, რაც არ გამიკეთებია. ნისტელროის შეურაცხყოფა კი არ მივაყენე, არამედ მის შესახებ სიმართლე ვთქვი. ეშლი კოულის გარდა, მან თამაშის მეორე ნახევარში "არსენალის" მეკარეს იენ ლემანსაც ფეხზე ფეხი დაადგა. დარწმუნებული ვარ, ესეც განზრახ გააკეთა. ამის შემდეგ გაიძახის, დამნაშავე არა ვარო," - განაცხადა ვენგერმა და ისიც კი თქვა, რომ "მანჩესტერ იუნაიტედთან" განცდილმა მარცხმა არ გააბრაზა: "მატჩის შემდეგ გაბრაზებული არ ვყოფილვარ. ფეხბურთი მიყვარს. დიდ პატივს ვცემ "მანჩესტერ იუნაიტედს" და ჩვენი თამაშის მსაჯს მაიკ რაილის, მაგრამ არც კლუბმა და არც მსაჯმა შეხვედრა ისე არ ჩაატარეს, როგორც მოველოდით." რაც შეეხება ფერგიუსონისთვის წვნიანის შესხმის ფაქტს, "არსენალის" მწვრთნელმა იგი "მანჩესტერ იუნაიტედის" ფანტაზიის ნაყოფადაც მონათლა და განაცხადა: "ფერგიუსონის კლუბი მუდამ პრობლემის მიჩქმალვას ცდილობს - ამჯერად ეს გახლავთ მოედანზე მომხდარი ინციდენტები, რომლის გახმაურებაც კლუბს ხელს არ აძლევს. წვნიანთან დაკავშირებული ისტორია აშკარად გამოგონილია. არანაირი ინციდენტი ჩემს ფეხბურთელსა და ფერგიუსონს შორის არ მომხდარა. მიდით და ფერგიუსონს ჰკითხეთ, სინამდვილეში რა მოხდა." არადა, ფაქტია, რომ მშობლიურ "ოლდ ტრაფორდის" კორიდორში მიმავალ სერ ალექს ფერგიუსონს წვნიანი შეასხეს და პიცის ნაჭერიც ესროლეს. ამის გამო მწვრთნელს გასახდელში შესვლა და ტანსაცმლის გამოცვლა მოუხდა. მართალია, "მანჩესტერ იუნაიტედის" შეურაცხყოფილი მწვრთნელი ამ ინციდენტის შესახებ კომენტარზე უარს აცხადებს, მაგრამ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ინციდენტის გამოძიება უკვე დაიწყო. "ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან ვაგროვებთ. მალე გასახდელთან მომხდარი ინციდენტის ნამდვილი სურათიც გვექნება და დამნაშავესაც აუცილებლად დავსჯით," - განაცხადა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.



სერ ალექს ფერგიუსონს გასახდელისკენ მიმავალ გზაზე სახეში სოუზი შეასხეს და ახლა ამ ფაქტს ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია იძიებს.

სხვათა შორის, ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესო ვერსია აქვს წარმოთქმული ინგლისურ გაზეთ "Independent"-ს: "მატჩის შემდეგ არსენ ვენგერი ვან ნისტელროის გასახდელთან ელოდებოდა. მალე მათთან ფეხბურთელებიც მოგროვდნენ. მათ შორის იყვნენ ეშლი კოული, პატრიკ ვიეირა და იენ ლემანი ("არსენალი"), ასევე გარი ნევილი და როი კეროლი ("მანჩესტერ იუნაიტედი"). ხმაურზე მოჩხუბრებთან ფერგიუსონი მივიდა და ვენგერს "არსენალის" ფეხბურთელების დაშოშმინება მოსთხოვა. ამის შემდეგ "მანჩესტერ იუნაიტედის" გასახდელისკენ წასულ მწვრთნელს წვნიანი შეასხეს და პიცის ნაჭერიც ესროლეს." ერთ-ერთი ვერსიით, ფერგიუსონს შეურაცხყოფა მიაყენა ეშლი კოულმა, თუმცა, მიზანში სულ სხვა ადამიანი, კერძოდ, ნისტელროი ჰყავდა ამოღებული, მაგრამ ეს გაზეთ "Sun"-ის ვერსია გახლავთ და, შეეფერება თუ არა სიმართლეს, მხოლოდ შემსრულებელმა და მოწმეებმა უნდა იცოდნენ. ისინი კი დუმან. ამის გამო არაერთხელ დასმული შეკითხვაც ისევ უპასუხოდ რჩება: ვინ იყო ის ადამიანი, რომელმაც ასეთი შეურაცხყოფა მიაყენა "მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელს სერ ალექს ფერგიუსონს?!

# "რკინის დაცვა"

"Una difesa di ferro" - "რკინის დაცვა" - აი, ტურინის "იუვენტუსის" წარმატების რეცეპტი. ჩემპიონთა ლიგაში "ბებერმა ქალბატონმა" დღემდე მშრალად შეინახა საკუთარი კარი და იტალიის ჩემპიონატის შვიდ მატჩში მხოლოდ ორი გოლი გაუშვა.

ამასთან, ტურინელებმა ჩემპიონთა ლიგაში ასპროცენტიანი შედეგი აჩვენეს. დაამარცხეს "აიაქსი", მაკაბი" (ტელ-ავივი) და "ბაიერნი" - ერთნაირი ანგარიშით - 1:0. იტალიის ჩემპიონატში კი "ბიანკონერებს" დამარცხების სიმწარე ჯერ არ უგრძვნიათ, პირველ ადგილზე არიან და უახლოეს მდევარს ხუთი ქულით უსწრებენ.

ეს სტატისტიკა მით უფრო წარმოუდგენელია, რომ "იუვენტუსი" შარშანდელ სეზონში გამართულ 34 მატჩში იძულებული იყო, საკუთარი კარიდან 42-ჯერ გამოეტანა ბურთი, რაც 1993 წლის შემდეგ ყველაზე უარესი მაჩვენებელია. მეორე მხრივ, ტურინელთა ახალი მწვრთნელი ფაბიო კაპელო ყოველთვის განთქმული იყო დაცვაში თამაშის ორგანიზებით.

როცა კაპელომ "მილანი" ზედიზედ მესამედ მიიყვანა "სკუდეტომდე" (1993-1994 წწ), გუნდმა მხოლოდ 15 გოლი გაუშვა. არადა, მაშინ იტალიის ჩემპიონატის სერია A-ში 18 გუნდი მონაწილეობდა. ყველაზე წარმატებული და სახელგანთქმული იტალიელი მწვრთნელი, რომელიც სხვადასხვა დროს მადრიდის "რეალსა" და "რომას" ედგა სათავეში, სწორედ დაცვაში თამაშს უთმობდა უდიდეს ყურადღებას.

ამ ზაფხულს, როდესაც მარჩელო ლიპისგან ესტაფეტა მიიღო, ფაბიო კაპელომ საკუთარ გუნდში მყისვე გამოარჩია ჯანლუიჯი ბუფონი, ლილიან ტურამი, ჯანლუკა ძამბროტა და განაცხადა, რომ მის გუნდში ეს ფეხბურთელები უმთავრესი ფიგურები არიან. ამ უმთავრეს ფიგურებს მან ორი ძვირფასი შენაძენიც დაუმატა. ჯონათან ძებინა "რომადან" ტურინში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაბარგდა და იტალიის ნაკრების მცველი ფაბიო კანავარო მილანის "ინტერს" ურუგვაელ მეკარე ფაბიან კარინიში გაუცვალა. ამ ფეხბურთელებით კაპელომ ტურინში შეუვალი დაცვა შექმნა.

"იუვეს" ახალმა მწვრთნელმა ძალიან კარგად იცოდა ძებინას შესაძლებლობები, რომელთანაც ოთხი სეზონის განმავლობაში თანამშრომლობდა და 26 წლის ფეხბურთელმაც თავის მწვრთნელს გაუმართლა. ძებინა დაცვის მარჯვენა ფრთაზე შესანიშნავად გამოიყურება, მაშინ, როცა ტურამი ცენტრში წარმატებით თამაშობს "პარმაში" მის თანაგუნდელ ფაბიო კანავაროსთან წყვილში.



ფაბიო კაპელომ "იუვენტუსში" შეუვალი დაცვა გააკეთა.

გულშემატკივრებს ეშინოდათ ფაბიო კანავაროს ფიზიკური მდგომარეობის გამო, თუმცა, ფეხბურთელმა უმოკლეს დროში მოახერხა და თავისი თამაშით ყველა კრიტიკოსი გააჩუმა. 31 წლის ფეხბურთელის სპორტული ფორმა არავითარ ეჭვს არ იწვევს და ამჟამად კანავარო ტურინელი გულშემატკივრების ერთ-ერთი კერპია. თუმცა, კანავარო არ აპირებს, გადაამეტოს კლუბის წარმატებაში შეტანილი თავისი წვლილი. "ჩვენ თავს ვიცავთ და ვუტევთ მთელი გუნდით. ამიტომ იმაში, რომ გოლებს არ ვუშვებთ, მთელი გუნდის ღვაწლია ჩადებული, - განაცხადა მცველმა, - ყველა მზად არის, გუნდის წარმატებას პირადი ინტერესები შესწიროს".

ასეთი შესანიშნავი დაცვის პირობებში ტურინის "იუვენტუსს" გამარჯვებისთვის ხშირად ერთი გოლიც კი ჰყოფნის. "ჩვენს შემადგენლობაში ნამდვილი ჩემპიონები არიან თავმოყრილნი, რომლებსაც ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ გოლის გატანა, - ამბობს ფაბიო კანავარო, - ჩვენი ამოცანაა, მატჩის მთელი 90 წუთის განმავლობაში კონცენტრაცია არ დავკარგოთ და მეტოქეს, რაც შეიძლება, ნაკლები შანსი მივცეთ გოლის გასატანად, რადგან, ადრე თუ გვიან, ჩვენს გოლს გავიტანთ".

კაპელო უპირატესობას ანიჭებს თავდასხმაში ფეხბურთელთა როტაციას, მაგრამ დაცვაში ცდილობს, ერთი და იგივე ფეხბურთელებით გაიტანოს ფონს. ძებინა, ტურამი, კანავარო და ძამბროტა შეადგენს დაცვის ხაზს გუნდის ყველა მატჩში. გამონაკლისი იყო მხოლოდ ამსტერდამის "აიაქსთან" შეხვედრა, როცა ძებინა დისკვალიფიკაციის სასჯელს იხდიდა და "მაკაბისთან" მატჩი, როცა კანავარომ ტრავმის გამო ვერ შეძლო მინდორზე გამოსვლა.

"ძალიან ძნელია ყოველ მესამე დღეს თამაში. ამიტომ გასაგებია, რატომ ვგრძნობთ დაღლას, - განმარტა კანავარომ, - თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, ყველა ფეხბურთელი მზად არის, გუნდის ინტერესებისთვის მსხვერპლი გაიღოს. ამიტომ არც ერთი ფეხბურთელი არ წუწუნებს იმის გამო, რომ ბევრი მატჩის გამართვა უწევს". საქმისადმი ასეთი დამოკიდებულებით "იუვენტუსს", ბუნებრივია, ბევრის მიღწევა შეუძლია.

ძიუდო

# ჭანყი ქართულ ტატამზე

## პრეზიდენტობაშენარჩუნებული ხაბულიანი და ხელმოცარული ხახალეიშვილი

გიგა გურასაშვილი

*გუშინ სპორტის აკადემიაში უჩვეულო თავყრილობა გაიმართა. ამ შემთხვევაში არც სტუდენტებს ვგულისხმობ და არც ლექტორ-მასწავლებლებს. თუმცა, ამ უკანასკნელთა ნაწილი მასწავლებლებიც არიან და სპორტის აკადემიის კურსდამთავრებულებიც. საუბარია ქართული ძიუდოს სამყაროზე, რომლის წარმომადგენლებსაც გუშინ საპასუხისმგებლო მისია ეკისრათ.*

მისია იმაში მდგომარეობს, რომ მათზე იყო დამოკიდებული, თუ ვის ხელში აღმოჩნდებოდა ქართული ძიუდოს მომავალი. ერთი სიტყვით, საუბარია საქართველოს ძიუდოს ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებზე.

როგორც ქართველებს გვჩვევია, არც ამ ამბავს ჩაუვლია ვნებათაღელვის გარეშე. თუმცა, ვნებათაღელვა რბილად ნათქვამია. ცხარე დებატები ჯერ კიდევ ყრილობის დაწყებამდე, დერეფანში გაჩაღდა. ხმამაღალი შელაპარაკება ლოგიკურად გაწევ-გამოწევაშიც უნდა გადაზრდილიყო, მაგრამ ბოლოს ვითარება მეტ-ნაკლებად განიმუხტა. თუმცა, ამბობენ, ერთი-ორი შეხლა-შემოხლა მაინც იყოო.

ახლა კი იმაზე, რაც მოხდა. საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატმა, ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა დავით ხახალეიშვილმა თქვა: ყრილობა არასწორადაა მოწვეული, რაც უნდა გაუქმდეს და ხელახალი არჩევნები დაინიშნოს. განმეორებითი არჩევნები კი, დებულებით, გაუქმებიდან ორ კვირაში ინიშნებაო.

ყრილობის მოწვევის ბრძანებულება 20 ოქტომბერს დაიწერა, რომლის მიხედითაც საპრეზიდენტო არჩევნები 27 ოქტომბერს უნდა გამართულიყო (გაიმართა კიდეც), მაგრამ ხახალეიშვილმა, - ამისთვის მეტი დრო იყო საჭიროო.

მეორე მხარემ, ახლანდელმა პრეზიდენტმა დილარ ხაბულიანმა, რომელიც პრეზიდენტობის შესანარჩუნებლად იბრძოდა (აქვე გეტყვით, რომ აშკარა უპირატესობით დაამარცხა დავით ხახალეიშვილი), განაცხადა: ყრილობა ორი თვით ადრე იყო მოწვეული, რის შესახებ ინფორმაცია მედიის საშუალებით სწორედ მაშინ გავავრცელეთო. ხახალეიშვილმა: თუ ასეა, პრეზიდიუმის გადაწყვეტილება მაჩვენეთო. ხაბულიანის მომხრეებმა: მერე ამოგიბეჭდავთო.

ხმაურმა და აყალმაყალმა კიდევ ცოტა ხანს გასტანა. ბოლოს ნერვებმოშლილმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა დარბაზი დატოვა. ხახალეიშვილს თან გაჰყვნენ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი თეიმურაზ ხუბულური და ყრილობის რამდენიმე წევრი.

"ეტყობა, ეშინიათ ჩვენი. ეშინიათ ახალგაზრდა მოაზროვნე თაობის. ყველაფერი, ალბათ, იმისკენაა მიმართული, რომ ქართული ძიუდოს სამყარო ორად გაიხლიჩოს. ასეთი არჩევნებით ქართული ძიუდო ფონს ვერ გავა", - ამ სიტყვებით დატოვა ხახალეიშვილმა სპორტის აკადემიის შენობა.

სხვათა შორის, ხახალეიშვილი წინა საპრეზიდენტო არჩევნებშიც მონაწილეობდა და მაშინაც აშკარა უპირატესობით დამარცხდა ამჟამინდელ პრეზიდენტთან, რომელსაც ამჯერად პრეზიდიუმის 25 წევრიდან 23-მა დაუჭირა მხარი.

ყრილობის დასრულების შემდეგ პრეზიდენტობაშენარჩუნებულ ხაბულიანსაც გავესაუბრეთ. ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა თქვა: ყველაფერი კანონზომიერად წარიმართა. კარგია, რომ არსებობს განსხვავებული აზრი და ამაში უჩვეულოს ვერაფერს ვხედავო.

**- დარწმუნებული იყავით, რომ პრეზიდენტობას შეინარჩუნებდით?**

- ისეთი ვინ უნდა ყოფილიყო, რომ ჩემთვის არ მოეცა ხმა?! იმ შედეგებისა და სამუშაოს ფონზე, რაც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გავწიეთ, განა ვინმე სხვას დაუჭერდა მხარს?! განა თავად დავითმა არ იცოდა, რომ ყველაფრის გათვალისწინებით პრეზიდიუმისგან შედეგს ვერ მიიღებდა?! მას არანაირი შანსი არ ჰქონდა.

ფეხბურთი

# სელადესი კმაყოფილია

მას შემდეგ, რაც ალბერტ სელადესმა 2000 წელს არაპოპულარული კატალონიისთვის არაპოპულარული წინადადება მიიღო და გადაწყვიტა, "ბარსელონიდან მადრიდის "რეალში" გადაბარგებულიყო, კატალონიური კლუბის მაშინდელმა კაპიტანმა სერხი ბარხუანმა თავი ველარ შეიკავა და განაცხადა, რომ სელადესის ამ გადაწყვეტილებამ მას გული გაუტეხა.

გამორიცხული არ არის, რომ სელადესს ბოლო წლის განმავლობაში ენანა თავისი ოთხი წლის წინანდელი გადაწყვეტილების გამო. მაშინ, როცა "ბარსა" ესპანეთის ჩემპიონობისთვის იბრძოდა, "რეალმა" სელადესი იჯარის წესით საფრანგეთის "ბორდოში" მიავლინა. უკან კი ყოფილი კატალონიელი მაშინ დაბრუნდა, როცა "სამეფო კლუბმა" არადამაჯერებელი და უნიათო თამაში დაიწყო.

მადრიდულ კლუბში თავისი გადასვლის პირველ წელიწადს სელადესი საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე კლოდ მაკელელესა და ივან ელგერას შემცვლელი იყო. მცირე ტრავმების სერიის შემდეგ კი მან პირველ გუნდში საერთოდ დაკარგა ადგილი. შარშანდელ სეზონში, სათამაშო პრაქტიკის მიღების მიზნით, სელადესი ფრანგულ "ბორდოში" გაანათხოვრეს.

თუმცა, წლეულს ყველაფერი შეიცვალა. მაკეკელე ლონდონის "ჩელსიში" გაიყიდა, ხოლო ელგერამ დაცვაში დაიხია. ნახევარდაცვის ცენტრში კი ბექჰემის მეწყვილედ, გუნდში მარიანო გარსია რემონის მოსვლის შემდეგ, სწორედ ალბერტ სელადესი მოიაზრება. ფეხბურთელი "სამეფო კლუბში" ამ ცვლილებით ბედნიერია და ერთი სული აქვს, "რეალის" ძირითად შემადგენლობაში დაიჯავშნოს ადგილი.

"საფრანგეთის ჩემპიონატში გატარებული ერთი წლის შემდეგ ბედნიერი ვარ მადრიდში დაბრუნებით და იმით, რომ საშუალება მეძლევა, რეგულარულად მივიღო სათამაშო პრაქტიკა, - განაცხადა სელადესმა, - იმედი მაქვს, ჩვენ შევძლებთ, ზედიზედ რამდენიმე მატჩი უმაღლეს დონეზე გავმართოთ და კვლავ ვირწმუნოთ საკუთარი ძალები. ეს ჩვენ თამაშის ხარისხის გაუმჯობესებაში დაგვეხმარება, ხოლო მე - საუკეთესო თამაშის ჩვენებაში".

ამასობაში, ბოლო შედეგები ცხადყოფენ, რომ "რეალის" დაბრუნება ახლოს არის - მაიკლ ოუენის (რომელიც წლეულს გადმოვიდა "ლივერპულიდან") გოლებმა "რეალს" ბოლო ორ მატჩში ორი გამარჯვება მოუტანა - ჩემპიონთა ლიგაში კიევის "დინამოსთან", ხოლო ესპანეთის ჩემპიონატში "ვალენსიასთან" პაექრობაში.

ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ალბერტ სელადესსაც, რომელიც ეფექტური მოძრაობებით არ გამოირჩევა, მაგრამ გუნდისთვის დიდი სარგებლობა მოაქვს. "ალბერტი შესანიშნავი ტექნიკის პატრონია. ნახევარდაცვაში მისი მოქმედება საშუალებას გვაძლევს, მინდვრის ცენტრში მშვიდად ვიგრძნოთ თავი, რაც ახლა ჩვენი გუნდისთვის აუცილებელია", - შეაფასა თავისი ფეხბურთელის თამაში გარსია რემონმა.



ალბერტ სელადესი წელს "რეალის" ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იქნება.

თავად სელადესი მიიჩნევს, რომ "რეალის" აღორძინების დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს ურთულესი გამარჯვება "რომასთან" მატჩში. "რეალმა" იტალიელები ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურის შეხვედრაში დაამარცხა. "ყველაზე უფრო აღსანიშნავი მომენტი "რომასთან" თამაშის დროს ის იყო, თუ როგორ მოვახარხეთ, ურთულესი მდგომარეობიდან გამოსავალი მოგვეძებნა, - აღნიშნა ნახევარმცველმა, - "რომამ" ორი შემთხვევითი გოლი გაგვიტანა, ხოლო ამ გოლებს შორის მეორე ჩვენი გუნდისთვის საერთოდ არ არის დამახასიათებელი. თუმცა, ჩვენს მაინც მოვახერხეთ, თამაშში გარდატეხა შეგვეტანა და ამით ჩვენი ხასიათის სიმტკიცე წარმოგვედგინა".

ამასთან, სელადესი ვერ ხედავს ამ სეზონში "რეალის" კრიზისის აშკარა მიზეზებს, თუმცა, აღიარებს, რომ კონკურენცია სულ უფრო მძაფრი ხდება. "ჩვენს წინააღმდეგ უამრავი მაღალი კლასის გუნდი თამაშობს, - ამბობს სელადესი, - ესპანეთის პრიმერა-დივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაში მოასპარეზე გუნდების დონე უაღრესად მაღალია. ამიტომ მათი დამარცხებისთვის სერიოზული ძალისხმევა გვმართებს".

ახლა კი, როცა "რეალი", როგორც ჩანს, კვლავ ეჩვევა გამარჯვებებს, სელადესი ცდილობს, "სამეფო კლუბის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიჯავშნოს და ამით გააქარწყლოს ხმები იმის თაობაზე, რომ იანვარში, სატრანსფერო დერეფნის გახსნის შემდეგ, მას შეიძლება შემცვლელი გამოუძებნონ. "ადამიანებს უფლება აქვთ, გუნდის მდგომარეობის შესახებ ილაპარაკონ ის, რაც მოესურვებათ, მაგრამ გუნდში კონკრეტული პოზიციის გაძლიერების საკითხი მწვრთნელის პრეროგატივაა", - აღნიშნა სელადესმა.

კრივი

# მსაჯთა განუკითხაობას წერტილი დაესმება

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი აპირებს, მოყვარულ მოკრივეთა ბრძოლის წესებში ცვლილებები შეიტანოს. სპორტსმენები იმედოვნებენ, რომ მსაჯთა განუკითხაობას საბოლოოდ მოეღება ბოლო.

ცვლილებები შეეხება მსაჯთა მიდგომას ამა თუ იმ ბრძოლისადმი და ჩინოვნიკები შეეცდებიან, შეადგინონ ეფექტური და სამართლიანი სისტემა ზუსტი დარტყმების განსაზღვრის დროს. ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა გერჰარდ ჰაიბერგმა, რომელიც ათენის ოლიმპიურ თამაშებზე დამკვირვებლის სტატუსით იყო მივლინებული.

ჰაიბერგის თქმით, პირადად მას მოეჩვენა, რომ მოკრივეთა ტურნირში მსაჯობის საკითხი ყველაზე უფრო დიდი პრობლემა იყო. "აუცილებელია შევადგინოთ მაქსიმალურად სამართლიანი სისტემა ქულების დათვლის დროს, რომელიც უზრუნველყოფდა მართლაც საუკეთესო მოკრივის გამარჯვებას, - განაცხადა ჰაიბერგმა, - ყოველთვის ძნელია, როცა საქმეში ადამიანის ფაქტორი მსაჯის სახით ერევა".

აღმასრულებელი კომიტეტის წევრი გაექცა ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვას იმის თაობაზე, რომ მსაჯი შეიძლება მოსყიდულიც კი იყოს. "შეცდომას ყველა ადამიანი უშვებს, თუმცა, მათ გადაწყვეტილებაზე შეიძლება სხვა ფაქტორებმაც მოახდინოს გავლენა", - განაცხადა ჰაიბერგმა.

შეგახსენებთ, რომ ათენის ოლიმპიურ თამაშებზე რუსეთის ნაკრებმა საერთაშორისო ფედერაციაში მსაჯების წინააღმდეგ პროტესტი შეიტანა. რუსები ამტკიცებდნენ, რომ მსაჯები რეგულარულად არღვევდნენ კენჭისყრის წესებს და მოკრივეთა ბრძოლებზე ინიშნებოდა მსაჯი, რომელიც ამა თუ იმ მხარეს უჭერდა მხარს. ჟურნალისტების ხელში აღმოჩნდა ვიდეომასალაც, რომელიც ადასტურებს, თუ როგორ ირღვევა კენჭისყრის პირობები. თუ ორგანიზატორები ამოიღებენ ბურთულას, რომელზეც არასასურველი მსაჯის გვარია დაფიქსირებული, ისინი ამ ბურთულას უკან დებენ და შემდეგ მის ნაცვლად საჭირო ბურთულას იღებენ.

ათენში მსაჯებმა, რომ იტყვიან, დაასამარეს რუსი კაზაკოვი. ის ნაკლებად ცნობილ თურქ მოკრივეს ხვდებოდა. მესამე რაუნდის დასაწყისში, როცა რუსი - 12:10 იგებდა, სამ წამში თურქს 5 დარტყმა ჩაუთვალეს და ანგარიში - 15:13 გახდა თურქი მოკრივის სასარგებლოდ. ამის შემდეგ რუსის უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ ტაბლოზე ანგარიში არ იცვლებოდა. შედეგად კაზაკოვი მესამე ადგილზე გავიდა. კაზაკოვს, სულ ცოტა, 8 დარტყმა არ ჩაუთვალეს.

სწორედ მსგავსი კაზუსების წინააღმდეგ იქნება მიმართული ცვლილებები. თუმცა, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს იმაზე მოუწევს ფიქრი, თუ როგორ დაიყვანოს მინიმუმამდე მსაჯების გავლენა ბრძოლის საბოლოო შედეგის გამოცხადებისას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წესები პროფესიულ კრივშიც იცვლება. მაგალითად, WBA-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის დროს შეიცვლება მდგომარეობა, რომელიც მოკრივეს უკრძალავს, მიიღოს რაუნდში 7 ქულაზე ნაკლები. ახლანდელი წესების თანახმად, ყოველ ნოკდაუნზე მოკრივეს ერთი ქულა ეხსნება. ამასთან, საერთო შეფასება რაუნდში არ უნდა იყოს - 10-7-ზე ნაკლები. ცვლილებები განხორციელდება, აგრეთვე, წესების დარღვევის, უნებლიეთ მიღებული ტრავმებისა და მსაჯების მოქმედების საქმეშიც.

კალათბურთი

# ვინ, რა, როგორ NBA-ში

## დასავლეთ კონფერენცია

სანდრო ნავერიანი

14. "სიეტლ სუპერსონიქსი"

**სასტარტო ხუთეული:** დემიენ უილკინსი, ანტონიო დენიელსი, ვლადიმერ რადმანოვიჩი, რეი ალენი, რაშარდ ლუისი.

"სიეტლ სუპერსონიქსი" შორს არის იმ დიდი "სუპერსონიქსიდან", რომელშიც შონ კემპი, გერი პეიტონი და დეტლეფ შრემპფი თამაშობდნენ. მაშინდელი "სუპერსონიქსი", მართლაც, საოცარ კალათბურთს თამაშობდა. მაგრამ ის წარსულია და წარსული ყოველთვის ისტორიას ბარდება. ახლა სიეტლურ გუნდს მძიმე დრო უდგას. რა ხანია, საკუთარი გულშემატკივარი გამარჯვებით არ გაუხარებია. არადა, შარშანდელი სეზონი საკმაოდ კარგად დაიწყეს: ხუთი თამაშიდან ხუთი მოგება. მაგრამ ეს ყველაფერი დროებითი აღმოჩნდა და "სუპერსონიქსმა" ჩაძირვა დაიწყო. გარდა იმისა, რომ სიეტლელები ვერ იგებდნენ, ხარისხიან კალათბურთსაც ვერ აჩვენებდნენ. მათი მონაწილეობით რამდენიმე მატჩი ვნახე და, მართალი თუ გინდათ, საშინელი საყურებელი იყო. არ იფიქროთ, რომ "სიეტლ სუპერსონიქსი" არ მომწონს და ტენდენციური ვარ. არა, პირიქით, მე ამ გუნდს ვქომაგობ. მაგრამ მე იმ "სიეტლ სუპერსონიქსის" გულშემატკივარი ვარ, რომელმაც კალათბურთი შემაყვარა, იმ გუნდისა, რომელშიც ზემოთ ჩამოთვლილი კალათბურთელები თამაშობდნენ. ეს რაც შეეხება წარსულს. ახლა კი დღევანდელობაზე. დღევანდელი რეალობა კი ასეთია: "სიეტლ სუპერსონიქსს" დიდი პერსპექტივა აქვს იმისა, რომ ლიგის ყველაზე ცუდი გუნდის სახელი მოიხვეჭოს. რა თქმა უნდა, რეი ალენი, ვლადიმერ რადმანოვიჩი, რაშარდ ლუისი და დანარჩენები შეეცდებიან, ეს "ტიტული" თავიდან აიცილონ, მაგრამ, არა მგონია, ეს შეძლონ. ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი ყველაზე ცუდი გუნდის სახელი მაინც არ ასცდება, რასაკვირველია, რეგულარული სეზონის დამთავრების შემდეგ. წეღან მოგახსენეთ, "სუპერსონიქსის" გულშემატკივარი ვარ-მეთქი. ასეც არის, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ამ გუნდის შანსები, რეგულარულ სეზონში 20-25 გამარჯვება მოიპოვოს, მეტისმეტად არარეალურია.

15. "ნიუ-ორლეან ჰორნეთსი"

**სასტარტო ხუთეული:** პი ჯეი ბრაუნი, ჯამალ მაშბურნი, ბერონ დევისი, დერელ არმსტრონგი, ჯამაალ მაგლოირი.

მართალი თუ გინდათ, შარშან "ნიუ-ორლეან ჰორნეთსის" თამაშმა გაოცებისგან პირი დამაღებინა. მათ ძალიან კარგი სეზონი ჩაატარეს და სამართლიანად დაიმსახურეს სპეციალისტთა და ჟურნალისტთა ქათინაურები. აღსანიშნავია ისიც, რომ "ნიუ-ორლეან ჰორნეთსი" ლიგის ერთ-ერთი ყველაზე შეკრული გუნდი იყო და, ალბათ, სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ლუიზიანელებმა პლეი-ოფში გააღწიეს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შარშანდელი "ნიუ-ორლეან ჰორნეთსი" უფრო გამოუცდელი იყო, ვიდრე წლევანდელი, უნდა ვივარაუდოთ, რომ პლეი-ოფისთვის ბრძოლა სავსებით რეალურია. რაც შეეხება თავად კალათბურთელებს. ბერონ დევისი შარშან ითვლებოდა და საბოლოოდ გამოდგა კიდეც გუნდის ლიდერი. მთელი სეზონის განმავლობაში ბერონ დევისი საკუთარი მხრებით ათრევდა ახალორლეანელებს. მან ძალიან ბევრი გააკეთა ამ გუნდისთვის და დაიმსახურა, რომ წლევანდელ სეზონშიც სწორედ ის მოიხსენიონ გუნდის ლიდერად. არა მგონია, რამე შეიცვალოს და ლიდერობა სხვამ აიღოს თავის თავზე. დანარჩენი კალათბურთელები კი შეეცდებიან, დევისის ტემპს და მის მიერ შერჩეულ თამაშის სტილს აჰყვნენ. მინდა შევეხო კიდევ ერთ მეტად საინტერესო ფაქტს, რომელიც, შესაძლოა, "ნიუ-ორლეან ჰორნეთსის" წარუმატებლობის მთავარ მიზეზად იქცეს, რასაკვირველია, თუ საერთოდ წარუმატებლად ჩაატარა სეზონი. საქმე ის არის, რომ ჯამაალ მაგლოირი და პი ჯეი ბრაუნი ერთმანეთის მიმართ მწყრალად არიან და თამაშის დროსაც კი ცდილობენ, ერთმანეთს ხელი შეუშალონ. ასეთი შემთხვევა უკვე რამდენჯერმე გამეორდა საკონტროლო მატჩების დროს. ეს კიდევ არაფერი, ამის მოგვარება იოლად შეიძლება - ერთად არ ათამაშებენ და მორჩა. მაგრამ არის კიდევ ერთი რამ, რაც ყველაზე საგანგაშოა: "ნიუ-ორლეან ჰორნეთსის" კალათბურთელები კლანებად არიან დაყოფილნი. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ შუაზე არიან გაყოფილი. ის, ვინც დევისთან და პი ჯეი ბრაუნთან მეგობრობს, არ მეგობრობს ჯამაალ მაგლოირთან და ჯუნიორ ჰარინგტონთან. არ იფიქროთ, რომ ერთმანეთზე გადამტერებულები არიან. არა, მაგრამ ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ამის გამო მატჩი წაუგიათ. საერთო ჯამში, ლუიზიანელებს აქვთ იმის ძალა, რომ პლეი-ოფში გავიდნენ.

TV-სპორტი

### ხუთშაბათი. 28 ოქტომბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

06:00 NBA TV - NBA შიგნიდან
07:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1981. დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "PHOENIX SUNS" - "SACRAMENTO KINGS". მე-7 მატჩი
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ფლამენგო" - "სანტოსი"
14:00 იტალიის ჩემპიონატი. "ლეჩე" - "ინტერი"
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 გერმანიის ჩემპიონატი. "შტუტგარტი" - "ვერდერი"
17:45 "წვრილმანები". უკრაინა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე
18:30 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
19:00 "FUTBOL MUNDIAL"
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 საუიკენდო მატჩების ანონსი
19:55 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ფლამენგო" - "სანტოსი"
21:10 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:10 თავისუფალი დარტყმა
22:25 იტალიის ჩემპიონატი. "იუვენტუსი" - "რომა". პირდაპირი ტრანსლაცია
00:20 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:20 01:20-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - დღიური
03:30 NBA TV - NBA შიგნიდან
04:00 NBA TV - თამაშის ეშხი
04:30 NBA TV. წინასასეზონო მატჩი. "DALLAS MAVERICKS" - "SACRAMENTO KINGS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**

11:00, 14:00, 17:00, 22:30 პრესცენტრი
10:25, 14:15 "ფორმულის ჰარმონია"
11:45 როდეო. "Bull Riders"
12:30 ჩოგბურთი. ATP ტურნირი - "St. Petersburg Open"
14:35 "ჰოკეი-პლუს"
14:50 სპორტული ცეკვები. "სტანისლავ შკლიარის თასი"
17:15 მაგიდის ჩოგბურთი. ITTF Pro Tour დანიაში. ფინალები
20:15 "ბორის მაიოროვის არქივიდან"
20:45 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
21:15 "მოტოვებული კვირა"
22:00 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
22:50 სახვალიო ტელეპროგრამა
23:00 "ჰოკეი-პლუს"
23:15 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
23:45 ჭადრაკი. მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა ესპანეთში
00:15 "სპორტის შემდგომი სილამაზე". იოლანდ ჩენის ფილმი
01:00 ახალი ამბები
01:15 "ჰოკეი-პლუს"
01:30 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
02:00 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი - "SKATE CANADA". წყვილები. ვაჟები. მოკლე პროგრამები. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ექსტრემალური სპორტი. ექსტრემალური თამაშები - 2004
12:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
16:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ავსტრიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი შვეიცარიაში
20:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი შვეიცარიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
21:30 სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში". ტელეჟურნალი
22:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი კატალონიაში
23:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
01:00 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
01:30 ახალი ამბები
01:45 მხედრული ორთაბრძოლები. ბრძოლა წესების გარეშე

1

იურიდიული ოფისი „გაპი"

და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

2

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო პასუხებს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

3

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "ნოველტის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**თინა ლაშხი**

მყავს ფსიქიურად დაავადებული ბიძაშვილი. იგი ბავშვობიდან არის II ჯგუფის ინვალიდი, ცხოვრობდა ძმებთან ერთად, ძმების გარდაცვალების შემდეგ დავინიშნე მის მეურვედ. აღმოჩნდა, რომ იგი რეგისტრირებული არ ყოფილა ამ ბინაში. ბინა სამოთახიანია, რომლის ორი ოთახი ეკუთვნოდა ავადმყოფს და მის ძმებს, ხოლო ერთოთახიანში ცხოვრობს სხვა, რომლის ბინაც პრივატიზირებულია. მაქვს მეზობლების ხელმოწერები, რომ ავადმყოფი ბავშვობიდან ცხოვრობს ამ ბინაში და სხვაგან არ უცხოვრია. მისი ბინა არაპრივატიზირებულია. ქუჩაში გამვლელმა ადვილად მართვადი ავადმყოფი გადაიბირა. გამგეობის სხდომაზე, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო მისი ბინის საკითხი, ბინა დროებით სარგებლობაში მისცა ქუჩაში გამვლელ შეუსწავლელ პირს, მეურვე კი არაფრად ჩააგდო. აღნიშნულის შემდეგ, ავადმყოფი ჩემს მიმართ აგრესიულია. გთხოვთ, განმიმარტოთ, რამდენად სწორია გამგეობის გადაწყვეტილება, ადვილად მართვადი ავადმყოფი ხელში ჩაუგდონ ქუჩაში გამვლელ უარყოფით, შეუსწავლელ პიროვნებას და ოფიციალურად შეასახლონ მის ბინში საცხოვრებლად.

ქალბატონო თინა,

სამოქალქო კოდექსის მიხედვით, ფსიქიური დაავადება შეიძლება გახდეს პირის ქმედუუნაროდ აღიარების საფუძველი. სამოქალაქო კოდექსის 12.5 მუხლის თანახმად, ქმედუუნაროდ მიიჩნევა პირი, რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ასეთად იქნება აღიარებული. ამ პირის უფლებებს ახორციელებს მისი კანონიერი წარმომადგენელი. თუ თქვენი ბიძაშვილი სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ იყო აღიარებული, მაშინ მის მიერ ნებისმიერი გარიგება ბათილად შეიძლება იქნეს მიჩნეული. ეს პრინციპი გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლიდან, სადაც მითითებულია, რომ ბათილია მცირეწლოვანის ან სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირის ნების გამოვლენა. თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ ქმედუუნარო პირის მიერ დადებული გარიგების გაბათილება.

**ნელი რუხაძე**

1. 1976-78 წლებიდან 1988 წლამდე გამოქვეყნებული მაქვს მეცნიერულ-კრიტიკული და მეთოდური წიგნები ქართული ენისა და სწავლების საკითხებზე და ასზე მეტი სტატია, რომელთა ჰონორარები ირიცხებოდა ათონელის N11-ში მდებარე შემნახველ სალაროში (6000 მანეთი). დღემდე საავტორო თანხა არ მიმიღია.

2. ამჟამად გამოსაქვეყნებელი მაქვს კიდევ ორი წიგნი, რომელთა გათვალისწინების გარეშე სწავლა-აღზრდის საქმე წინ ვერ წაიწევს, მაგრამ არამც თუ მისი გამოსაქვეყნებელი, არამედ ელემენტარული საარსებო საშუალება არ გამაჩნია (ვარ დოცენტი, 45 წლის უწყვეტი პედაგოგიური სტაჟის მქონე პენსიონერი, მაქვს 21 ლარი პენსია), ავადმყოფი, ვცხოვრობ მარტო. გარდა ელექტროენერგიის გადასახადისა, არავითარ საშეღავათო ნორმებს არ ვექვემდებარები).

3. გთხოვთ, გვაცნობოთ: ა) როგორ, რა გზით შეიძლება აღნიშნული თანხის თუნდაც ნახევრის (3000 მანეთის) მიღება. ბ) გამოსაქვეყნებელი წიგნების მზის სინათლეზე გამოსატანად ვინ უნდა დამეხმაროს? (ფინანსთა მინისტრიდან დაწყებული განათლების მინისტრით დამთავრებული, ყველა ინსტანციას მივმართე, მაგრამ მათი პასუხები სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ურთიერთგამომრიცხველია).

ქალბატონო ნელი,

სამწუხაროდ, თქვენი კითხვიდან არ ირკვევა, ბანკში გადარიცხული თანხა ანაბრის სახით გროვდებოდა თუ არა. სამოქალაქო კოდექსის თანახმად ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება მეანაბრეთა მოთხოვნაზე ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო. (მუხლი 128.2.(ბ)) მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოთა პერიოდში შემნახველ სალაროებში დაგროვილი თანხის გადახდა ითავა სახელმწიფომ, ვალის შესახებ კანონის 48.1 მუხლის თანახმად სახელმწიფოს საშინაო ვალად აღიარებულ იქნა მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანება. მაგრამ, გამომდინარე საქართველოს მწირი შემოსავლებიდან, ამ ვალის გათვალისწინება 2004 წლის ბიუჯეტში ვერ მოხდა.

**ლეილა პაპუნაშვილი**

ვარ 65 წლის მოხუცი. მეუღლეც და შვილიც გარდაცვლილი მყავს. მაქვს ოცი ლარი პენსია. ვერანაირ გადასახადს ვერ ვიხდი. გთხოვთ, განმიმარტოთ, რაიმე დახმარება მეკუთვნის თუ არა რომ ვიარსებო. არაფერი არ შემიძლია, სამსახური ჩემი წლოვანებისათვის არსად არ არის. ყველგან ახალგაზრდები უნდათ. გთხოვთ, მიპასუხოთ, როგორ იარსებოს ჩემი წლოვანების ქალმა. თქვენი კეთილის მსურველი, ლეილა პაპუნაშვილი თქვენის იმედით ვცოცხლობ...

ნეტა საიკაშვილამდე მიმიყვანა.

ქალბატონო ლეილა,

სამწუხაროდ, მარტოხელა პენსიონერებზე კანონმდებლობით შეღავათი არ არის დადგენილი. თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის დანიშვნა. მაგრამ ამისათვის თქვენს მეუღლეს უნდა დაეკმაყოფილებინა მთელი რიგი პირობები, პირველ რიგში მას უნდა მიეღწია 65 წლამდე და უნდა ჰქონოდა უწყვეტი მუშაობის სტაჟი 15 ან მეტი წელი. სავალდებულო სადაზღვევო პენსიის შესახებ კანონით დადგენილია, რომ მარჩენალის დაკარგვის გამო სავალდებულო სადაზღვევო პენსიის ოდენობა დამოკიდებული, იმ სავალდებულო შრომით ან სადაზღვევო პენსიის ოდენობაზე, რომელსაც გარდაცვალებამდე ღებულობდა მარჩენალი. რაც შეეხება, პრეზიდენტის ან პრეზიდენტის ადმინისტრაციის პასუხისმგებელი პირის მიერ მოქალაქეთა მიღების წესს, თქვენ ეს საკითხი უნდა დააზუსტოთ პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოქალაქეთა მიღების სამსახურში (პრეზიდენტის ადმინისტრაცია განთავსებულია სახელმწიფო კანცელარიის შენობაში).

**ნუკრი თხელიძე**

სახელმწიფოში მიმდინარე მმართველობითი ორგანოების სტრუქტურულ რეფორმებთან დაკავშირებით, ჩემი ქმარი სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი, ასაკის გამო გათავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან, მაგრამ საბოლოო ანგარიშის გასწორებაში მხედველობაში არ იქნა მიღებული ძველი წლების (ხელფასის, პენსიის, შვებულების და პრემიის) დავალიანებები.

გთხოვთ, განმიმარტოთ, ადმინისტრაცია ვალდებულია თუ არა სამსახურიდან დათხოვნილ მუშაკს საბოლოო ანგარიში გაუსწოროს ძველი წლების დავალიანებების გათვალისწინებით. თუ ასეთი არ ხდება, როგორ მოიქცეს, რომ მიიღოს კანონით გათვალისწინებული თავისი კუთვნილი ანაზღაურება.

ქალბატონო ნუკრი,

შრომის კანონთა კოდექსით დადგენილია, რომ შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ადმინისტრაცია მოვალეა, გაუსწოროს მუშაკს საბოლოო ანგარიში და დაუბრუნოს მას შრომის წიგნაკი. (მუხლი 32). ანგარიშის გასწორებაში კი იგულისხმება როგორც სახელფასო დავალიანების, ასევე სხვა ხარჯების დაფარვაც.

**კახაბერ პაპუნაშვილი**

ვარ 39 წლის შრომისუუნარო, მეორე ჯგუფის ინვალიდი, პენსიონერი, პენსიას ვიღებ ჩვეულებრივ 20 ლარს, მყავს დედა, ისიც პენსიონერი, მამა და ტყუპისცალი ძმა ახლო ხანებში გარდამეცვალა. დავრჩით მე და დედაჩემი მარტოხელები. არავის დახმარების იმედით და ამ პენსიებით ძლივს გაგვაქვს თავი. გთხოვთ განმიმარტოთ, გვეკუთვნის თუ არა რაიმე ფულადი დახმარება, როგორც მარტოხელა პენსიონერებს და თუ შეიძლება დახმარება ცალ-ცალკე გაიცეს. ისიც გავიგე, რომ როგორც მარტოხელა პენსიონერებს, გვეკუთვნის 35 ლარი ორივეს ერთად. შეიძლება თუ არა ცალ-ცალკე გაიცეს.

ბატონო კახაბერ,

სამწუხაროდ, კანონმდებლობის საფუძველზე თქვენ 35 ლარს იღებთ მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენც და დედათქვენიც შრომისუუნარონი ხართ და ერთად ხართ რეგისტრირებულნი.

**ნელი კირკიტაძე**

1. ამ დღეებში სასამართლომ დამნაშავედ ცნო ერთი წლის წინათ ჩემს ბინაში თვითნებურად შეჭრილი მოქალაქე, სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის ზომად შეუფარდა ჯარიმა. ამასთან სასამართლომ თავის განაჩენში არ მიუთითა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის აღკვეთის - გამოსახლების შესახებ, რითაც დამნაშავეს მისცა შესაძლებლობა, კვლავ განაგრძოს დენადი დანაშაული, ხოლო მე კი კვლავ ღია ცის ქვეშ ვრჩები. მსჯავრდებული არასოდეს არ ყოფილა ჩემი ბინის მესაკუთრე, მფლობელი ან მოსარგებლე. გთხოვთ, განმიმარტოთ, სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო, როცა დამნაშავეს მსჯავრი დასდო ჩადენილი დანაშაულისათვის, მაგრამ არ გადაწყვიტა დანაშაულის აღკვეთის საკითხი და განაჩენში არ მიუთითა მისი გამოსახლების შესახებ. იბადება კითხვა, რა ფასი და ღირებულება აქვს ასეთ განაჩენს?

2. როგორ მოვიქცე სასამართლოს მიერ განაჩენში დაშვებული ასეთი ხარვეზის გამოსასწორებლად და სამართლიანობის აღსადგენად?

ქალბატონო ნელი,

სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს სისხლის სამართალწარმოების დროს დაზარალებულის სამოქალაქო მოსარჩელედ ჩართვის ინსტიტუტს. მაგრამ სამოქალაქო მოსარჩელედ ჩართვის შესახებ თავად უნდა მოითხოვოს დაზარალებულმა წინასწარი გამოძიების ანდა სასამართლო გამოძიების დაწყებამდე. (სისხლის სამართლის პროცესი მუხლები 30.1 და 33.1). სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპების გათვალისწინებით, სასამართლო არ არის უფლებამოსილი მიანიჭოს მხარეს ის, რაც თვით მხარეს არ მოუთხოვია. თუ თქვენ სარჩელში არ მიუთითეთ, რომ პირის დასჯასთან ერთად გსურდათ სამოქალაქო სამართალწარმოების გზით მოგეხდინათ მისი გამოსახლება თქვენი ბინიდან, მაშინ სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, ეს აღენიშნა თავის განაჩენში. ამავე დროს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ გამოსახლება არ არის აღკვეთის ღონისძიება.

თქვენ შეგიძლიათ სამოქალაქო სარჩელით მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ ამ პირის ბინიდან გამოსახლება.

**ირაკლი შარაშენიძე**

მყავს მდგმურები, ე.წ. "ატსტუპნოით" (დედა-შვილი). რომ ემუშავათ ქალაქში, ჩემმა მშობლებმა ჩაწერეს ბინაში. რამდენიმე წელია არ იხდიან არც ბინის ქირას და არც სხვა კომუნალურ გადასახადებს. რა იურიდიული ძალით და კანონით შეიძლება ჩემს საკუთრებაში არსებული ბინის დაბრუნება.

ბატონო ირაკლი,

ე.წ. "ატსტუპნოი" საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს. ამის შესახებ პარლამენტს კანონიც კი უნდა მიეღო, რომ წარმოქმნილი პრობლემა გადაწყვეტილიყო. მაგრამ ამ კანონის მიღება ჯერჯერობით არ მომხდარა.

თუ თქვენ დადებული გაქვთ ხელშეკრულება ამ დედა-შვილთან, ამ შემთხვევაში ვერაფერს გირჩევთ. თუ არა, მაშინ შეგიძლიათ მიხვიდეთ საპასპორტო განყოფილებაში და მოითხოვოთ ამ პირების რეგისტრაციიდან მოხსნა. ხოლო შემდეგ სასამართლო წესით მოახდინოთ მათი გამოსახლება.

**ბინის მაცხოვრებლები**

გთხოვთ დაგვიზუსტოთ: ძველებურ, კეთილმოუწყობელ რამოდენიმე ბინიან სახლს აქვს სხვენი, რომელსაც ვიყენებთ საშრობად.

აქვს თუ არა ერთ ან ორ მეზობელს სხვენის მთლიანად პრივატიზების რაიმე უპირატესი უფლება დანარჩენი მეზობლების თანხმობის გარეშე, თუ ყველა მეზობელს გვეკუთვნის ჩვენი წილი სხვენის ფართიდან? და აქედან გამომდინარე, სხვენით სარგებლობის უფლება?

ბინის მაცხოვრებლებს,

ბატონო მოქალაქეებო, ჩვენ წინა რუბრიკაში საკმაოდ მკაფიოდ გიპასუხეთ, რომ მრავალბინიან სახლებში (მრავალბინიანად ითვლება კორპუსი ანდა ე.წ. "იტალიური ეზო") არასაცხოვრებელ ფართად მოიაზრება ის ფართი, რომელიც არ გამოიყენება საცხოვრებლად. ეს არის სახურავი, სხვენი, მზიდი კედლები, სადარბაზო, სარდაფები, საძირკველი და სხვა. ამ ფართობზე საკუთრების ოდენობა განისაზღვრება სამოქალაქო სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმადაც ბინის მესაკუთრის წილი საერთო საკუთრებაში განისაზღვრება მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის შეფარდებით ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ მთელ ფართობთან. ასე რომ არც ერთ მეზობელს თქვენი წერილობითი თანხმობის გარეშე უფლება არ აქვს, მოახდინოს ამ ფართობის რეკონსტრუქცია, მით უმეტეს მისი პრივატიზება.

**ბაგრატ კასრაძე**

მოვალემ, იგრძნო რა ვალის იძულებით გადახდის რეალობა, თავისი კუთვნილი გაერთიანებული სამი და ერთოთახიანი ბინიდან მოასწრო სამოთახიანი ბინის გასხვისება. (ფიქტიურად).

მის კუთვნილებაში დარჩენილი ერთოთახიანი ბინა აღმასრულებლის მიერ სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაყადაღებული იქნა და მიმდინარეობს აღსრულების პროცესი.

დადგა პრობლემა: ეს ბინა, როგორც მოგახსენეთ, გაერთიანებულია მიმდებარე სამოთახიან ბინასთან. გაერთიანებულ ბინას ერთი შესასვლელი აქვს ერთოთახიანი ბინიდან, ხოლო სამოთახიანი ბინის ყოფილი შესასვლელი ამოქოლილია.

აღმასრულებელი თვლის, რომ ეს ერთოთახიანი ბინა ჯერ აუქციონზე უნდა გავიდეს და შემდეგ მოხდეს ბინების აღდგენა-რეაბილიტაცია საპროექტო პარამეტრების მიხედვით. მე ვთვლი, რომ ყველაფერი პირიქით უნდა მოხდეს. თქვენი რჩევა როგორი იქნება?

ბატონო ბაგრატ,

ამ შეკითხვაში ჩვენ ვერ ვხედავთ იურიდიულ პრობლემას, ასე რომ ჩვენ პასუხის გაცემისაგან თავს შევიკავებთ. თუ თქვენ აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოგეშობათ რაიმე კითხვა, შეგიძლიათ მოიძიოთ საქართველოს კანონი "სააღსრულებო წარმოების შესახებ".

**ელგუჯა მამულაძე**

1. ჰქონდა თუ არა ტერმინალის ადმინისტრაციას უფლება გავეთავისუფლებინე სამუშაოდან ჩემ მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე დასვენების დღეს.

2. ჰქონდა თუ არა სასამართლოს უფლება, გადაედო პროცესი იმ მოტივით, რომ მოპასუხე მხარემ ცნობა ვერ წარმოადგინა?

3. ჰქონდა თუ არა ტერმინალის ადმინისტრაციას უფლება, ჩაეწერათ შრომის წიგნაკში - "გათავისუფლდა საკუთარი განცხადების საფუძველზე", რაც არ დამიწერია.

ბატონო ელგუჯა,

1. შრომის კანონთა კოდექსის 34. 2 მუხლის თანახმად, დაუშვებელია შვებულებით ან დროებითი შრომისუუნარობის დროს მუშაკის სამსახურიდან დათხოვნა.

2. სასამართლო უფლებამოსილია გადადოს სხდომა, თუ მხარე დაასაბუთებს, რომ დოკუმენტი, რომლის წარმოდგენასაც აპირებს მხარე, ძალიან მნიშვნელოვანია კანონიერი გადაწყვეტილების მიღებისათვის.

3. როგორც თქვენი წერილიდან ირკვევა, რომელიც თან ახლავს უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარს, თქვენ თქვენი ნებით დაწერეთ განცხადება სამსახურიდან წასვლის შესახებ (წერილში თქვენ წერთ, რომ განცხადება დაწერეთ მას შემდეგ, რაც იმავე სამსახურში სხვა თანამდებობაზე გადაყვანას დაგპირდნენ. მიუხედავად აღნიშნულისა, სამწუხაროდ, სამართლებრივად თქვენ განცხადება, სამსახურიდან წასვლის თაობაზე, თქვენი ნებით დაწერეთ). აქედან გამომდინარე, ტერმინალის ადმინისტრაციას სრული უფლება ჰქონდა შრომის წიგნაკში ჩაეწერა - "გათავისუფლებულია საკუთარი განცხადების საფუძველზე".

**თეონა 14 წლის**

ისჯება თუ არა კანონით ერთი ადამიანი, თუ ის სცემს მეორე ადამიანს, თუნდაც ის ადამიანი მეორე ადამიანის მამა იყოს?

ქალბატონო თეონა,

კანონი ერთმნიშვნელოვნად სჯის ადამიანს, თუ ის სცემს მეორე ადამიანს, თუნდაც ისინი ერთმანეთის მამა-შვილი იყვნენ (სსკ-ს 125-ე მუხლი). აქვე დავამატებთ, რომ ცემა გახლავთ კერძო ბრალდების საქმე და აქედან გამომდინარე, განცხადება ხელყოფილმა ხელმყოფის წინააღმდეგ უნდა დაწეროს თავად პოლიციაში და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებს პოლიცია საქმეზე მოკვლევას. ხელყოფილს, აგრეთვე, შეუძლია მოითხოვოს ხელმყოფისაგან სასამართლოში, სამოქალაქო წესით, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც სამოქალაქო კოდექსის 18-ე მუხლის საფუძველზე. თუ, დაზარალებული არასრულწლოვანია, ასეთ შემთხვევაში სასამართლო პროცესი იქნება დახურული. ქალბატონო თეონა, ჩვენი რჩევაა პასუხი გააცნოთ იმ მამას, რომელიც იგულისხმეთ თქვენს მიერ დასმულ შეკითხვაში. თუ, ამის შემდგომ, ვისაც ეხება თქვენი შეკითხვა - ეს თქვენ იქნებით თუ სხვა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სამართლებრივი გზით იდავოთ, საკუთარი შვილის ხელმყოფ მამასთან, იურიდიული ოფისი "გაპი" მოგემსახურებათ სრულიად უფასოდ.

# რეალური შანსი

B1 გვერდიდან

ამ კოდექსის მიღება დააგვირგვინებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების იმ სახის მავნებლურ მოღვაწეობას საქართველოში, რაც ტიპურია ყველა განვითარებადი ქვეყნისათვის, სადაც ისინი წარმატებით საქმიანობენ. კერძოდ, შემოთავაზებული სახით მიღებულ კოდექსს ნამდვილად შეუძლია ქვეყანა ეროვნული წარმოების გარეშე დატოვოს და ამით სავალუტო ფონდის მრავალწლიანი გეგმა აღასრულოს.

ფართოდ რეკლამირებული გადასახადების რაოდენობის შემცირება, ალბათ, არც ერთ საქმეში ჩახედულ ადამიანს სერიოზულად არ აღუქვია, გაუქმებული გადასახადებიდან არც ერთი არ წარმოადგენდა ბიუჯეტის შევსების წყაროს და, მაინცდამაინც, არც მეწარმეს აწვებოდა გაუსაძლის ტვირთად.

რაც შეეხება სოციალურ და საშემოსავლო გადასახადებს, მათი პარამეტრები დღემდეც იმდენად აბსურდულად მაღალი და ძნელად საკონტროლებელი იყო, რომ მათი დაწევა რეალურ, თუმცა ძალიან მაღალ ზღვრამდე, იძულებით აუცილებლობას წარმოადგენდა.

აქციზური გადასახადების მატების ხარჯზე დამატებითი ღირებულების გადასახადის 2%-იანი შემცირება იმდენად ძვირი დაუჯდება საქართველოში ჯერ კიდევ მომუშავე წარმოებებს ( ღვინო, არაყი, ლუდი, შამპანური, სიგარეტი და სხვა), რომ ბევრი მათგანი გაკოტრდება და მათ ადგილს ბაზარზე იმპორტირებული საქონელი დაიკავებს.

მართლა აღტაცებას იწვევს, მაინც რა ზუსტად გათვალეს სავალუტო ფონდის ემისრებმა, რომელი დარგები უნდა განადგურდეს. ახალ კოდექსშიც მიზანში სწორედ ამ დარგების საწარმოები ამოიღეს, მით უმეტეს, რომ ღვინოც, სიგარეტიც, ლუდიც საექსპორტო საქონელია.

აქციზი ირიბი გადასახადია და ფაქტობრივად, ბიუჯეტში მომხმარებლის ჯიბიდან შედის. წარმოიდგინეთ, რამდენად გაუძვირდება ჩვენს მომხმარებელს ეს პროდუქცია, როცა ერთ-ერთი ძირითადი გადასახადი 100%-ით გაიზრდება.

მინდა, გაგახსენოთ 1995 წლის 23 ივნისი, როდესაც სავალუტო ფონდის კატეგორიული მოთხოვნით, რეალურად ადგილობრივი წარმოების გაკოტრების მიზნით, აქციზურ საქონელზე უზომოდ და ყოვლად გაუმართლებლად გაიზარდა გადასახადი. მაშინ ძალიან ბევრი საწარმო გაკოტრდა - თბილისის ორივე თამბაქოს ფაბრიკა, არყის, ღვინის, ლუდის ქარხნები და ბევრი სხვა. ეს იყო პირველი, ძალიან სერიოზული დარტყმა ეროვნულ წარმოებაზე. თუ რამდენიმე წარმოება მაინც გადაურჩა იმ პირველ დარტყმას, მხოლოდ და მხოლოდ დაუმორჩილებლობის და უდიდესი ბრძოლის ფასად. ამ ბრძოლის შედეგად ორი წლის შემდეგ აქციზური გადასახადი შეამცირეს.

ადგილობრივი წარმოებისათვის არანაკლები დარტყმა იყო დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიღებაც, მაგრამ საბოლოო და გამანადგურებელი დარტყმა ამჟამად შემოთავაზებული ვარიანტის დამტკიცება იქნება.

განა მისაღებია ახალი და ნახმარი იმპორტირებული ავტომანქანების განბაჟების ესოდენ განსხვავებული ტარიფები? ამაში ხომ თავიდანვე ჩადებულია ქვეყნის მოსახლეობის დამცირების, მისი არასრულფასოვნად მიჩნევის ტენდენცია.

ან რით უნდა აიხსნას, რომ საქართველოში ასე თუ ისე ჩამოყალიბებულ სადაზღვევო ბიზნესში, განსაკუთრებული სასათბურე პირობები უნდა შეექმნას ერთ დიდ ამერიკულ კომპანიას დანარჩენების გაკოტრების ხარჯზე.

დარწმუნებული ვარ, ქართველ ფერმერებს ძალიან მალე დააწვებათ უმძიმეს ტვირთად მიწის გადასახადის ახალი განაკვეთები, რომლებიც ოსტატურად შენიღბულია ახალ პროექტში.

მოკლედ, კოდექსის პროექტში ძალიან ბევრი რამაა მიუღებელი. მასში ჩადებული "ნაღმები" არა მარტო ეკონომიკური პრობლემების პერსპექტივას გვიხატავს, არამედ სოციალური ტრაგედიისაც. ესაა პირდაპირი გზა მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუარესებისაკენ, უმუშევრების არმიის შეუნელებელი ზრდისკენ. ძალიან სამწუხაროა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა თუ სხვა საფინანსო ინსტიტუტების მიერ ნაკარნახევი და წინა ხელისუფლების მიერ დანერგილი მავნე პრაქტიკა დღესაც გრძელდება.

ათი წლის წინ, როდესაც ეს საფინანსო ინსტიტუტები საქართველოს შემოესიენ, ბევრს მიამიტურად სჯეროდა, რომ მათ ჩვენი დახმარების და ქვეყნის ფეხზე დაყენების სურვილი ამოძრავებდათ. შემდგომში სავალუტო ფონდის მაშინდელი მისიის ხელმძღვანელის შადმან ვალავის განცხადებამ, საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობა უპერსპექტივოა და ესპანეთიდან და იტალიიდან შემოვიტანთ ღვინოსო, ზოგიერთი ჩვენებური ეკონომისტი გამოაფხიზლა. მაგრამ, თუ მაშინ ილუზიები მაინც გვქონდა, დღეს, 10 წლის გამოცდილების და ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, თავის მოტყუების დრო ნამდვილად აღარ გვაქვს.

ხომ უნდა დავრწმუნებულიყავით, რომ ეს ფონდები ფილანტროპული იდეალებით კი არ ხელმძღვანელობენ, საქართველოს მხოლოდ საკუთარი სტრატეგიული გეგმების და პროექტების განსახორციელებლად საჭირო ტერიტორიად განიხილავენ. თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდი ქვეყნის სიძლიერის ეკონომიკურ საფუძვლებს არყევს, სოროსის ფონდი ეროვნული თვითმყოფადობის თანდათან მოშლის თანმიმდევრულ პოლიტიკას ჩვენი მიამიტობის გამო წარმატებით ახორციელებს და მიზანმიმართულად ანგრევს უძველესი, უნიკალური კულტურის და ტრადიციების მქონე ქვეყნის ზნეობრივ საყრდენებს..

პარლამენტში განხილვისას, დეპუტატებმა პრინციპულობა უნდა გამოიჩინონ, მხარი არ უნდა დაუჭირონ ამ პროექტს, უნდა გაუძლონ სავალუტო ფონდის ზეწოლას, იფიქრონ საგადასახადო სისტემის რეალურ ლიბერალიზაციაზე, დაუტოვონ ქვეყანას ეკონომიკის აღორძინების შანსი.

ამ ფონდების მიერ დაქირავებული ექსპერტები პრიმიტიულად აშინებენ საზოგადოებას, თითქოს, თუ სავალუტო ფონდი საქართველოში თავის პროგრამას დახურავს, პარიზის კლუბში ვალების რესტრუქტურიზაციაზე უარს გვეტყვიან და არც ინვესტორები ჩამოვლენ საქართველოში.

დარწმუნებული ვარ, ვალებსაც გადაგვივადებენ და გაცილებით მეტი სერიოზული ინვესტორიც გამოჩნდება, იმდენი საინტერესო ბიზნესთემაა საქართველოში. **თუ დღეს სერიოზული ინვესტიციები არ ხორციელდება, ისევ ამ ფონდების მიზეზით. ყველა სერიოზულმა ინვესტორმა იცის, რომ ქვეყანა, სადაც სავალუტო და სოროსის ფონდები წარმართავენ პოლიტიკას, განწირულია.გაპარტახებულ და გაუბედურებულ ქვეყანაში კი საქმის წამოწყება პრაქტიკულად არავის უნდა.**

სავალუტო ფონდის ექსპერტები საჯაროდაც და კერძო საუბრებშიც ამბობენ, საქართველო გადასახადების რეალური ლიბერალიზაციისათვის 3-4 წლის შემდეგ იქნება მზადო.

დარწმუნებული ვარ, ამ დროისათვის, მართლაც, მკვეთრად შემცირდება გადასახადები,ოღონდ მთელი ამ გეგმის ცინიზმი სწორედ ისაა, რომ ახლად შემოთავაზებული კოდექსის პირობებში ქართველებს აღარაფერი დაგვრჩება, ვერავინ გაუძლებს ამ საგადასახადო წნეხს,აქტივები მთლიანად უცხოელების ხელში აღმოჩნდება და სწორედ მაშინ, როცა გადასახადების გადახდაც და ჩვენი "შენახვაც" უცხოელ მეპატრონეებს მოუწევთ, გადასახადების ნამდვილი ლიბერალიზაციაც განხორციელდება.

ჩვენ წლების მანძილზე გვინერგავდნენ აზრს საკუთარი უნიათობის და უძლურების შესახებ, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ამ უცხოური ინსტიტუტების რეკომენდაციებისა და დახმარებების გარეშე, ჩვენი "ღარიბი" ქვეყანა არათუ ვერასოდეს დადგებოდა ფეხზე, საერთოდ დაიღუპებოდა.

კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ კატეგორიულად ვერ გავიზიარებ მოსაზრებას ჩვენი ქვეყნის სიღარიბის შესახებ. პირიქით, შემიძლია ნებისმიერს ვეკამათო, რამხელა ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია საქართველოს სწორი ეკონომიკური პოლიტიკისა და სტრატეგიის პირობებში. **ჩვენ ღარიბი კი არა, არასწორი მართვისა და შიდა თუ გარე მტერ-მოყვარის ვერაგული პოლიტიკის შედეგად გაძარცვული და გაღატაკების პირას ხელოვნურად მიყვანილი ქვეყანა ვართ.**

მოდით ვნახოთ, რა მოუტანა საქართველოს საერთაშორისო ინსტიტუტებთან ურთიერთობამ, რა ინვესტიციები ჩაიდო მათი ძალისხმევით და ხელშეწყობით ქართული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გაჯანსაღების საქმეში? რა თანხები იქნა მოზიდული ტექნოლოგიური მოდერნიზაციისათვის? რა სასიკეთო ცვლილებები დაეტყო სოციალურ მდგომარეობას? რომელი დარგი დადგა მათი დახმარებით ფეხზე?

ხსენებულ ინსტიტუტებთან ურთიერთობას უმთავრესი ახსნა და გამართლება იმით ეძებნებოდა, რომ ამ გზით ჩვენ დასავლურ , ცივილიზებულ სამყაროსთან ვახდენდით ინტეგრირებას, ეს კი ხალხის მოტყუება იყო, და ყველა, ვინც ამ ტყუილს შეგნებულად თავს ახვევდა საზოგადოებას, დამნაშავეა საკუთარი ხალხის წინაშე და მკაცრად უნდა მოეკითხოს კიდეც.

ჩვენ ხომ ამგვარი ურთიერთობების შედეგად, რეალურად მივიღეთ გაღატაკებული ქვეყანა დანგრეული ეკონომიკით, რომელიც სწორედ ამის მიზეზით და ამის შედეგად, სულ უფრო და უფრო შორდებოდა ცივილიზებულ სამყაროს და ვერც იმ ძველ ორბიტას წყდებოდა, რომლისგან თავის დაღწევაც მხოლოდ ეკონომიკურად დამოუკიდებელ და ძლიერ ქვეყანას შეუძლია.

### რა ხდება დღეს?

ეკონომიკური განვითარების მინისტრის, ბატონ კახა ბენდუქიძის პოზიცია ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით , სრულიად მისაღები ჩანს. ბატონი ბენდუქიძეც აღიარებს, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები (განსაკუთრებით სავალუტო ფონდი) თაღლითები არიან, საკუთარ გლობალურ მიზნებს ისახავენ და ეკონომიკური განადგურებით ემუქრებიან ყველა იმ ქვეყანას, სადაც ფეხს მოაკიდებინებენ. მათი საქმიანობის შედეგი საქართველოს მაგალითზეც უკვე კარგად გამოჩნდა.

მინისტრის ის პოზიციაც აბსოლუტურად გასაგებია, რომ ქვეყნის სიმდიდრეების გაჩუქებას გაყიდვა სჯობია. ჩვენთან ხომ უკანასკნელი წლების მანძილზე ფაქტობრივად სახელმწიფო ქონების გაჩუქების პრაქტიკა იყო დამკვიდრებული. პრივილეგირებულ ჯგუფებზე ან კერძო პირებზე იჯარით, მართვის უფლებით ან რაიმე სხვა ფორმით ქონების გადაცემა, რეალურად გაჩუქებას ნიშნავდა და სხვა არაფერს.მაგრამ, ამავე დროს , აბსოლუტურად მიუღებელია იმავე მინისტრის გეგმა განურჩევლად ყველაფრის გაყიდვასთან დაკავშირებით.

ის განცხადება, რომ არ არსებობს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები და რაც კარგად იყიდება, უნდა გაიყიდოს-ძალიან სახიფათო ტენდენციის მანიშნებელია. უკვე აშკარად ჩანს, რაც იყიდება, იყიდება ძირითადად ერთი- ჩრდილოეთის მიმართულებით-ენერგეტიკაც, რუსთავის ქიმიაც, მეტალურგიაც, ჭიათურაც, ფეროც. შემდგომში ,ალბათ, იგივე ბედი ეწევა ფოთის პორტს, მაგისტრალურ გაზსადენს, რკინიგზას, კავშირგაბმულობის ობიექტებს...

ესეც იმ მანკიერი, დანაშაულებრივი პოლიტიკის ლოგიკური შედეგია, რაც წინა ხელისუფლების დროს ტარდებოდა საქართველოში.

ქვეყნის ეკონომიკა ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ დღეს მისდამი ინტერესს მხოლოდ რუსეთის, ხშირ შემთხვევაში, ამ ქვეყნის ხელისუფლების მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლირებადი კაპიტალი იჩენს. სად არის იმის გარანტია, რომ რუსეთთან ჩვენი დღევანდელი, თუნდაც გუშინდელი ან ,სავარაუდოდ, ხვალინდელი ურთიერთობებიდან გამომდინარე, რუსეთი გარკვეული თვალსაზრისით, მეთოდებს არ შეცვლის და ახლა უკვე ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებითაც არ შეეცდება საქართველოზე ზეწოლას ნებისმიერი პოლიტიკური გამწვავების შემთხვევაში?

ძნელია, არ დააფასო ეკონომიკის მინისტრის გულწრფელობა -საქართველოში 2-3 წელი დავრჩები , ყველაფერს გავყიდი, მერე წავალ ისევ ჩემს ოჯახთან რუსეთში და თქვენ აღარც ეკონომიკის განვითარების სამინისტრო დაგჭირდებათ და აღარც ეკონომიკასთან დაკავშირებული პრობლემები გექნებათო. ბატონი კახა ამას ღიად აცხადებს, ოღონდ მთელ ამ გეგმაში თუ რამეა ჩვენთვის მოსაწონი და მისაღები, მხოლოდ და მხოლოდ, მინისტრის გულწრფელობაა. საზოგადოებასთან და კოლეგებთან მისი ურთიერთობის სტილი და მენტორული ტონი კი ნამდვილად გაოცებას იწვევს. რაც მთავარია, კატეგორიულად მიუღებელია ის, რომ მრავალთვიანი მოღვაწეობის განმავლობაში მას არ წარმოუდგენია საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთიანი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრატეგია. ერთადერთი , რაც საზოგადოებისათვის ცნობილია, ეს არის მისი საპრივატიზაციო პროგრამა.

მე მას ადრეც შევხვედრივარ მოსკოვში და ნამდვილად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მაკროეკონომიკის პრინციპების კარგი მცოდნეა. ამავე დროს , მან პრაქტიკულადაც შესანიშნავად გამოიყენა 90-იანი წლების ფინანსურ-ეკონომიკური კატაკლიზმები რუსეთში (განსაკუთრებით ვაუჩერიზაცია) და სერიოზული კაპიტალიც შექმნა, მაგრამ მაკროეკონომიკის არანაკლები სპეციალისტები საქართველოშიც გვყავს, ხოლო რაც შეეხება კონკრეტულად ქართული ეკონომიკის შიდა პრობლემებს და სატკივარს, ბევრმა ეს ბენდუქიძეზე უკეთესადაც იცის. რაც მთავარია, მასზე მეტი თუ არა, საკუთარი ქვეყნის არანაკლები პატრიოტები არიან და არც აქედან აპირებენ სადმე წასვლას.

საერთოდ, როგორც იტყვიან, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს. შინაურის ნათქვამ სიტყვას, მის ნამოქმედარს, არა მარტო ეჭვით ვუყურებთ, ძალიან ხშირად თავად მას ვდევნით და უდროოდ სიცოცხლესაც ვუსწრაფავთ. ამის მაგალითად, მერაბ მამარდაშვილის და ნოდარ ახალკაცის გახსენებაც კმარა. მსოფლიოში აღიარებულ ამ პატრიოტ პროფესიონალებს მარტო იმიტომ გამოვუცხადეთ ბრძოლა, ხშირად იმდროინდელი ოფიციოზისაგან განსხვავებული საკუთარი აზრი რომ ჰქონდათ და, ასევე, განსხვავებული პოზიციის არგუმენტირებულად დაცვაც რომ შეეძლოთ. არადა, ერთსაც და მეორესაც მხოლოდ საკუთარი ქვეყნის სიყვარული და მისი უკეთესი სახით წარმოჩენის სურვილი ამოძრავებდა.

მე ორივეს პირადად ვიცნობდი, ნოდართან ,საერთოდ, ბავშვობიდან ვმეგობრობდი, თითქმის მთელი ცხოვრება ერთად გავატარეთ, ვიცი რა პატიოსანი და პრინციპული ადამიანი იყო. დღემდე ვერ ამიხსნია, იმ ყოვლად წარმოუდგენელი ბრალდებების და დაუნდობელი ცილისწამების ფენომენი, რამაც ისედაც უკურნებელი სენით დაავადებულ, მეტასტაზებით გატენილ კაცს, გული გაუხეთქა. ალბათ, ერთმანეთის მიმართ ასეთი დაუნდობლობაც, ურთიერთსიძულვილი და შეუწყნარებლობაც გახდა ბევრი ჩვენი უბედურების მიზეზი.

* * *

ამ ორიოდე წლის წინ, სომხურ პრესაში დაიბეჭდა ცნობილი სომეხი მეცნიერის ვრცელი წერილი, სადაც დეტალურად იყო განხილული ამიერკავკასიის და მისი უშუალო მეზობელი ქვეყნების-თურქეთი, ირანი, ერაყი- იმჟამინდელი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება. ავტორი, ამავე დროს , გარკვეულ რეკომენდაციებსაც სთავაზობდა საკუთარ ხელისუფლებას. ამ ანალიზის მიხედვით, რეგიონში ყველაზე სუსტ ქვეყნად მიჩნეული იყო საქართველო: როგორც ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით, ისე ადმინისტრაციულ- ტერიტორიული მოწყობის და მართვის მხრივ. ავტორის აზრით, ყველაზე სუსტი იყო საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობაც და ის დაჟინებით ურჩევდა სომხეთის ხელისუფლებას, თავისთვის მაქსიმალურად სასარგებლოდ გამოეყენებინა ეს ვითარება.

ცხადია, პირველი რეაქცია მსგავსი ტიპის პუბლიკაციის წაკითხვისას, წყენა და გაბრაზება იქნება, თუმცა ჩვენი რეალობა მსგავსი დასკვნების გაკეთების საფუძველს ნამდვილად იძლეოდა, საერთოდ სიბრაზე ცუდი მრჩეველია. სხვაზე გაბრაზებას ყოველთვის სჯობს, უფრო ობიექტურად შეხედო საკუთარ თავს, დასკვნები გამოიტანო და ეცადო, შენს უახლოეს მეზობელს აზრი შეაცვლევინო.

დღეს, როგორც არასოდეს, საქართველოს პრეზიდენტს და ხელისუფლებას, აქვს ამის შესაძლებლობა, რადგან ხალხმაც სწორედ ამიტომ გამოუცხადა მას ნდობა და საამისო მანდატიც მიანიჭა. დღეს საქართველოს ნამდვილად შეუძლია იფიქროს დაკარგული ღირსების აღდგენაზე და შეუდგეს სახელმწიფოს მშენებლობას. ამისთვის კი, ჩემი ღრმა რწმენით, პირველ რიგში აუცილებელია დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრა, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ჭეშმარიტად თავისუფალი, დემოკრატიული და ძლიერი სახელმწიფო.

ახლა მაინც უნდა გამოიკვეთოს, თუნდაც უახლოეს პერსპექტივაზე გათვლილი ეკონომიკური პრიორიტეტები, განისაზღვროს მრეწველობის თუ სოფლის მეურნეობის რომელ დარგებში ჩავდოთ ფული, რას მივანიჭოთ უპირატესობა, რა გადავდოთ სამომავლოდ, ძველი რა დავანგრიოთ და ახალი რა ავაშენოთ.

ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, ზოგადად ხელისუფლებამ, დღესვე უნდა დაიწყოს ფიქრი ეკონომიკის რეალურ განვითარებაზე, უნდა გამოიკვეთოს ის დარგები, რომლებიც ნაკლებადაა დამოკიდებული ქვეყნის გარე ფაქტორებზე ( გლობალიზაცია, ვალუტების მერყეობა, მსოფლიო ბაზრების კონიუქტურა და სხვა) და რომელთა სრული საწარმოო ციკლი- ნედლეულით უზრუნველყოფა, გადამუშავება, პროდუქციის შექმნა-ძირითადად საქართველოშივე განხორციელდება. ასეთ დარგებს მიეკუთვნება მევენახეობა-მეღვინეობა, ჩაის მოყვანა-გადამუშავება, საკონსერვო მრეწველობა, ხილის წვენების, მინერალური წყლების, გამაგრილებელი სასმელების წარმოება, ხორცის , რძის, მეფრინველეობის, ხე-ტყის გადამუშავების და ზოგი სხვა სამრეწველო დარგი. სხვათა შორის, ნიშანდობლივია, რომ სავალუტო ფონდის უმთავრეს სამიზნედ თავიდანვე სწორედ ეს დარგები იქცა.

ცხადია, ყველაფერს ერთად ვერ გავწვდებით, მაგრამ სამინისტრო ხომ უნდა ზრუნავდეს პრიორიტეტების განსაზღვრაზე? იგივე მასშტაბით თუ არა, მაინც შესაძლებელია, ვიფიქროთ მანქანათმშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის, საყოფაცხოვრებო ქიმიის და სხვა დარგების რეანიმაციაზეც.

ნუთუ რაღაც კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა არ უნდა ვცადოთ ასევე მცირე ჰესების სისტემის შექმნისათვის? როცა ჟირინოვსკი, რუსული პოლიტიკის ეს რიგოლეტო, ლამის ყოველდღე ემუქრება საქართველოს მოსახლეობას, სიბნელით და სიცივით ამოგხდით სულსო, ენერგიის ალტერნატიულ წყაროებზე ფიქრი უმთავრეს საზრუნავს უნდა წარმოადგენდეს, მით უფრო, რომ უკვე საქართველოშიც ამზადებენ მცირე ჰესების ასამუშავებლად საჭირო ტურბინებს.

ნუთუ ეკონომიკის სამინისტროს არ ადარდებს, რა უნდა ვუყოთ, მაგალითად, ჩაის? ათი წელია, უფრო მეტიც, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, გურია, აჭარა, სამეგრელო, იმერეთი - ფაქტობრივად გავწირეთ და უსახსროდ დავტოვეთ. ამ რეგიონების ეკონომიკა ხომ ჩაიზე იყო მიბმული. მოსახლეობის საარსებო წყაროს ჩაის მრეწველობა წარმოადგენდა, მისი კეთილდღეობა პირდაპირ იყო დამოკიდებული ჩაის მოყვანა-გადამუშავებაზე.

დავანებოთ იმას თავი, რომ საქართველოში უცხოეთში მოყვანილი ჩაი შემოდის, საკუთარი შიდა ბაზარიც დავკარგეთ და ნახევარი საქართველო, ფაქტობრივად გავწირეთ. ხომ უნდა იფიქროს ხელისუფლებამ, რომ პრობლემა რეალურად არსებობს და მისი გადაწყვეტა აუცილებელია? ვთქვათ, ჩაი აღარ გვჭირდება, ამოვძირკვოთ, მაგრამ დავგეგმოთ, რა შეიძლება მოვიყვანოთ იმ თიხნარ მიწებზე, სადაც აქამდე მარტო ჩაი და გვიმრა ხარობს. კი ბატონო, დავთესოთ, მაგალითად, სიმინდი, ავაშენოთ ზეთსახდელი ქარხნები და ამით დავასაქმოთ მოსახლეობა, სიმინდის ზეთში ძალიან დაბალია ქოლესტერინის შემცველობა და მსოფლიოში მასზე დიდი მოთხოვნაა ან რაიმე სხვა, კონკრეტული, პრაგმატული გადაწყვეტილება მივიღოთ.

სხვათა შორის, თვით ჩაი მარტო ადუღებულ წყალში გასახსნელი პროდუქტი არ არის, ჩაის ნედლეულისაგან მზადდება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, მაგალითად, საპონინი, ჩაის ზეთი, რომელიც არა მარტო საკვები პროდუქტია, არამედ ზუსტი მექანიზმების შესაზეთადაც გამოიყენება; ჩაის კონცენტრატები, რომელთა საფუძველზე დამზადებული გამაგრილებელი სასმელებიც ძალიან პოპულარულია მთელ მსოფლიოში. მსგავსი ვითარებაა ციტრუსის, ხილ-ბოსტნეულის, ხე-ტყის და სხვა ნედლეულის გადამუშავებასთან დაკავშირებითაც.

მოკლედ, პრობლემები არსებობს და ისინი გადაწყვეტას მოითხოვენ, მაგრამ, ეტყობა, ამაზე არავინ ფიქრობს, პრობლემას წლების მანძილზე დაკონსერვება კი არა , მოგვარება უნდა. ეს ,რა თქმა უნდა, ძნელია, ბევრ თავისტკივილს უკავშირდება, მაგრამ არც ყველაფრის გაყიდვაა გამოსავალი. გაყიდვა ადვილია, საკუთარი სიმდიდრის მოვლა-პატრონობაა საქმე.

სათანადო ბიზნესგარემოს პირობებში , წმინდა ეკონომიკური ჯიუტი კანონებიდან გამომდინარე, აუცილებლად გამოჩნდება პრობლემების გადაჭრის სწორი გზები, გამოჩნდება ინვესტირების გარე თუ შიდა წყაროებიც.

ხელისუფლება უნდა ენდოს მეწარმეს და ,ბოლოს და ბოლოს, გააცნობიეროს, რომ ნამდვილი, ქვეყნისთვის სასარგებლო ინვესტიცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაიდება ჩვენს ეკონომიკაში, როცა ურთიერთობები წმინდა პარტნიორულ პრინციპებზე და ერთობლივ ბიზნესინტერესზე იქნება დამოკიდებული და არა კულუარულ საეჭვო გარიგებებზე სახელისუფლო კაბინეტებში. სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, ურთიერთნდობის და ჯანსაღი ბიზნესგარემოს პირობებში, საქართველოს ნამდვილად შეუძლია, იქცეს სერიოზული ეკონომიკური ინტერესის საგნად და არა მარტო ჩრდილოეთის მხრიდან.

ჩვენ ჯერ "მერსედესის" ტიპის ავტომობილს ვერ გავაკეთებთ, მაგრამ ნამდვილად შეგვიძლია, ვაწარმოოთ, ვთქვათ, ხილის წვენი, რომელიც თავისი თვისებებით გერმანიისთვისაც საინტერესო იქნება. ჩვენ, რა თქმა უნდა, ერაყივით ნავთობით მდიდარი ქვეყანა არა ვართ, მაგრამ შეგვიძლია , ჩვენი მინერალური და მტკნარი წყლის რესურსებით დავაინტერესოთ მსოფლიო, მით უმეტეს , რომ წყალს ლამის ოქროს ფასი ედება.

ვერავინ უარყოფს, რომ დღევანდელ პრეზიდენტს და მის გუნდს, უმძიმესი მემკვიდრეობა ერგო. ქვეყანა თორმეტი წელი იძარცვებოდა, კორუფციამ გარყვნა საზოგადოება, გვაქვს დაკარგული ტერიტორიები, უკიდურესად მძიმეა სოციალური ფონი. მაგრამ, ამ ხელისუფლების შემდგომი პოპულარობისათვის, მისი ქმედითობისათვის, საქართველოს ცივილიზებულ სახელმწიფოთა რიგში ჩაყენებისათვის, ახალი ტიპის მმართველობის დანერგვისთვის, აუცილებელია, **ხელისუფლებამ უმთავრეს პრიორიტეტად და საზრუნავად დასახოს ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიის განსაზღვრა და მისი რეალიზაცია.**

**ეკონომიკური სტრატეგია არა ვინმე უცხოს, არამედ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ინტერესების კარნახით უნდა შემუშავდეს. ამ შემთხვევაში , ძალიან სწრაფად მოხერხდება დაკარგული დროის ანაზღაურება და საქართველოც ძალიან სწრაფად მყარად დადგება ფეხზე.**

**რაც მთავარია, უნდა გვახსოვდეს, რომ სახელმწიფოს ჭეშმარიტი პოლიტიკური დამოუკიდებლობა მის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას ემყარება.**

თუ დღეს სერიოზული ინვესტიციები არ ხორციელდება, ისევ ამ ფონდების მიზეზით. ყველა სერიოზულმა ინვესტორმა იცის, რომ ქვეყანა, სადაც სავალუტო და სოროსის ფონდები წარმართავენ პოლიტიკას, განწირულია.გაპარტახებულ და გაუბედურებულ ქვეყანაში კი საქმის წამოწყება პრაქტიკულად არავის უნდა.

ხელისუფლება უნდა ენდოს მეწარმეს და ,ბოლოს და ბოლოს, გააცნობიეროს, რომ ნამდვილი, ქვეყნისთვის სასარგებლო ინვესტიცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაიდება ჩვენს ეკონომიკაში, როცა ურთიერთობები წმინდა პარტნიორულ პრინციპებზე და ერთობლივ ბიზნესინტერესზე იქნება დამოკიდებული და არა კულუარულ საეჭვო გარიგებებზე სახელისუფლო კაბინეტებში. სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, ურთიერთნდობის და ჯანსაღი ბიზნესგარემოს პირობებში, საქართველოს ნამდვილად შეუძლია, იქცეს სერიოზული ეკონომიკური ინტერესის საგნად და არა მარტო ჩრდილოეთის მხრიდან.

# უცხო ქვეყნები ტურისტების თეფშზე

ვ3 გვერდიდან

ნორი, ზღვის მცენარეები, ანდა ჩიპსი კრევეტკის გემოთი.

რაც შეეხება საკეს, "ვაშინგტონ პოსტი" "ტაკარა ნიგორის" ანდა "ტაკენო ცუიუს" ნაწარმოები საკეს ყიდვას ურჩევენ ტურისტებს. შესანიშნავი სუვენირია დეკორატიულ მეტალის კოლოფებში დაცული მწვანე ჩაიც.

**რუსეთი:** აქ კი ყველაფერი მოკლედ და კონკრეტულადაა - არაყი და ხიზილალა. ამერიკელები ძირითადად "რუსკი სტანდარტს" და "სტოლიჩნაიას" ეტანებიან და განსაკუთრებულად მოსწონთ ის, რომ ამ უკანასკნელს ათასგვარი ნაირსახეობა აქვს - ლიმნით, მარწყვით, ვანილით. რაც შეეხება საუკეთესო ხიზილალას, მისი პოვნა კასპიის ზღვის რეგიონშია შესაძლებელი. თუმცა, თართის, ბელუგასა და სევრუგას გემრიელი ხიზილალების პოვნა სხვაგანაც შეიძლება.

რუსეთში ისწავლეს საკუთარი გასტრონომიული სიამაყის კარგად შეფუთვაც, რათა უცხოელი ტურისტების ყურადღება მეტად მიიპყრონ. მაგალითად, შოკოლადის სოლიდური მწარმოებელი კომპანია "კორკუნოვი" თავის მრავალფეროვან პროდუქციას ისე ლამაზად ფუთავს, რომ ისინი ფაბერჟეს კვერცხების ასოციაციას ტოვებენ.

**ტაილანდი:** ბან დურიანი იგივე "მყრალი ხილი" ტაილანდელების ნამდვილი ფავორიტია. მართალია, უმ მდგომარეობაში ის, მართლაც, მყრალი არომატით გამოირჩევა, მაგრამ მოხარშული უკვე უგემრიელესი ხდება. ბან დურიანისგან ამზადებენ პასტას, კანფეტებს, ჩიპსს... ნამდვილი ტაილანდური სიამაყეა ბრინჯის წებოვანი პუდინგებიც სხვადასხვა გემოთი - მანგოთი, ქოქოსით, შავი ბრინჯითა და ისევ ჩვენი ნაცნობი დურიანით.

შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, მაგრამ ტაილანდში ღვინის ფასიც მშვენივრად იციან. ამის დასტურია ღვინო მანსუნის ხეობიდან. და, ბოლოს, ტაილანდური კულინარიისგან გასაგრილებლად ისევ ტაილანდურ არაალკოჰოლურ სასმელს გვთავაზობენ, რომელიც ქრიზანთემისგან მზადდება.



*კიბორჩხალები იაპონურად. ტურისტები, პირველ რიგში, სწორედ ზღვის პროდუქტებს უსინჯავენ გემოს.*



*"ბან დურიანი" ტაილანდელების ფავორიტია, ოღონდ მოხარშულ მდგომარეობაში.*

## ხუთშაბათი, 28 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** "ხალხის პირისპირ" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "კურიერი" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელელიპუცები" **18.20** "სპაიდერ მენი" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.40** პატრული **19.50** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** "ვის უნდა 50 ათასი" **23.00** დოკ. ფილმი "ლუისი და ბორდელი" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ორნი ქალაქში". მთ. რ-ში: ალენ დელონი (15)ყ **02.00** პატრული

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** მულტსერიალი **10.05** "იმღერე რამე" **10.35** მხ. ფილმი "ათოვდა ზამთრის ბაღებს" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **13.00** მიამბეთ თქვენზე **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი **15.20** პოლიტიკური მკვლელობები **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **16.30** "მრავალჟამიერ"- ზარები **17.00** მულტსერიალი **17.30** დოკ. ფილმი "ევროპის ახალი სახე" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "კარიბის გული" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "დღე" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **13.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** ვიპ-შოუ **21.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** "კენო" **23.00** დებატები 202-ზე

### კავკასია

**14.00** ქართული მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "ორჯერ მოვკვდები მაგრამ მაინც მიყვარხარ" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20, 21.00** სპექტრი **22.00** მხ. ფილმი "ალი-ბაბა და 40 ყაჩაღი" (გ) **00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ვუპი" **11.35** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **12.30** შემეცნ. გასართობი პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** "ჰოლივუდი დღეს" **19.05** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "ჭექა-ქუხილი" (გ) (ჟან გაბენი)

### MTV

**08.00** "ქართული ათეული" **12.00** "ფოლკი" **12.30, 20.00** "მხიარული ხუთეული" **13.00** "კლიპ-მიქსი" **18.00** "ფოლკი" **19.00** "ტევე-პოპი" **20.30** "ფოლკი" **21.00** "ტევე-პოპი" **00.00** "ნონ-სტოპი"

**18.00** მინისერიალი "ლიცეუმი" მე-4 ს. **19.05** დოკ. ფილმი **20.05** კონცერტი **22.10** მხ. ფილმი "უნებლიე მკვლელობა" (15)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "უშიშრები" **19.50** მულტსერიალი **20.15** "იმღერე რამე" **20.45** ბასტი-ბუბუ **21.00** მრავალჟამიერ **21.25** პოლიტიკური მკვლელობები **22.10** მხ. ფილმი "სპირალი" (გ) მე-3ს.

### იმედი

**07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** ანიმაციური ფილმი "სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" **08.25** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** სერიალი "ყავა და ლუდი" **12.20, 14.30, 03.35** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.05** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ტრუფალდინო ბერგამოდან" (გ) მე-2 ს. **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.45, 22.00, 02.55** ქრონიკა **15.20** სერიალი "კლონი" **16.40** დოკ. სერიალი "საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები" **17.25** თამაში "ათასიდან ერთი შანსი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.55** სერიალი "კლონი" **20.55** სერიალი "ყავა და ლუდი" **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი **00.20** მხ. ფილმი "მშვიდობისმყოფელი" (გ) (დ. ლუნდგრენი) **02.00** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### აჭარა

**09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.20** მხ. ფილმი "ციხესიმაგრე" **10.50** მუსიკა **11.00** ისტ. ფილმი "იულიუს კეისარი" მე-2 ს. **12.25** დოკ. ფილმი **13.00** მელოდრამა "ცეკვები ლუნაზის დროს" **14.30, 17.30,** 20.30. **23.30** საინფორმაციო გამოშვება **14.45** მხ. ფილმი "სასიკვდილო გატაცება" **16.25** მულტფილმი **17.45** მხ. ფილმი "რამდენიმე დოლარით მეტი" **19.55** დოკ. ფილმი **21.00** გიორგი ცაბაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო **21.45** ფანტასტიკა "ძიება წარსულში" **23.20** მუსიკა **00.00** მხ. ფილმი "პელიკანების საქმე"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"МОСКОВСКАЯ САГА". 10.30, 19.00** Сериал **"КЛОН". 11.30** "Звезды эфира". Валентина Леонтьева. **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30** Дисней-клуб: "Утиные истории". **13.50** Приключенческий сериал **"СОБАЧЬЕ ДЕЛО". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** Сериал **"СТИЛЕТ-2". 17.00** "Пять вечеров". Четверг. **18.20** "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. **19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00, 23.30** Время. **22.40** "Человек и закон" **23.50** "Фабрика звезд". **00.10** Ударная сила. "Псы войны". **00.40** Максим Никулин в программе "Форганг". **01.10** Сериал **"ИСЧЕЗНОВЕНИЕ". 02.40** Данте Баско в фильме **"ДЕБЮТ" 04.20** Сериал **"СВИДЕТЕЛЬ ПРОТИВ МАФИИ".**

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **09.05** Сериал **"БЕЗ СЛЕДА: ИСТОЧНИК". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30** "Сегодня" **10.15** Криминальная Россия. **10.50** Кулинарный поединок. **11.50** Сериал **"СЛЕПОЙ". 13.35** Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА: ПЛЮШЕВЫЙ МИШКА СОШЕЛ С УМА". 14.30** Сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ-2". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"СОКРОВИЩА МЕРТВЫХ"**. Закл. серия. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"СЛЕПОЙ"**. Закл. серия. **20.50** Сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ-2". 22.00** "Страна и мир". **22.40** "К барьеру!" Ток-шоу **23.55** Мэл Гибсон в боевике **"БЕЗУМНЫЙ МАКС 3: ПОД КУПОЛОМ ГРОМА" 02.30** Бильярд. **03.40** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: пятнистые кошки". **04.30** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА". 05.15** Сериал **"СУПЕРШПИОНКИ"**.




2004 წლის 14 იანვარს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "საჯარო სამართლის იურიდიული პირის განვითარების და რეფორმების ფონდის " შექმნის შესახებ.

ფონდის მიზნები, მმართველობითი სტრუქტურა, ფუნქციონირება და ხარჯები არის საჯარო ინფორმაცია, რომელიც ვრცელდება წლიური ანგარიშების სახით და ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით.

გთხოვთ იხილოთ ჩვენი ვებ-გვერდი:
www.drf.org.ge

არის თუ არა მოსახლეობა მზად მოახლოებული ზამთრისათვის?

საქართველოს გააჩნია საკუთარი ენერგორესურსი, რომ დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნები.

ეს არის ნახშირი - შეშის ალტერნატივა.

ჩვენი სამთო-სამრეწველო კომპანია გთავაზობთ ნახშირს, რომელსაც აწარმოებს ქარხანა დამონტაჟებული უცხოელი ინვესტორების მიერ ქ. ტყიბულში. ჩვენი პროდუქცია იდეალური საწვავია, რომელიც გამოიყენება როგორც დიდ ქარხნებისთვის ასევე საყოფაცხოვრებო ობიექტებისათვის (სკოლები, საავადმყოფოები, სახლები, ღუმელები და ა.შ.).

შეიძინეთ ნახშირი იაფად ქ. ტყიბულში, შეიძლება ადგილზე მიტანაც.

საკონტაქტო ტელეფონები: 99-68-26 / 92-37-43



მშობლები - იზა ჩოთალიშვილი და ოთარ გავარდაშვილი, მეუღლე - მაია ჯაფარიძე, შვილები - ოთიკო და სოფო გავარდაშვილები, ძმა - ივანე გავარდაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გია გავარდაშვილი**

პანაშვიდი ხუთშაბათსა (28.10.04) და პარასკევს (29.10.04) 17 საათზე, მისამართზე დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კილომეტრი, აგრარული უნივერსიტეტის დასახლებს, მე-2 კორპუსი.

გამოსვენება შაბათს (30.10.04) 14 საათზე წმინდა ლაზარეს სახელობის ეკლესიიდან, მისამართი: დიღომი, კინოსტუდიის ტერიტორია.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითითანი მეთოდი.
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება — MS Word.
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები — MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.